

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

***2424**


ესაც მეთერთმეტი

A13



კრის-ობუდსენი

A4



მოსკოვირი მოლაპარაკებები

A7



დავით აფრასიძე

საერთაშორისო პოლიტიკა პარადოქსებით არის სავსე... გასულ პარაკევეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის თემა იყო "ევროკავშირის პოლიტიკა რუსეთის მიმართ 2008 აგვისტოს ომის შემდეგ." კონფერენციის მსვლელობამ სათაურად კი პარადოქსად აქცია - ერთმა მონაწილემ თქვა, რომ ევროკავშირს, რომელიც 27 სუვერენულ ქვეყანას მოიცავს, აბა, ერთიანი (საგარეო) პოლიტიკა როგორ ექნებაო. მეორემ მოხსენება იმით დაიწყო, რომ რუსეთი ჩვენი (ანუ ევროკავშირის) სტრატეგიული პარტნიორიაო, ხოლო დაამთავრა, რომ ამ პარტნიორობის დიდი იმედი მე არ მაქვსო. და ბოლოს, ისიც კი მოვისმინეთ, რომ აგვისტოს ომი, აბა, რა ომი იყო, სულ 4-5 დღე გავრძელდა და რამდენიმე ასეული ადამიანი თუ დაიღუპაო. კონფერენცია საინტერესო იყო იმით, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თანამედროვე ევროპული პოლიტიკის რამდენიმე პარადოქსი.

ბაზრძილა A3 გვირგვინი



2009 წლის ზამთარში რუსეთისგან გაზის გადაკეცივის მიუხედავად ევროკავშირი კუნთების საჭიროებას ისევ ვერ ხედავს.

ეუთო-ს საქმიანობა უნდა გაგრძელდეს

მთელ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ

დორა ბაკოიანი

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

გასულ ზაფხულს ეუთო-ს ერთ-ერთ რეგიონს ომი დაატყდა თავს.

უამრავ ადამიანზე ასახულმა კონფლიქტის სავალალო შედეგებმა - ტრავმატული დაზარალებები და ეკონომიკურმა ზარალმა - ცხადყო, რომ ჩვენ, ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოებმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გავაორმაგოთ ჩვენი

ძალისხმევა, რათა მსგავსი ტრავმატული მოვლენები აღარ განმეორდეს და უმიზნო ტკივილი თავიდან იქნას აცილებული.

ეუთო-ს 2009 წლის ბერძნული თავმჯდომარეობა ადასტურებს საკუთარ ვალდებულებას, შეასრუ-

ლოს პატიოსანი შუამავლის როლი და იმუშაოს თავის პარტნიორობთან - უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთან, რათა დაეხმაროს მოსახლეობას და ხელი შეუწყოს მდგრადი უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონში.

ბაზრძილა A2 გვირგვინი

24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



24 საათი The New York Times Weekend

1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი "ნიუ იორკ თაიმსთან" ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის "24 საათის" ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება "24 საათისგან" დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ----- 52 ლარი;
- 6 თვით ----- 26 ლარი;
- 3 თვით ----- 13 ლარი;
- 1 თვით ----- 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

ოკუპანტებისა და მარიონეტების "ჭარმონია"

რუსეთის საოკუპაციო ჯარი კოდორის ხეობის მისადგომებთან სამთიან სამხედრო სწავლებას იწყებს. რეგიონში ახლად შემოყვანილი მძიმე ტექნიკა, არტილერიის ტექნიკა და ოფიცრები სოფელ წებულდაში არიან მობილიზებული. ტექნიკის ნაწილის გადაყვანა ლათაშია დაგეგმილი. ზემო აფხაზეთში განლაგებული სახენიტო დანადგარებიც.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, რუსული მხარე კოდორში სამხედრო აეროპორტის აშენებას გეგმავს. წინასწარი მონაცემებით, აეროპორტი - გენწვისში, სამხედრო ბაზა კი ჩხალთაში განთავსდება.

პირველი

მინისტრი დევნილებთან

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა მოინახულა. მინისტრი პირადად გაეცნო მათი ცხოვრების პირობებსა და არსებულ პრობლემებს.

თბილისში, აჭარის ქ. N10-ში, ყოფილი ტუბდისპანსერის შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 35 ოჯახი ცხოვრობს. მინისტრმა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგები დაათვალიერა და დევნილებს დაკავებული ფართების დაკანონების შესახებ აუწყა.

"ჩვენ განვადგომთ აფხაზეთიდან დევნილთათვის ფართების დაკანონების პროცესს. საკუთრებაში გადაცემა გულისხმობს ყველა იურიდიულ უფლებას ამ ფართზე. გარდა ამისა, ვასწორებთ არსებულ ხარვეზებს. ამ ობიექტზე შეკეთდა სახურავი, განახლდა წყალგაყვანილობისა და აკანალიზაციის სისტემები, ჩაიდო ელექტროგაყვანილობის ძალგანი კაბელი." - განაცხადა სუბელიანმა.

მომხმარებელთა ფედერაციის წარმომადგენლებმა დევნილ მოსახლეობას სერტიფიცირებული, ხარისხზე შემონეშებული პროდუქტი მიუტანეს.

"ეს ერთგვარადი აქცია არ არის. სამინისტროს ხელშეწყობით ვაპირებთ მსგავსი აქციების გაგრძელებას. მთავარი პრიორიტეტი ჩვენთვის მინოდებული პროდუქციის მაღალი ხარისხია," - აღნიშნა მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარემ მადონა კოიძემ.

მედანიუსი

ბაკოიანისის ვიზიტი

23 მარტს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის - საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი საქართველოში ჩამოვიდა. ამის შესახებ ინფორმაციას საბერძნეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ავრცელებს.

ბაკოიანისი თბილისში ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელების ინიციატივას წამოაყენებს. თბილისში ყოფნის დროს იგი საქართველოში ორგანიზაციის მისიასაც ესტუმრება. ცნობისათვის - ეუთო-ს ბოლო გადაწყვეტილებით, მისიის მანდატი საქართველოში ოთხი თვით გაგრძელდა.

პირველი

ეკა ბესელია: "კანონის მიხედვით, ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება არ შეიძლება"

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლის თარიღი და ფორმა მისი უსაფრთხოების გამო არ სახელდება.

მოძრაობის გენერალურ მდივან ეკა ბესელიას მტკიცებით, "კანონის მიხედვით, ოქრუაშვილის დაპატიმრება არ შეიძლება, რადგან თავისი დროზე მისი დაპატიმრება პოლიტიკურ დევნად შეფასდა."

"ოქრუაშვილის დაპატიმრება საერთაშორისო ნორმების დარღვევა იქნება, რადგან მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი აქვს მინიჭებული, თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში კანონებზე საუბარიც ზედმეტია. მისივე უსაფრთხოების გამო ჩვენ ვერ გავახმოვანებთ, როდის და როგორ დაბრუნდება ოქრუაშვილი საქართველოში, თუმცა შემიძლია, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ იგი ნამდვილად ჩამოვა," - განაცხადა ბესელიამ.

გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი 9 აპრილს დაგეგმილი აქციისთვის უკვე თბილისში იქნება.

პირველი

ეუთო-ს საქმიანობა უნდა გაგრძელდეს

პირველი გვირგვინი

ეს არის ეუთო-ს მიზანი და ამ ძალისხმევის შეწყვეტა დაუშვებელია.

ადგილზე უსაფრთხოების და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ეუთო-ს შეუიარაღებელი სამხედრო დამკვირვებლები ყოველდღიურად პატრულირებენ სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. უსაფრთხოება კი, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ძალზე მყიფეა. 12 თებერვალს, ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოები, კონსენსუსის საფუძველზე, შეთანხმდნენ დამკვირვებელთა მანდატის ივნისის ბოლომდე გახანგრძლივებაზე. ეს გადაწყვეტილება ნათელყოფს ორგანიზაციის საკვანძო როლს რეგიონისკენ მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევაში.

გადაწყვეტილება სამხედრო დამკვირვებელთა საქმიანობის გახანგრძლივების თაობაზე არ აისახება საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატზე, რომლის საქმიანობა ამჟამად, ფაქტობრივად, შეჩერებულია. ეუთო-ს მისია საქართველოში 1992 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მანდატი ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ძირითად თავისუფლებათა დამკვიდრების ხელშეწყობით განისაზღვრება. აგვისტოს ომის შემდეგ მისია დაუღალავად მუშაობს სამხედრო დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეწყობაზე და რაც მთავარია, ადგილზე ვითარების სტაბილიზაციისთვის.

ჩემი პოზიცია თავიდანვე ნათლად გამოვხატე: დღევანდელი კრიზისი ცხადყოფს, რომ ეუთო-ს საქმიანობა საქართველოში კი არ უნდა შეწყდეს, არამედ, პირიქით, გაფართოვდეს. ეუთო-ს გამოცდილება რეგიონ-



დორა ბაკოიანისი

ში, მისი მრავალმხრივი ექსპერტული ცოდნა და უსაფრთხოების საკითხისადმი ჩართულობაზე დაფუძნებული კომპლექსური მიდგომა ფასდაუდებელი შექანიზებია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

საქმიანობათა შეწყვეტისკენ მიმართული მიმდინარე ადმინისტრაციული პროცედურების მიუხედავად, ეუთო-ს ბერძნული თავმჯდომარეობა ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ვენასა და სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოთა დედაქალაქში, საქართველოში ეუთო-ს საქმიანობათა გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მისაღწევად. ეუთო ასევე მუშაობს უმაღ-

ლეს დონეზე უსაფრთხოების გამყარებისა და ჰუმანიტარულ პრობლემათა მოგვარებისთვის. ეუთო თანათავმჯდომარეობს უნევის მოლაპარაკებებს პარტნიორებთან - ევროკავშირთან და გაეროსთან ერთად. ამ ფორმატში მხარეებმა განსაზღვრეს სამუშაო შექანიზმები რეგიონში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, მათ შორის, შეთანხმეს ყოველკვირეული შეხვედრების აუცილებლობა ინციდენტებისა და პოტენციური კრიზისული სიტუაციების დასაძლევად.

ეუთო-ს მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა გადაუდებელ ჰუმანიტარულ პრობლე-

მებზე, როგორცაა ბუნებრივი გაზის მიწოდება. ჩვენ ასევე ვმუშაობთ რეგიონში სასამართლო და სარწყავი წყლის მიწოდების აღდგენაზე.

ეუთო-ს მიერ აღნიშნული მუშაობის გაგრძელება უმნიშვნელოვანესია. მე მოვუწოდებ საქართველოს და ყველა სხვა ჩართულ მხარეს, გამოიჩინონ კონსტრუქციული მიდგომა მოლაპარაკებების მსვლელობისას, ისევე როგორც პოლიტიკური ნება და მოქნილობა, რაც აუცილებელია ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების გამოსაძიებლად მთელი რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

"ძალდი ყვეს და ქარავანი მიდის"

ბრიუსელის ფორუმის პერიპეტები

ლოს ტერიტორიულ მთლიანობას. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება დაუშვებელია."

ბრიუსელის "მეორე ევროპულ ფორუმში", სადაც საქართველოს საკითხიც განიხილება, მონაწილეობდნენ ნატო-ს გენერალური მდივანი იან დე პოოპსხეფერი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, ამერიკის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები. ფორუმში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წევრებიც, აგრეთვე ოპოზიციის წარმომადგენლები ირაკლი ალასანი და სალომე ზურაბიშვილი.

განსაკუთრებული რეაქცია ფორუმზე სერგეი ლავროვის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც საქართველოში ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე ისაუბრა. "იმედი მაქვს, საქართველოს ეყოლება პირველი პირი, რომელიც შეძლებს, პატივი სცეს საკუთარ თანამოქალაქეებს, მეზობლებს და მოახერ-

ხებს ურთიერთობების გამოსწორებას," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

სერგეი ლავროვის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა. მისი თქმით, რუსეთში არსებობს დიდი მოლოდინი იმისა, რომ მალე საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება.

ლავროვის განცხადების კომენტარებისას "ალანის საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ "უცხო ქვეყნის ხელისუფლის მხრიდან საქართველოს შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე განცხადების გაკეთება და ჩარევა დაძაბული ვითარების განმუხტვას ხელს არ უწყობს, მით უმეტეს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან, განსაკუთრებით აგვისტოს აგრესიის შემდეგ."

თუმცა, იმავდროულად, მან ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებებში "ვერ ხედავს ვერანაირ მინიშნებას" 9 აპრილისთვის ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქ-

ციებზე ან "რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან რუსეთის ასოცირებაზე."

სერგეი ლავროვის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი გამოეხმაურა. "ლავროვის ახალი არაფერი უთქვამს. ეს არის ის, რაც პუტინის ოფიციალური პოლიტიკაა, რომელიც საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლისკენ არის მიმართული. ეს დღესავით ნათელია. ამისთვის მათ საქართველოს შიგნით სჭირდებათ ის, რაზეც ის (რუსეთი) ლიად საუბრობს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, "ჩვენ გავაგრძელებთ განვითარებას, სვლას თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისკენ, ჩვენი ეკონომიკის შენარჩუნებასა და გაძლიერებას."

"როგორც ამბობენ, ძალდი ყვეს და ქარავანი მიდის," - საბოლოოდ, ამგვარი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტმა მთავარი რუსი დიპლომატის მოსაზრებებს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამოცემის პერიოდი: 23 მარტი. რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფო ქალაქიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო ქალაქიძე (რეგიონი), ანა ფარუაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლევაჯი ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებლის ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავთაშვილი. **რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

ევროპული პარადოქსები

პირველი გვერდიდან

პარადოქსი პირველი: ღირებულებები და სიტბოს ღირებულება

ევროპელები ამბობენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა ღირებულებებს ეფუძნება და წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყველაფერს ძალა და ინტერესები განსაზღვრავდა. ისინი ევროკავშირს "რბილ ძალას" უწოდებენ და ამით მსოფლიოს ტრადიციული იმპერიები-საგან განსხვავებულ, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაში მიზნების მიღწევის მაკიაველისტურ გზას იყენებენ, ანუ მუდმივად კუნთებზე იყურებიან. ევროპელებს კუნთები არა აქვთ და, როგორც ჩანს, კარგა ხანი არც ექნებათ. სამაგიეროდ, ევროპელებს ღირებულებები აქვთ, მაგალითად, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებები, კეთილდღეობა. შესაბამისად, ევროკავშირის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ამ ღირებულებებზეა აგებული. აღმოსავლეთით გაფართოების დროს ახალ წევრ ქვეყნებს "ევროპული ღირებულებების" ერთგულებაზე ამოწმებენ. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში იგივე თემებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს განცხადების სამოქმედო გეგმა დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა დემოკრატიის დეფინიციის მიზეზით შეაჩერეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპელები ფხიზლად დგანან ღირებულებების სადარაჯოზე.

თუმცა, როგორც ჩანს, ყოველთვის ასე არაა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ევროკავშირი აქტიურად ჩაერთო ომის დასრულების პროცესში. საფრანგეთის პრეზიდენტის უშუალო მცდელობით, რუსული აგრესია შეჩერდა და რუსებმა ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილიც დათმეს. ევროპული დამკვირვებლები დღეს რუსეთის შემდგომი აგრესიის შეჩერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტის როლს ასრულებენ. თუმცა, აგვისტოს შემდეგ ვითარება ნელ-ნელა შეიცვალა. ჯერ იყო და, დავიწყებას მივცა მუქარა, რომ რუსეთს ექვსპუნქტიანი შეთანხმების არშესრულება ძვირად დაუჯდება, მერე კი ევროპა რუსეთთან ჩვეული ცხოვრების რიტმსაც დაუბრუნდა. ევროპელები არც

მალავენ, რომ რუსეთთან "ინტერესები" აკავშირებთ, განსაკუთრებით - ენერგეტიკის სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაზის სიტბო ევროპულ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

პარადოქსი მეორე: სიტბოს ღირებულება და სტრატეგიული იმპოტენცია

ევროკავშირის ყველა ქვეყნის მთავრობა ამომრჩევლებზე დამოკიდებული, ევროპული ამომრჩევლის განწყობა სიტბოსა და კომფორტზეა მიბმული, სიტბო კი რუსული გაზის მილიდან მოდის. ამ გადასახედიდან ლოგიკური ჩანს რუსეთის მნიშვნელობა ევროკავშირის პოლიტიკური კლასისათვის. თუმცა, არცაქ არის საქმე ცალსახად ნათელი. ჯერ ერთი, რომ ყველა ევროპული ქვეყანა, რომელიც რუსეთის გაზზეა დამოკიდებული, რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი არაა და პირიქით, ნაკლებადდამოკიდებული ქვეყნების რიგშიც ნახავთ რუსეთის "მოკავშირეებს". სხვა სიტყვებით, რუსეთის გაზზე დამოკიდებულება არაა "პრო" თუ ანტირუსული პოზიციის მთავარი ამხსნელი. მეორეც, ევროპელები საუბრობენ რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ არ იმჩნევენ, რომ თავად რუსეთი კიდევ უფრო მეტადაა დამოკიდებული ევროპის ბაზარზე, მის ტექნოლოგიებზე, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია ევროპის ხელში. ამით, ევროპაში ყალიბდება ცალმხრივი დამოკიდებულების, ერთგვარი "ბედისწერის" სტერეოტიპი. და ბოლოს, ყველაზე დიდი პარადოქსი ისაა, რომ ევროპა არაფერს აკეთებს დამოკიდებულების შესამცივრებლად, არადა, შეუძლია. ყბადაღებული "ნაბუკოს" იდეას ევროპელთა უსასრულო დავა-კამათში ჩაკარგვა ემუქრება. ასეთივე ბედი ეწეოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსაც, აშშ-ს პოლიტიკური ნება რომ არ გამოეჩინა. ევროპას ასეთი ნება ჯერ არ აქვს, ის სტრატეგიულად იმპოტენცია.

პარადოქსი მესამე: ევროპისა და რუსეთის ძმობა-არძმობა

ევროკავშირი რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრობს. აქ ერთმანეთს უახ-

ლოვდება აშშ-ს ახალი ადმინისტრაციისა და ევროკავშირის დისკუსია. ამიტომაც მოენონათ ევროპელებს რუსეთთან ურთიერთობების "გადატვირთვის" ამერიკული იდეა, ხოლო კლინტონის ხელში სიმბოლური ლილაკის დანახვაზე ბევრი აღტაცებამ შეიპყრო. რისი იმედი აქვთ ევროპელებს? ნუთუ მართლა სჯერათ, რომ შესაძლებელია რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების "გამოსწორება", მათთან მეგობრობა? როგორც ჩანს, არა, რადგან თავად ევროპელები აღიარებენ, რომ რუსეთის "დაშოშმინება" არასწორი პოლიტიკაა, ანუ ყოველი დათმობა მხოლოდ კრემლის მხრიდან ახალი მოთხოვნის საფუძველი გახდება. ამასთან, ევროპელები კარგად ხედავენ, რომ მათი სისუსტე მათ სიმრავლეში, უფრო სწორად - ერთობის არარსებობაშია. ევროკავშირში 27 სახელმწიფოა და რუსეთს უადვილდება "დაყავი და იბატონეს" პრინციპის განხორციელება. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი კუნთების საჭიროებას ისევ ვერ ხედავს.

პარადოქსი მეოთხე: ობამას სასწაულის მოლოდინში

ევროპელები კრიტიკულად უყურებდნენ აშშ-ს ნინა ადმინისტრაციას. მთელი მსოფლიო მზადაა, წარსულისა და ანმეოს ყველა შეცდომა ახლა ბუშ-უმცროსს გადააბრალოს, ხოლო მომავლის ყველა იმედი ობამას დაუკავშიროს. ერთგვარად, შიმის მომგვრელია ის ალტკინება, რასაც ობამას გაპრეზიდენტებას უკავშირებენ. ფაქტია, რომ ახალ პრეზიდენტს უამრავ გამოწვევასთან უხდება გამკლავება - ამერიკის ეკონომიკა და გლობალური კრიზისი, ავღანეთი, ერაყი, ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი, ჩინეთი და ა.შ. უცნობია, რამდენად შეძლებს იგი ამ პრობლემებთან გამკლავებას და ხომ არ იქნება იმედგაცრუების მიზეზი.

ევროპელების მოლოდინი ობამას მიმართ კიდევ ერთხელ აჩვენებს ევროპის სტრატეგიულ იმპოტენციას, რისი მიზეზიც ისევ ამერიკელებში უნდა ვეძიოთ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთიანი ევროპის ფორმირება, მისი "რბილ ძალად" ჩამოყალიბება ამერიკული უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოხდა. ფრანგულ-გერმანული დამეგობრება შეუძლებელი იქნებო-

და ევროპის შუაგულში ამერიკელი სამხედროების ყოფნის გარეშე. ოთხი წელი უსუსურად უყურებდნენ ევროპელები ბალკანეთში მიმდინარე სისხლისღვრას და მხოლოდ ვაშინგტონის ჩარევის შემდეგ შეძლეს პრობლემაზე რეაგირება. ბუშის ადმინისტრაციის დროს, ევროპელებს ერაყისა და ავღანეთის ომები საკუთარი პასუხისმგებლობის გამო აშფოთებდათ. ახლა ობამას ადმინისტრაციას იმედით უყურებენ, რომ იგი ამ ომებს შეწყვეტს, ანუ პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს. აშშ კი პარტნიორებისაგან, მათი მოსაზრებების გაზიარების სანაცვლოდ, მეტ სოლიდარობას ითხოვს. ძნელი გამოცანობი არაა, როგორი იქნება ევროპელების პასუხი.

პარადოქსი მეხუთე: განვითარება და გადარჩენა

ევროპის ერთიანობის ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება. მართლაც, სამაგალითოა საფრანგეთისა და გერმანიის ისტორიული მტრობის დასასრული. ამ ორმა ერმა ერთიანი ევროპის კედლებში მონახა საუკუნოვანი შუღლის გასაღები. გერმანელებისა და ფრანგების დაძმობის მთავარი ევროპული ექსპერტები ისე დაჟინებით ყვებიან, რომ გრცხვენია კიდევ, რით ვერ გაითავისე ეს მაგალითი, რით ვერ აქციე იგი რუსულ-ქართული ურთიერთობის საფუძვლად. მერე გერმანიის ორად გაყოფის ტრაგიკული ისტორიას მოისმენ, რომელმაც უნდა დაგაიმედოს, რომ ოდესღაც საქართველოშიც დაინგრევა გამყოფი კედლები. სულ ბოლოს კი გეტყვიან, რომ ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიმზიდველი უნდა გახდეს (ანუ "რბილი ძალა" შეიძინო), რათა გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებმა ხალხმა ერთ მშვენიერ დღეს სულ კუდით ქვა ასროლინოს რუს სამხედროებს. სამწუხაროა, რამდენიმე უნდა ახსნას: პირველი, რატომ არაა რუსულ-ქართული ურთიერთობა ფრანგულ-გერმანულის იდენტური; მეორე, როგორ განაგრძობდნენ ცხოვრებას აღმოსავლეთ გერმანიაში ევროპელები, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალისაგან ქართველები გამოდევნეს; მესამე, რომ დღეს საქართველოში განვითარების კი არა, გადარჩენის საკითხი დგას. აქაც ხომ უამრავი პარადოქსია.

პასპორტიზაციის პროცესი შეგნებულად ჭიანურდება

სოხუმის სეპარატისტულ მთავრობაში დაპირისპირებაა. გალის რაიონში პასპორტიზაციის პროცესს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა აჭიანურებს. ამის შესახებ "პირველს" გალის რაიონიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა.

მისივე თქმით, გალის რაიონში პასპორტიზაციის პროცესი რუსეთის ზენილით ჭიანურდება, რადგან აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში რუსეთისთვის მიუღებელი სახეა.

"ბაგაფშიმ არჩევნებში ხმათა უმრავლესობა გალის მოსახლეობის მხარდაჭერით მოიპოვა. ახლა კი, როცა პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება, რუსეთი ყველანაირად ცდილობს, მასში გალის რაიონიდან რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა. ამ მიზნით პასპორტიზაციის პროცესს აჭიანურებს, რადგან აფხაზეთის პასპორტის გარეშე მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს," - განუცხადა "პირველს" წყარომ.

მისივე ინფორმაციით, ზემოაღნიშნული მიზეზით გალის მოსახლეობას პასპორტების ასაღებად გაცილებით მეტი საბუთების შეკრება მოსთხოვეს, ვიდრე ოჩამჩირესა და სოხუმში.

პირველი

პროფკავშირების ინიციატივა

პროფესიული კავშირების გაერთიანება 1100000 ათასზე მეტ თვითდასაქმებულს ოჯახის ბიუჯეტიდან თვეში 150 დოლარის დაზოგვას სთავაზობს.

თვითდასაქმებულთა, ვაჭრობისა და ინდივიდუალური წარმოების სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი საზოგადოებას და მთავრობას სოციალური პაკეტის შექმნის ალტერნატიულ სქემას დღეს პრესკონფერენციაზე შესთავაზებს.

პროფკავშირების ალტერნატიული სქემა დასაქმებულთათვის უფასო, მაგრამ სრულფასოვან დაზღვევას ითვალისწინებს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს შედეგადად კვების პროდუქტებზე, საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელზე, მედიკამენტებზე, სანავაგზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

"სპეციალისტების გათვლებზე დაყრდნობით შემუშავებული ინიციატივის განსახორციელებლად პროფკავშირები პრეზიდენტისგან ახალი ბრძანებულების გამოცემას მოითხოვს," - აცხადებენ პროფკავშირებში.

ინტერპრესნიუსი

აფხაზ ბავშვს ქართული მხარე მკურნალობს

8 წლის აფხაზ ბავშვს დემერ ჯოლილი ალის ქართული მხარე მკურნალობს.

როგორც "პირველს" ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, მოზარდი ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკას მკვიდრია.

"ბავშვმა თამაშის დროს სერიოზული დაზიანება მიიღო. 8 დღის განმავლობაში იგი სოხუმის ბავშვთა კლინიკაში იწვა, მაგრამ ექიმებმა მისი დახმარება ვერ შეძლეს, ამიტომ იგი საზღვარზე ფარულად გადმოიყვანეს და ამჟამად ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში იმყოფება," - განუცხადა "პირველს" წყარომ.

მკურნალობის ხარჯებს საქართველოს ხელი-სუფლება სრულიად დაფარავს.

პირველი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

"გაერთიანებული ტელეკომი" აგრძელებს ციფრულ სადგურებზე აბონენტების გადართვას. ოთხმოციან წლებში დამონტაჟებული 22; 23; 25; 29 ინდექსის ელექტრონული სადგურები, ციფრული ტექნოლოგიებით იცვლება. ასევე იცვლება ვაკის რაიონში არსებული 91 ინდექსის გატანილი სადგური.

გადართვითი სამუშაოები მიმდინარე წლის 23 მარტიდან დაიწყება და 8 მაისამდე გასტანს. 22; 23; 25; 29 და 91 ინდექსის აბონენტებს სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურება ორ-ორი დღით შეეზღუდებათ, რის შესახებაც წინასწარ ავტომატურ სატელეფონო შეტყობინებებს მიიღებენ.

ციფრული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად ამაღლება მომსახურებების ხარისხი, გარდა ამისა, ვაკის რაიონის 22 ათასი მომხმარებელი თვისობრივად განსხვავებულ და ხარისხიან ახალ პროდუქტებს მიიღებენ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ინტერნეტის მიწოდების ხარისხიც.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ინფრასტრუქტურის განახლების გეგმა გულდასმით იქნა შემუშავებული, რათა აბონენტებისთვის მომსახურების შეფერხებამ მხოლოდ ორი, მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში გასტანოს. სამუშაოების ჩატარება ვერა-ვაკის და საბურთლო-მთაწმინდის ტერიტორიებზე და აბონენტების ტელეფონები ცალკეული ქუჩების მიხედვით (ყაზბეგის, ჭავჭავაძისა, მელიქიშვილის გამზირი, აბაშიძის, ფალიაშვილის, ყიფშიძის, ატენის, ჭონქაძის და მათ მიმდებარე ქუჩები) აღდგება.

ბოლო პერიოდში ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესმა შეუფერხებლად ჩაიარა დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში: შეიცვალა 63-64 ინდექსისა (18 ათასი აბონენტი) და 60-61 ინდექსის (18 ათასი) სადგურები; აგრეთვე, წყნეთის სადგური (2 ათას აბონენტი). ჩატარდა მნიშვნელოვანი განბლოკვითი სამუშაოები და ქსელში მოქმედი ე.წ. "ბლოკის ტელეფონი" წარსულს ჩაბარდა. 1 მარტიდან ჩუღურეთის რაიონის 91; 94; 95; 96 ინდექსის 23 ათასი მომხმარებელი ციფრულ ტექნოლოგიებზე გადავიდა.

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ განახლებისთვის საჭირო სამუშაოები სწრაფად დასრულდება და აბონენტები სათანადოდ შეაფასებენ კომპანიის მიერ მიწოდებულ ხარისხიან და ახალ მომსახურებებს.

ნოდარ ლაღარიძე

ძალიან იმედისმომცემი ინტერვიუ დაიბეჭდა 17 მარტის "24 საათში" — მაია ჭალაგანიძე, ჩვენ არჩევანი გვაქვს: ნომრის სტუმარი, ლევან რამიშვილი. იმედიანობა კი, ძირითადად, მისი ბოლო სიტყვებია: "წინსვლის გასაგრძელებლად სისტემური გადატვირთვა გვჭირდება". რა არის ამ სიტყვებში იმედიანი? — სწორედ ის, რომ წარმოითქვა, რომ გაცხადდა ეს საჭიროება. საჭიროება, რომელზედაც უკვე კარგა ხანია ვფიქრობ, რომ არ მოგატყუოთ, ასე, 2006 წლიდან...

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სერიოზულად აღვიქვი ლაშა ბულაძის "რეცეფტი" (20 მარტი), რომლის თანახმად ყველაფერს ეშვება, თუ კონსტიტუციური ცვლილებით საპრეზიდენტო ვადას სამ წლამდე შევამცირებთ. ემპირიული დაკვირვებები ყოველთვის არ იძლევა განზოგადების სარწმუნო შედეგს, რადგან დაკვირვების სიზუსტესთან ერთად სისრულეც არის საჭირო... უბრალოდ, სტატისტიკის ნიშნები საკმაოდ ადრე დაიწყო და პირველად მათი გამოვლინება, ასე ვთქვათ, კერძო და უმნიშვნელო სფეროში იყო.

დღეს სწორედ ეს იქნა აღიარებული მთავარ "ტექტიკურ" შეცდომად: რეფორმების ნელ ტემპთან ერთად განმარტების ნაკლებობა. საქართველოში სტალინიზმი, ძირითადად, სწორედ ამაში გამოვლინდა. ამბობენ, უღვაშა ნაძირალას უყვარდა თქმა: რაც კარგია, იმას რეკლამა არ სჭირდება. ჰოდა, არ გამართლდა თვალსაზრისი, რომ ხალხი თვითონ მიხვდება რეფორმების სიკეთეს.

რა თქმა უნდა, ლევან რამიშვილიც მართალია, როცა ამბობს შემდეგ: "აბსოლუტურ ციფრებში თუ ვილაპარაკებთ, "ნაციონალურ მოძრაობას" ბევრი მხარდამჭერი არ დაუკარგავს. შარშან, თბილისის გარდა, მან თითქმის იმდენივე ხმა მიიღო, რამდენიც 4 წლის წინ". ესეც ზუსტი დაკვირვებაა, მაგრამ სისრულე ამასაც აკლია და ვერ დავადგენთ, არის თუ არა ამგვარი "ერთგულუბანი" მიზეზი შეგნებული არჩევანი — არჩევანი, რომელიც გვაქვს.


დიახ, ჯერჯერობით მართლაც გვაქვს, მაგრამ მხოლოდ როგორც შესაძლებლობა, რომელსაც დანახვა და გამოყენება სჭირდება. რანაირად დავინახოთ და რანაირად შევასრულოთ ეს მოთხოვნა, რომელზედაც ლევან რამიშვილი ლაპარაკობს და მეც ხშირად მითქვამს? — "როცა შედეგით უკმაყოფილონი ვართ, მიზეზებს საკუთარ თავში არ ვეძებთ, არამედ გვინდა ვიპოვოთ ვიღაც, ვისზეც ადვილია ყველაფრის გადაბრალება. ბუნებრივია, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც პოლიტიკური კლასი გაექცევა, მაგრამ რაღაც დონის პასუხისმგებლობა რიგით მოქალაქეებსაც აქვთ".

ინტერვიუს კითხვისას ერთი შთაბეჭდილება დამჩნა: სრულიად მარტივად გადმოცემული, ლოგიკურად ჩამოყალიბებული გამჭვირვალე აზრები მონმენდლო ცაზე მხის გავარდნასავით ისმის. რატომ?

ჯერ კიდევ ერთი ციტატა ინტერვიუდან: "ჩვენი სატელევიზიო მედიის მრავალფეროვნების მიუხედავად, ტელევიზიები სინამდვილეს კი არ ასახავენ, არამედ ვირტუალურ რეალობას ქმნიან". სხვა სიტყვებით, არ არებობს საშუალება, რომ ლოგიკურად ჩამოყალიბებული გამჭვირვალე აზრი საყოველთაო საკუთრებად იქცეს.

ახლა სწორედ ამაზე მსურს საუბარი.

ცნობილია, რომ საქართველოში დისკუსია წარმართება მზა-მზარეული ფსევდოარგუმენტების საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი არგუმენტი ასე უღერს: ამის მეტი სანუხარი ვერაფერი მონახეთ? თითქოს ადა-



მინაბი მხოლოდ იმაზე უნდა ლაპარაკობდნენ, რაც "ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია". თითქოს ეს "ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი" თავისთავად არსებობს, ადამიანების ნებისა და ინტერპრეტაციისაგან დამოუკიდებლად.

ამას წინათ, ინტერნეტში ერთ კურორტულ შეკითხვას ნავაწყდით: "რა დროს "ნაბუკოს" გახსნადნებე კამათია, როცა თბილისის ცენტრში, უნივერსიტეტის პირდაპირ სლოტ-კლუბი გახსნეს და ახალგაზრდებს რეპავენ?". დავანებოთ თავი ლიბერალიზმის ძირითად პრინციპებს, დავანებოთ თავი იმაზე კამათს, რა უფრო შეეფერება ქალაქის ცენტრს — სლოტ-კლუბი თუ უნივერსიტეტი. ამჯერად სხვა ასპექტს მივავტეოთ ყურადღება.

ამ შეკითხვას ორი წინაპირობა უნდა ჰქონდეს:

1. ადამიანი უნდა განვიხილოთ როგორც მუდმივად მოუთავებელი არსება, რომელსაც არასოდეს გააჩნია პასუხისმგებლობის ნასახი და არავითარი უნარი არ აქვს, გაუძლოს "ცდუნებას". თან ეს ინფანტილური არსება, ასე ვთქვათ, ბეცი და ფხვანაა: მთავარია ახლოს არაფერი დაინახოს, თორემ შორს ნასვლა ან მას დაეზარება, ან ჩვენ ვერ დავინახავთ...

2. ამ ინფანტილური არსების ცოდვისაგან შესაკავებლად კვლავაც ის ძველი და ნაცადი ხერხები გამოიყენება, რასაც ტრობრიანის კუნძულების თუ ზონდის არქიპელაგის ავტოქტონური მოსახლეობა იყენებს: საკრალური სივრცე, ჩვენს შემთხვევაში, კურთხეული "პირველი კორპუსი".

დაახლოებით იგივე სულსკვეთება აღინიშნება ერთ პუბლიკაციაში, რომელიც "24 საათმა" 20 მარტის ნომერში მოათავსა: პირველი არხისადმი ვერგანწყობილთათვის... წერილის ავტორია საზოგადოებრივი მაუწყებლის შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერი თამარ ბოლქვაძე.

ეს ტექსტი, რომელიც თურმე არც "ვერსიამ" გამოაქვეყნა და არც "კვირის პალიტრაში", არის პასუხი ჟურნალ "ცხელ შოკოლადში" დაბეჭდილ კრიტიკაზე. ეს პასუხი არც ჟურნალს გამოუქვეყნებია თავის ფურცლებზე. "ცხელი შოკოლადის" მიერ "პირველი არხის" კრიტიკა არ ნამიკითხავს და

მის ხარისხზე ვერაფერს მოგახსენებთ. მაგრამ პასუხიც ხომ შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისთავადი მედიაფენომენი?

აქაც ქართული დისკუსიის ჩვეულ ფსევდოარგუმენტებს ვაწყდებით. პირველი არის მონინალმდევის მოტივაციის დანუნება: "სექსუალური უმცირესობების უფლებებზე გულშემატკივრობის უკან მსუყე გრანტების სუნი ხომ არ ტრიალებს?". ანდა ზემოთ უკვე ნახსენები ფსევდოარგუმენტი: "ნახევარმილიონიანი ლტოლვილების ქვეყანაში ნეტა საგულშემატკივრო არავინ და არაფერი მოიძებნა?" — ალბათ უნდოდა ეთქვა, ნახევარი მილიონი ლტოლვილის ქვეყანაში, მაგრამ გაუძალიანდა ძარღვიანი ქართული... ან გრანტი რატომ უნდა იყოს სამარცხვინო მოტივაცია, ან ლტოლვილთა სიმრავლე რატომ უნდა იყოს ვინმეს ჰომოფობიის გამართლება? — ავტორი გულისხმობს, რომ მისი ინფანტილური მკითხველი უკვე ფლობს მზა პასუხებს. ამის მერე კი მოითხოვს, რომ სექსუალურ უმცირესობათა დამცველებმა მოახლოდნენ მათ უფლებების დაცვების შედეგები, რომ ცნობილი გახდეს "რა პროცენტული მაჩვენებელი მიაკუთვნებს საკუთარ თავს აღნიშნულ უმცირესობას". ალბათ იმის თქმა უნდოდა, რამდენი პროცენტი მიაკუთვნებს, მაგრამ აქაც, როგორც ყველგან საქართველოში, სტილი კი არა, წილია მთავარი — წილი, რომელიც საზოგადოებრივი ფარისევლობიდან ერგება ყველას. იტალიელები ამბობენ: საყოველთაო უბედურება ნახევარი სიამოვნებააო. მართლები ყოფილან!

ახლა კი უფრო ღრმად შევტოპოთ ტექსტში. ძირითადი პოლემიკა ერთი გადაცემის გარშემო გამართულა და ეს არის გიორგი კალანდიას დოკუმენტური სერიალი "ჩვენებურები". მე არც ეს გადაცემები მინახავს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რა არგუმენტებს იყენებს შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერი — ჩვენი კრიტიკის საგანი ამჟამად უშუალოდ ტელევიზია კი არა, გაზეთში დაბეჭდილი ტექსტია.

მამ ასე, "ცხელი შოკოლადის" ფურცლებიდან კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ პირველი არხი მითოლოგიზირებულ ისტორიასა და "გმირებზე დამყარებულ მომართულ

იდეოლოგიას" ამკვიდრებს. მე არ მესმის, რას ნიშნავს "გმირებზე დამყარებული იდეოლოგია", მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რანაირად უპასუხებს ამ კრიტიკას ჩვენი შემეცნებითი პროდიუსერი: "საინტერესოა, პირველ არხზე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს რომ ნაყვანა გადაცემა რომელიმე დიდი ქართველის სადო-მაზო მიდრეკილებებზე, ეს შემეცნების ფეიერვერკი იქნებოდა?".

ამაზე კი რა ვთქვა? — მეთოდი ამკარად ყვეთილი პრესისაა. ავტორი შეტევაზე გადადის: თქვე ცისფერების დამცველებო თქვენა! მაგრამ სწორედ აქ ვლინდება ზემოთ უკვე ნახსენები პრობლემა: ავტორის გაგებით, მკითხველი და ტელემაყურებელი ინფანტილურია, არ ძალუძს და არც უნდა სურდეს დამოუკიდებელი აზროვნება. ასეთი მაყურებლისათვის კი დამლუპველია იმის წარმოდგენაც კი, რომ "დიდ ქართველებს" შეიძლება ჰქონდეთ არათუ "სადო-მაზო მიდრეკილებები", არამედ პირადი ცხოვრება. მე კი მაინტერესებს, რატომ იღებს ერთი ქართველი პოეტი ქალის ფსევდონიმს და ქალისავე ეროტიკულ განცდებს გადმოსცემს, რატომ ხდება, რომ მეორე ქართველი პოეტი თავისივე ნაყმევებთან საუბარში ხმამაღლა ამბობს, რომ იქვე მყოფი მისი მეუღლე ბერწია..

მაგრამ განა შეიძლება ჩვენი ინფანტილური მაყურებლის ახლოს მიშვება ისტორიასთან? გაფუჭდება, ეროვნულ სახეს დაკარგავს, სულიერებისგან დაიცლება...

ამას მოსდევს კიდევ ერთი ფსევდოარგუმენტი: "სამწუხაროდ, დროის მანქანა არა მატებს, ... შუა საუკუნეებში ვერ გადაგტყორცნი, თქვენი თვალთ რომ განახოთ და საბოლოოდ დაგარწმუნოთ ერისკაცთა ღვაწლსა და თავდადებაში". კი მაგრამ, რატომ უნდა ეგონოს შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერს, რომ იქ მაინცდამაინც ის დახვედება, რაც ერთ-ერთი გვიანდელი ინტერპრეტაციის შედეგია? მისი აზრით გამოდის, რომ წარსულის რეალობა უბრალოდ ისტორიის სახელმძღვანელოს ილუსტრაცია ყოფილა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ XVII საუკუნის ეგვიპტეში გაყიდული ქართველი ქალი, რო-მელიც "ნაპოლეონიც კი გააოცა იმეითა და აბსოლუტური ნიჭით", საკუთარ თავს სულაც არ გრძნობდა ქართველად. ვფიქრობ, ნაპოლეონის "გაოცებაც" უფრო იმით იყო განპირობებული, რომ ბევრად უფრო ველურები ეგონა ეგვიპტის მკვიდრნი, ვიდრე ალმონჩდნენ.

ეს ნაპოლეონი კი მართლაც დაუძლეველ ფეტიშად იქცა: ჯერ ხომ მთელი მსოფლიოს გიჟების საყვარელი პერსონაჟია, ახლა კი ჩვენი შემეცნებითი პროდიუსერიც ასე ცდილობს ჩვენს დარწმუნებას: "საინტერესოა, რომელიმე ფრანგ ჟურნალისტს დოკუმენტური ფილმი რომ გადაეღო ნაპოლეონის მიერ ევროპის დაპყრობაზე, ამას ფრანგები ნაციონალისტური ვნებების გაღვივებად ჩათვლიდნენ?" — სანაძლეოს ჩამოვსკი, რომ ჩათვლიდნენ. ჟურნალისტი კი არა, მე ფრანგი კონტრ-ბასისტი ვიცი ერთი, საშინლად აღშფოთებულია: ეს რა სამარცხვინო ჰომინი გვაქვს, რა დროს სისხლი და

უმნიშვნელობააო! საქმე კი, ბატონებო, "მარსელიეზას" ეხება. ჰოდა, ფრანგებს არ ეშინიათ დამოუკიდებლად მოაზროვნე კონტრბასისტებისა, ჩვენ კი უნდა ვკანკალებდეთ: ვაი, რა გვეშველება, "თეთრი ტაძრიდან" გამოსულ რომელიმე უმანკო სტუდენტს უცებ თვალში კაზინო რომ ეცეს!..

ეგ არაფერი. შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერს არ სცოდნია, რომ გადმოცემის საგანი კი არ ქმნის შეფასების საფუძველს, არამედ გადმოცემის ფორმა და მიმართულება. ამ ადამიანს თურმე უნდა აუფხსნათ, რომ, მაგალითად, ადოლფ ჰიტლერზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი შეიძლება იყოს, მაგრამ შეიძლება არც იყოს ნაციზმის პროპაგანდა...

ზუსტად უნდა გამიგოთ: მე ვერ შევავსებ "ცხელი შოკოლადის" კრიტიკულ წერილებს — არ ნამიკითხავს. ვერაფერს ვიტყვი იმაზე, რას გვთავაზობს გადაცემა "ჩვენებურები" — არ მინახავს. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვამტკიცო დანამდვილებით: თამარ ბოლქვაძის რიტორიკა და არგუმენტაციის დონე არაფერს ამტკიცებს, არაფერში გვარწმუნებს გარდა იმისა, რომ ასეთ ადამიანს არაფერი ესაქმება საზოგადოებრივი მაუწყებლის შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერის თანამდებობაზე. თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი პროდუქციის დაცვის მაგიერ სრულიად საპირისპირო შედეგს აღწევს გონიერი მაყურებლის თვალში.

თუმცა არის უფრო სერიოზული მიზეზიც. ქვემოთ მოყვანილია ტექსტის მთავარი მარგალიტი, რომელიც ასეთი ქვესათარითაა გამოყოფილი: "დღეში ორჯერ საკითხავი მარადიული ფასეულობების კისრისტებით გაუფასურების მოსურნეთათვის". ქართულის მცოდნეთათვის განვმარტავ, რომ ვიღაცებს მარადიული ფასეულობების გაუფასურება სწადათ, თანაც დიდი სისწრაფით. ჰოდა, მათ მიმართავს ჩვენ მიერ დაფინანსებული არხის შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერი: "ერთმა "ჭკუათმყოფელმა" დიდგორის გამარჯვება ეჭვქვეშ დააყენა და ერთი ქართველის მიერ ათი მტრის მოგერიება წარსულის ჰიპერბოლიზაციად მონათლა". ათი მტრის მოგერიებაზე რა მოგახსენოთ — ამგვარი მაგალითები, შესაძლოა არსებობდა კიდევ, ისევე როგორც ხმლის პირველი მოქვეყნებელი დაღუპული ქართველები. მაგრამ, სად სადღეგრძელო და სად ისტორიული ფაქტი... რაც შეეხება დიდგორს, მართლაც არის ისტორიკოს მარგვილის ნიგნი, სადაც გამოთქმულია თუმცა ექსტრავაგანტური, მაინც მეცნიერული კვლევის ფარგლებში მყოფი აზრი, რომელსაც არსებობის უფლებას ვერ წავართმევთ. პირიქით, სწორედ ასეთი ექსტრავაგანტული ჰიპოთეზები ქმნიან იმ არის საზღვრებს, რომელშიც თავისუფლად უნდა მოძრაობდეს აკადემიური კვლევა.

მაგრამ რა შედეგები გამოჰყავს აქედან ქ-ნ ბოლქვაძეს? უკვე მოყვანილ ციტატას უშუალოდ მოსდევს შემდეგი: "თურმე არც დიდგორში გაგვიმარჯვია, არც დავითი, თამარი და სარწმუნოებისათვის ნამებული ქეთევანი გვყოლია. იქნებ არც არასდროს ვყოფილვართ და ნიკოფსიდან დარუბანდამდე ჩვენი საზღვრებიც მოგონილი მითია ნაციონალისტური ვნებების გასაღვივებლად?" — არა, გადავივიარ "კვირის პალიტრაში" პრესობმულსმენად! იქნებ გადავრჩე ამ რეტროსპექტიული პარანოიის განხილვას. ლევან რამიშვილის არ იყოს, მეც იმედიანად მინდა დავამთავრო დღევანდელი ტექსტი: თუ საქართველოში ორმა გაზეთმა და ერთმა ჟურნალმა უარი თქვა ამ აბდაუბდის დაბეჭდვაზე, იქნებ მართლაც გვეშველოს რამე და გაბრწყინდეს ივერია?

საბარო რეისტრის ეროვნული საბანტოს გამოკითხვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თებერვალ-მარტში მოქალაქეთა გამოკითხვა ხუთ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში ჩატარა. კვლევის პირველ ეტაპზე შერჩეული იყო სააგენტოს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართული მცხეთის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის და დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურები.

ბის, კეთილმოწყობის და, ზოგადად, მომსახურების შესახებ მოქალაქეთა აზრის დადგენას, აგრეთვე, სააგენტოს მიმართ ზოგადი განწყობის გამოვლენას.

გამოკითხვები ის მოქალაქეები, რომლებსაც სარეგისტრაციო წარმოებისთვის სამუშაო დღის განმავლობაში კვლევისთვის შერჩეულ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში იყვნენ. სულ 170 მოქალაქე.

კვლევის სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა იმ რესპონდენტთა პასუხებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს და შეავსეს კითხვარი.

კვლევის შედეგებში რესპონდენტთა დადებითი განწყობა გამოიკვეთა მომსახურე პერსონალის, გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების, საოფისე პირობების მი-

მართ. ყველაზე აქტიურად მოქალაქეებმა კონსულტაციის გაუმჯობესებისა (განსაკუთრებით არაქართულენოვან რაიონებში) და რიგი პროცედურული საკითხების მოწესრიგება მიიჩნიეს.

“სააგენტოს მუშაობის სერიოზულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევის შედეგად აშკარად გამოვლინდა მომსახურებით კმაყოფილების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. თუმცა, მოქალაქეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შენიშვნები თუ წინადადებები აუცილებლად საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას,” - აღნიშნულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

მონაცემების დამუშავების შედეგად, მოქალაქეთა ღია კომენტარებსა და დაკვირვებებ-

ზე დაყრდნობით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა წინადადებების პაკეტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყველა ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მომხმარებელთა გამოკითხვებს საჯარო რეესტრი 2007 წლის ივლისიდან პერიოდულად ატარებს. ეს კვლევა სააგენტომ უკვე მეშვიდედ ჩატარა.

მოქალაქეთა დამოკიდებულების შესახებ სრულყოფილი სურათის შესაქმნელად სააგენტო გამოკითხვას საქართველოს სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებშიც გეგმავს.

საკუთარი ინფორმაცია

შს სამხარეო მთავარი სამართველოს შენობა დაცხრილეს

გუშინწინ, გვიან ღამით, მცხეთა-მთიანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარ სამართველოს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაუდგენელმა პირმა მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამართველოს მიმართულ ცეცხლი ღამის ორის ნახევარზე გახსნა და ასევე, მოახერხა "ეფ-1" ტიპის ხელყუმბარის სროლა. დაზიანებულია შენობის წინა მხარე, მსხვერპლი არ არის.

ჯერჯერობით არ არსებობენ დანაშაულში ეჭვმიტანილები.

პირველი

თამარ ჩაროევა და გივი ჩიგოევი გაათავისუფლეს

კოკოითის ხელისუფლებამ ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ ჩაროევა და ადგილობრივი ადმინისტრაციის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გივი ჩიგოევი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

სანაკოევის მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაცია "იბერი ირონის" თავმჯდომარის მაია ჩიგოევა-ცაბოშვილის განცხადებით, კოკოითის ხელისუფლების მიერ დაკავებული ჩაროევასა და ჩიგოევის გათავისუფლება სხვა ფაქტორებთან ერთად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის თომას ჰამარბერგის ჩარევამ განაპირობა.

ჩიგოევა-ცაბოშვილის თქმითვე, გათავისუფლებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ისინი უკვე საკუთარ სახლში არიან.

ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ ჩაროევა და ადგილობრივი ადმინისტრაციის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გივი ჩიგოევი კოკოითის რეჟიმის სამართალდაცველებმა სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავეს.

ორივე დაკავებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული. გავრცელებული ინფორმაციით, თამარ ჩაროევა ქრონიკული ასთმით არის დაავადებული. იგი კოკოითის "ბოევიკებმა" გაკვეთილზე, ბავშვების თვალწინ დააპატიმრეს.

კოკოითის ხელისუფლება რეპრესიებს ახორციელებს ოსი ეროვნების ყველა იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებმაც 2006 წელს "სამხრეთ ოსეთის" ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა.

პირველი

ძებნილი პასპორტის აღებას ცდილობდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურში ძებნილი დააკავეს, რომელიც პასპორტის აღებას დაჩქარებული წესით ცდილობდა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქე 54 წლის გივი კ-ე გამოცხადდა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასაღებად საჭირო დოკუმენტები წარმოადგინა. იგი პასპორტის აღებას 24 საათის განმავლობაში ცდილობდა.

გივი კ-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ იგი შს სამინისტროს მიერ იძებნებოდა.

აღნიშნული ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურმა დიდუბე-ჩუღურეთის შს სამართველოს თანამშრომლებს აცნობა, რომლებმაც ძებნილი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ჯი-ეიჩ-ენი

მოსკოვის ოლქში საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავეს

მოსკოვის ოლქში კრასნოზნამეისკოეში ძარცვაში ეჭვმიტანილი საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ მოსკოვის ოლქის სამართალდამცველები ავრცელებენ.

"დაკავებულმა ბოროტმოქმედებმა ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში კარი ჩამოღეს და ბინიდან 370 ათასი რუსული მოიპარეს. მათ ასევე ხელს გააყოფეს საიუველირო ნაწარმი და ძვირფასი ნივთები. ხოლო იმის გამო, რომ ბინა ელექტროსიგნალიზაციით იყო აღჭურვილი, სწრაფი რეაგირების ჯგუფმა ბოროტმოქმედთა დაკავება დანაშაულის ადგილზევე შეძლეს," - იუწყებიან სამართალდამცველები.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და დგინდება დაკავებულთა მიერ ჩადენილი სხვა ძარცვები.

ჯი-ეიჩ-ენი

საკანონმდებლო ინიციატივები საპარლამენტო კომიტეტებში

სასამართლო პროცესზე უცხოელი ადვოკატი დამცველის სტატუსის მისაღებად იმ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებიც საქართველოში ერთიანი საკანონმდებლო ტესტირებით არის გათვალისწინებული. კანონპროექტში "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე" ეს საკანონმდებლო ინიციატივა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ წარმოადგინა..

საკანონმდებლო ინიციატორის განმარტებით, უმრავლეს შემთხვევაში, უცხოელ ადვოკატს შეუძლებელია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საკმარისი ცოდნა ჰქონდეს და ამასთან, ფლობდეს სამართალწარმოების ენას იმ დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის დაცვის უფლებით სარგებლობას. შესაბამისად, მას შეუძლია სასამართლო პროცესზე მხოლოდ დამცველის კონსულტანტის სტატუსით იყოს წარმოდგენილი.

ლორთქიფანიძის განცხადებით, კანონპროექტის მიზანია,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან იმ დებულების ამოღება, რომლითაც იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, უცხოელი ადვოკატი შეიძლება დაშვებული იყოს დამცველად.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი არსენიშვილის განცხადებით, წარმოდგენილი კანონპროექტი ქართველ და უცხოელ ადვოკატებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანაბარ პირობებში აყენებს.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადებული აქვს პარლამენტი წევრ გიორგი

ცაგარეიშვილისაც. მისი ინიციატივა ეხება სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებსა და დამატებებს, ხოლო "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადებული აქვთ ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატებს". ამ საკანონმდებლო ინიციატივების მოსმენა საპარლამენტო კომიტეტებში უახლოეს დღეებში დაიწყება.

საკუთარი ინფორმაცია

ფრანგი ბოგონას ბატაცხაბაში რუსულ კვალს ეძებენ

სამი წლის ფრანგი გოგონას გატაცების სკანდალურ ისტორიაში რუსულ კვალს ეძებენ. საქმე ისაა, რომ გაუჩინარებული გოგონას მამა მიშელ ანდრე დარწმუნებულია, რომ ბავშვის გატაცებას ორგანიზება მისმა რუსმა მეუღლემ ირინა ბელენკაიამ გაუწია. "მოგიწოდებ, რაც შეიძლება ჩქარა ჩაბარდე პოლიციას," - ამ განცხადებით მიმართა გოგონას მამამ ყოფილ მეუღლეს ტელევიზიის საშუალებით.



გატაცებული ბავშვის ძებნის ოპერაციაში სპეცსამსახურების 1000-მდე თანამშრომელი მონაწილეობს.

ბადებული. გაირკვა ისიც, რომ ის ადრეც იყო გატაცებული. 2007 წელს ბავშვი დედამ საფრანგეთიდან რუსეთში გაიტაცა, რასაც წინ უსწრებდა ცოლქმრის გაყრის ხანგრძლივი და სკანდალური პროცედურა. მაშინ მიშელ ანდრემ სასამართლოს მიმართა და ყოფილი მეუღლის საერთაშორისო ძებნის დად გამოცხადება მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ელზა ანდრეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს. სამი წლის ბავშვს რუსეთის პას-

პორტიც აქვს და საფრანგეთისა. რუსული მართლმსაჯულების დახმარებით, ირინა ბელენკაიამ ბავშვზე მზრუნველობის უფლება მოიპოვა, ფრანგულმა მართლმსაჯულებამ კი მიშელ ანდრეს მიანიჭა გოგონაზე მზრუნველობის უფლება.

თავის დროზე, მიშელ ანდრეს წინააღმდეგ ირინა ბელენკაიამაც შეიტანა სასამართლოში სარჩელი და ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. ამის მიზეზი ბავშვის მამის ქცევა გახდა. მიშელ ანდრემ ახლა აღიარა, რომ რუსული კანონმდებლობის იგნორირებით, დედის დაუკითვად, ბავშვი მოსკოვიდან საფრანგეთში ფარულად წაიყვანა.

"ჩემს წინააღმდეგ რუსეთში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ჩემი რუსეთში ჩასვლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, დავდგამ თუ არა რუსეთის ტერიტორიაზე ფეხს, დამაკავებენ," - აცხადებს მიშელ ანდრე.

გოგონას გაუჩინარების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გატაცებაში ეჭვმიტანილი იყო ახალგაზრდა ქალი და ორი მამაკაცი, რომლებიც შვეიცა-

რიდან მოსკოვში მიმავალ თვითმფინავში ნახეს. თუმცა, მოგვიანებით, ეს ინფორმაცია სამართალდამცველებმა თავადვე უარყვეს.

"გატარებული ღონისძიებების შედეგად, არ დასტურდება, რომ გაუჩინარებული გოგონა მოსკოვში გადააფრინეს," - აცხადებს პროკურორი ანტუან პაგანელი.

არ დადასტურდა ასევე გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გატაცებაში ეჭვმიტანილები გატაცებულ გოგონასთან ერთად შვეიცარიაში, ერთ-ერთ ავტომანქანაში შეამჩნიეს.

გატაცებული გოგონას ფოტოები გარდა საფრანგეთის ქალაქებისა, ევროკავშირის წევრთა ქმის ყველა ქვეყანაშია გამოფენილი.

"იმ შემთხვევაში, თუკი ფრანგი სამართალდამცველები ოფიციალურად მოგვამართავენ და დახმარებას გვთხოვენ, ჩვენ მზად ვართ, ჩავერთოთ ძებნაში," - აცხადებენ რუსი სამართალდამცველები.

23 მარტი - მატეოროლოგიის მსოფლიო დღე

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (**მმო**) და საერთაშორისო მეტეოროლოგიური საზოგადოებრიობა ყოველწლიურად აღნიშნავენ მეტეოროლოგიის მსოფლიო დღეს, რომელიც 1950 წლის 23 მარტს, **მმო**-ს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული დანესხეულების დაარსების შესახებ კონვენციის ძალაში შესვლასთანა დაკავშირებულია.

მმო-ს აღმასრულებელი საბჭოს მიერ ყოველწლიურად დგინდება ამ დღესასწაულის თემა. მიმდინარე 2009 წელს თემად გასაზღვრულია "ამინდი, კლიმატი და ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ".

ამ თემის აქტუალობა, ჯანმრთელობის დაცვის, სურსათის, სიღარიბის აღმოფხვრის სფეროებში გაერო-ს ათასწლეულის დეკლარაციაში ფორმულირებული მიზნების მიღწევასკენ მისწრაფებით, აგრეთვე მედიკინის სფეროს მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ ამინდის, კლიმატის და ჰაერის შემადგენლობის ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სულ უფრო მზარდი გაცნობიერებითაა განპირობებული.

დადგენილია, რომ ამინდის და კლიმატის პირობები არსებით ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ატმოსფერული ჰაერის ექსტრემალურად მაღალი ან დაბალი ტემპერატურა და სინოტივი, ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვლილებებია, ელვა და სხვა სახის ატმოსფერული მოვლენები ადამიანში არა მხოლოდ უსიამოვნო შეგრძნებებს, არამედ სუნთქვის და გულსისხლძარღვთა ორგანოების დაავადებებთან გამწვავებას იწვევენ.

კიდევ უფრო ცხადია, მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება.

ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის მკვეთრი ზრდის შედეგად, ენერგომომხარების, სამრეწველო და სხვას სახის სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაციამ იმპულსი მისცა ატმოსფეროში მავნე გაზების და ნაწილაკების დიდი რაოდენობით გაფრქვევას, რამაც არსებითად შეცვალა ჰაერის შემადგენლობა - გააუარესა მისი ხარისხი.

ჰაერის დაბინძურება რესპირატორული, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და ნერვული სისტემის დაავადებების გარდაცემის, ხშირ შემთხვევაში კი მათი წარმოშობის მამოძრავებელ როლს ასრულებს.

ატმოსფერული ჰაერის და შესაბამისად ატმოსფერული ნალექების დაბინძურება, თავის მხრივ, აუარესებს წყლის და ნიადაგის ხარისხს, აზიანებს მცენარეულ საფარს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და საერთოდ ეკოსისტემებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეტეოროლოგიური თუ კლიმატური პირობები არსებით გავლენას ახდენენ გარემოს დაბინძურების ხარისხსზე.

ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გავრცელების მასშტაბები და სიჩქარე, მათი გარემოს სხვა კომპონენტებში (ჰიდროსფერო, ლითოსფერო) გადაადგილების შესაძლებლობები, გარემოში მათი არსებობის ხანგრძლივობა და კონცენტრაციები ძირითადად ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე, ატმოსფერული ნალექების ინტენსივობასა და სიხშირეზე, ატმოსფეროს ტემპერატურულ რეჟიმზე და სხვა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზეა დამოკიდებული.

მეორეს მხრივ, ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს თვით ამინდის და კლიმატის რეჟიმზე. ასე მაგალითად, კვლევებით დადასტურებულია, რომ კლიმატის გლობალური ცვლილება ეწ "სათბურის გაზების" ხოლო ოზონის შრის გაიშვითა და ქლოროფორმანბინდების ატმოსფეროში დიდი რაოდენობით გაფრქვევებითაა გამოწვეული. დადგენილია ისიც, რომ ატმოსფეროში გაფრქვეულ ცალკეული სახეობის ნაწილაკებს შეუძლიათ მეცვალე მზიან დენს დაამინისკენ მომავალი სითბოს შთანთქმისა და არეკვლის მრავალი ასეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ნალექების მოსვლის შენელება ან დაჩქარება გამოიწვიონ.

ყოველივე ზემოთთქმული იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ატმოსფერული ჰაერის და გარემოს სხვა კომპონენტების ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირებისთვის სრულებით არ არის საკმარისი

მხოლოდ გარემოს დაბინძურებაზე (ქიმიურ-ბიოლოგიურ პარამეტრებზე) დაკვირვების სისტემების არსებობა. ამისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა - გარემოს ხარისხობრივ პარამეტრებთან ერთად მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური ფაქტორების გათვალისწინება.

საკითხის მხოლოდ ამგვარად გადნევა შექმნის გარემოს მდგომარეობის ობიექტურად შეფასების და მისი ეფექტურად მართვის საშუალებას. ხელს შეუწყობს საზოგადოების მდგრადი განვითარების მიღწევას.

თვით მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური ფაქტორი და მოსალოდნელი პირობების შეფასებისთვის აუცილებელია, შესაბამის პარამეტრებზე დაკვირვების, მონაცემთა შეკრების, დამუშავებისა და გავრცელების სისტემების არსებობა.

უძველესი ცივილიზაციების ჩანაწერებში ხშირადაა მოხსენიებული ცნობები ამინდისა და კლიმატის შესახებ. სხვადასხვა კულტურების მიერ მეტეოროლოგიური პარამეტრების გასაზომად შექმნილი იყო მარტივი, მაგრამ საკმაოდ გონებაბაზვილიური ხელსაწყოები.

XVII საუკუნის შუა პერიოდში კაცობრიობა ცდილობდა რა მოსალოდნელი ამინდის პროგნოზირებას, დაიწყო დაკვირვების მონაცემთა სისტემატური შეკრება. მართალია, მეტეოროლოგიური მოვლენების ტრანსსახელგრო ხასიათი იმ დროისთვისაც საკმაოდ ნათელი იყო, მაგრამ საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული მეტეოროლოგიური დაკვირვების კონცეფციის შემუშავებას კიდევ ბევრი დრო დასჭირდა.

პირველ საერთაშორისო მეტეოროლოგიურ კონფერენციაზე (ბრიუსელი, 1853 წ.) და საერთაშორისო მეტეოროლოგიურ კონგრესზე (ვენა, 1873 წ.) გადნედა, რომ დაფუძნებულიყო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა მეტეოროლოგიის სფეროში საქმიანობის საერთაშორისო დონეზე კოორდინირებას. ამ მიზნით შეიქმნა საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, რომელიც 1950 წლის 23 მარტს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად, გარდაიქმნა თანამედროვე მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციად.

ალანინშნავია, რომ **მმო**-ს დაფუძნებასთან ერთად, დედამიწის ორბიტაზე გაჩნდა 2 თანამგზავრი, რომლებიც სწრაფად გადნენ ჩვენი "თვლები" ცაზე. მათი მეშვეობით წარმოებდა გლობალური სახელულებებისა და სხვა სახის კომპლური ხასიათის ინფორმაციის მიღება ღრუბლებისა და ამინდის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

იმავ პერიოდში, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების სფეროში ისეთი ნარმატებები იქნა მიღწეული, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა რიჩარდსონის მიერ შემოთავაზებული ამინდის პროგნოზის რიცხვითი მეთოდების გამოყენება.


ამ ორი ტექნოლოგიური მიღწევის მნიშვნელობა მაშინვე იქნა აღიარებული სამეცნიერო საზოგადოების მიერ და 1961 წლის 20 დეკემბერს **გაერო**-მ მიიღო სპეციალური რეზოლუცია

კოსმოსური სამყაროს მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების შესახებ. რეზოლუციით, ამ ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების გეგმის შემუშავება **მმო**-ს დაევალა.

შემდგომ, დაფუძნდა **მმო**-ს გლობალური ატმოსფერული პროცესების კვლევის პროგრამა -ამინდის მსოფლიო სამსახური, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეტეოროლოგიური ინფორმაციის სტანდარტიზაციის, მონაცემთა შეკრების, ანალიზის, დამუშავებისა და გლობალური მასშტაბით გავრცელების სისტემებს.

ამინდის მსოფლიო სამსახურის ძირითად კომპონენტს დედამიწაზე, ზღვაზე, ჰაერში და კოსმოსურ სივრცეში მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების გლობალური სისტემა წარმოადგენს. ამ სისტემაში გაერთიანებულია **მმო**-ს წევრი 188 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

დღეისათვის, მსოფლიოში 100 000-ზე მეტ მინისპირა სადგურზე, 7 000 საზღვაო ხომალდზე და ათასობით სტაციონალურ და მოდერული პუნქტზე წარმოებს რეგულარული მეტეოროლოგიური დაკვირვებები.



ამ პუნქტებზე იზომება ატმოსფერული წნევა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ატმოსფეროს ტემპერატურა და სინოტივი, ნალექების რაოდენობა, ვიზუალურად ისაზღვრება აგრეთვე ღრუბლების ტიპი და რაოდენობა, ჰორიზონტალური ხილვადობა, ამინდის ხასიათი და სხვა.

ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურები აღჭურვილია სპეციალური სენსორებით და აქვთ ინფორმაციის დამუშავების რთული ალგორითმები. მათი გამოყენება ძალზე ეფექტურია დაშორებულ და ძნელად მისაღწეად ადგილებზე.

მეტეოროლოგიური რადარების მეშვეობით, წარმატებით წარმოებს დაკვირვებები ნალექების ინტენსივობასა და განაწილებაზე. ისინი იძლევიან ნალექნარმომქმნელი სისტემების გადაადგილებაზე დაკვირვების საშუალებას, რაც ხელს უწყობს ძლიერი წვიმების, წყალდიდობების და ღვარცოფების პროგნოზირებას.

ატმოსფეროს მაღალ ფენებში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესების შესასწავლად, წარმოებს ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირება (სპეციალური რადიოზონდების გაშვება)- ე.წ. აეროლოგიური დაკვირვებები. მსოფლიოში ამჟამად ფუნქციონირებს 900-ზე მეტი ამგვარი დაკვირვების პუნქტი. აეროლოგიური დაკვირვებები წარმოებს აგრეთვე თვითმფრინავებიდან ჩამოვადებული სპეციალური ზონდების და უშუალოდ თვითმფრინავებზე დაყენებული გამზომი ხელსაწყოების მეშვეობით.

დაკვირვების გლობალური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კოსმოსიდან დაკვირვებები. ამჟამად ამ სისტემაში ჩართულია 16 ოპერატიული და ექსპერიმენტალური თანამგზავრი. ისინი არსებითად აესებენ ნერტილოვანი დაკვირვების ხარვეზებს სივრცეში ინფორმაციის დისკრეტულობის თვლსაზრისით. თანამგზავრებიდან მიღებული მონაცემები წარმატებით გამოიყენება ატმოსფეროს რიცხვითი მოდელისთვის, ღრუბლიანობის სურათების მისაღებად, თოვლის საფარისა და მყინვარების შესასწავლად, გარემოს კომპონენტების ხარისხის შესაფასებლად, ტყის ხანძრების და ვულკანური ამოფრქვევების აღმოსაჩენად და სხვა ობიექტებზე დასაკვირვებლად.



დაკვირვების მონაცემთა შეთავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, გამზომი ხელსაწყოების განთავსების და დაკვირვებების წარმოების პროცე-

დურების სფეროში, **მმო**-ს მიერ დადგენილია დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები.

მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა მიერთებულია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კონვენციას და ჩართულია მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის გლობალურ სისტემაში. საქართველო **მმო**-ში გაწევრიანებულია 1994 წლიდან.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურს არსებობის 160 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ პერიოდში მრავალჯერ შეიცვალა მისი იურიდიული სტატუსი. ამჟამად სამსახური საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაშია.

აღნიშნულ სააგენტოში გაერთიანებულია ადრე დამოუკიდებელ სტრუქტურებად არსებული მონიტორინგული სამსახურებიც (გეოლოგიური, ნაპირ-დაცვითი და სხვა). სააგენტოს სისტემაში ცალკე სტრუქტურულ ერთეულადაა წარმოდგენილი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სამსახური, რომელიც ადრე ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის შემადგენელი ნაწილი იყო.

სააგენტოს სისტემაში მონათესავე პროფილის მონიტორინგული სამსახურების გაერთიანებამ, მათში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალება შექმნა. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური ფლობდა ჰიდრომეტეოროლოგიურ და გარემოს დაბინძურების ამსახველ პარამეტრებზე დაკვირვების ფართო ქსელს. დაკვირვებით მოცული იყო საქართველოს ტერიტორიის თითქმის ყველა რეგიონი, დიდი და საშუალო ზომის მდინარე, აგრეთვე ტბები, წყალსაცავები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ჩვეულებრივი, სტანდარტული დაკვირვებების გარდა წარმოებდა ისეთ ძვირადღირებული სპეციალიზირებული დაკვირვებები, როგორცაა აეროლოგიური, რადიოლოკაციური, აქტინომეტრული, ოზონმეტრული, წყალბალანსური და სხვა. წარმოებდა აგრეთვე არა-ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ მოვლენებზე (სეტყვა, თოვლის ზვავი) აქტიური ზემოქმედების საშუაობები.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცნობილი მიზეზე-

ში. არსებითად (თითქმის 10-ჯერ) შემცირდა დაკვირვების პუნქტების რაოდენობა. მთლიანად შეწყდა აეროლოგიური, რადიოლოკაციური და სხვა სახის ძვირადღირებული დაკვირვებები. შეწყდა აგრეთვე არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების საშუაობები.

მდგომარეობა გაცილებით მძიმე იქნებოდა, რომ არა 1995-2004 წლებში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ აღმოჩენილი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხასიათის დახმარებით.

ბოლო წლებში არსებითად გაიზარდა აღნიშნული დარგების მხარდაჭერისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების რაოდენობა. 2007-2008 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გაუმჯობესდა მუშაკთა შრომის პირობები, სათანადო კომპიუტერული და პროგრამული საშუალებებით აღჭურვა სატელეკომუნიკაციო და პროგნოზული ქვედანაყოფები, აღდგა ცალკეული სახეობის დაზიანებული გამზომი ხელსაწყოები.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების მეშვეობით დაგეგმილია მეტეოროლოგიური დაკვირვების გამზომი, აგრეთვე სპეციალიზირებული სატელეკომუნიკაციო და საერთაშორისო არხებით სინოპტიკური პროდუქციის ვიზუალიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნა და დანერგვა. მათ შორის იგეგმება, როგორც გამოყენებით, ასევე სამეცნიერო მიზნებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების კომპლექსის შექმნა და დანერგვა.

ბოლო წლებში მეტად გააქტიურებულია მუშაობა შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და დონორი ქვეყნებისგან დახმარების მიღების მისაღწევად. **მმო**-ს, **NATO**-ს, **TACIS**-ის, **USAID**-ის, აგრეთვე დონორი ქვეყნების: ფინეთის, კანადის, ნორვეგიის მთავრობების დახმარებით ბოლო 5 წლის განმავლობაში შექმნილი და დანერგულია ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების პარამეტრების გამზომი და ანალიტიკური თანამედროვე საშუალებები. მათ შორის აღსანიშნავია შორ მანძილზე გადატანილი ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების გამზომი რეგულირებადი ხელსაწყო-დანადგარები, მინისპირა ოზონის, მდინარეებში წყლის დონისა და ხარჯის ავტომატურად მზომი თანამედროვე საშუალებები და სხვა.

იმედს გვაქვს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორი ქვეყნების მიერ გაწეული დახმარებები და ახლო მომავალში საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროში საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელდება. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს გარემოს მდგომარეობის ეფექტურად მართვას, ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის მდგრადი განვითარების და უკეთესი მომავლის მიღწევის საქმეში.

ფულოცავთ საქართველოს მეტეოროლოგებს, კლიმატოლოგებს, ჰიდროლოგებს, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავე მეცნიერებს და სპეციალისტებს ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს - მეტეოროლოგიის მსოფლიო დღეს.

შალვა ჯაჰანაძე
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

რამაზ შიშინაძე
გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში

მარინა არაბიძე
გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დარგში საქმიანობის სფერო-დეპარტამენტის უფროსი

მოსკოვიური მოლაპარაკებები

ურთიერთობების დათბობის დასაწყისი ეტაპი

სათუნა გაბიძაძე



ზრძენა ჯგუფის დიპლომატი: ჰენრი კისინჯერი და ევგენი პრიმაკოვი

ტიკოსის თქმით, ორი ქვეყნის ურთიერთობები ამჟამად გაუმჯობესების ეტაპზეა.

"ჩვენმა პრეზიდენტმა თქვენს

პრეზიდენტს ნერილი მისწერა, ხოლო ამერიკელმა ვიცე-პრეზიდენტმა გამოიყენა ისეთი გამოთქმა, როგორცაა "ურთიერთობე-

ბის გადატვირთვა" და ახლა უკვე, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები სამომავლო დაახლოებისკენაა მიმართული," - აღნიშნა კისინჯერმა.

"ზრძენა ჯგუფის" დიპლომატი, რომელსაც ოფიციალურად "რუსეთი-ამერიკა. ხედვა მომავლისკენ" ეწოდება, რუსული მხრიდან კისინჯერის თანათავმჯდომარე ყოფილი პრემიერ-მინისტრი და რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ყოფილი მეთაური, ამჟამად სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი ევგენი პრიმაკოვი.

ვეტერანი პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა სხდომა კვირის ბოლოს, მოსკოვში ჩაატარა, თანათავმჯდომარეები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევსაც შეხვდნენ.

ტერმინი "ურთიერთობების გადატვირთვა" პირველად მიმდინარე წლის თებერვალში, მიუნხენის კონფერენციაზე, შეერთებული შტატე-

ბის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა გამოიყენა, როდესაც ოფიციალური ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობების განახლების აუცილებლობაზე საუბრობდა.

მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობების "გადატვირთვა" სიმბოლურად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა 6 მარტს, ჟენევაში შეხვედრისას დაიწყეს. ჰილარი კლინტონმა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სურვილის სიმბოლოდ ლავროვს დიდი ნითელი ფერის ლილაკი გადასცა. მათ ერთად დააჭირეს ხელი ლილაკს "გადატვირთვის" აღსანიშნავად.

რუსეთის ფედერაციაში შეერთებული შტატების პირველი პირის ჩასვლამდე კი მედვედევ-ობამას შეხვედრა ლონდონში, 1 აპრილს დაგეგმილი "დიდი ოცეულის" სამიტის ფარგლებში მოხდება.

ირანი ამერიკისგან პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს

მარიკა იაზვილი

ერთობის "თავიდან დაწყებას" გულისხმობს. პრეზიდენტმა ირანსა და აშშ-ს შორის არსებული პრობლემების მოგვარებაზე ხუთშაბათს გავერცელებულ ვიდეომიმართვაში ისაუბრა. ობამას გეგმები ბუშის ადმინისტრაციის მიდგომისგან ძირეულად განსხვავდება, რაც ირანის ლიდერებისა და მოსახლეობისთვის ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე აშშ-ს წინა პრეზიდენტის დამოკიდებულება.

ურთიერთობა აშშ-სა და ირანს შორის თეირანის ბირთვული პროგრამის გამო დაიძაბა. ირანელი ანალიტიკოსი სადექ საბა მიჩნევს, რომ ურთიერთობების დათბობისთვის მინიმალური მოთხოვნა, რომლის შესრულებაც ვაშინგტონს მოუხდება, ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემცირებაა.

წმინდა ქალაქ მამუჰადში მრავალრიცხოვანი მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას აიათოლა ხამენეიმ განაცხადა, რომ ირანს ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან და

პრეზიდენტთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ აქვს. "თუ თქვენ შეცვლით თქვენს დამოკიდებულებას, ჩვენ შევცვლით ჩვენსას," - აცხადებს იგი. ხამენეიმ გამოსვლაში, რომელიც ირანის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, აღნიშნა, რომ ირანმა აუცილებლად უნდა დაინახოს მისთვის მისაღები სიახლეები. "რა შეიცვალა თქვენს პოლიტიკაში - გააუქმეთ სანქციები? შეწყვიტეთ სიონისტური რეჟიმის მხარდაჭერა? გვითხარით, რა შეცვალეთ. ცვლილებები მხოლოდ სიტყვებში საკმარისი არ არის," - განაცხადა ხამენეიმ.

ამერიკის ადმინისტრაციის ინიციატივას ირანელ პოლიტიკოსთა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს. თუმცა, ანალიტიკოსი სადექ საბა მიჩნევს, რომ ირანელების უმაღლეს სულიერ ლიდერს შეუძლია ამერიკელთა შემოთავაზებების მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის არსებულ აზრთა სხვადასხ-

ვაობას ბოლო მოუღოს. მოთხოვნა ობამასადმი, რომ ისრაელის მხარდაჭერა შეწყვიტოს, რასაკვირველია, არარეალურია, - მიაჩნია მას, თუმცა აცხადებს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ან ირანული აქტივების გაყინვის გაუქმება ირანს აშშ-ს სერიოზულ განწყობაზე მიანიშნებდა.

პრეზიდენტ ობამას შეთავაზება პირდაპირ ვიდეომიმართვაში გაუღერდა, რომელიც ირანულ ახალ წელს ეძღვნებოდა. გამოსვლაში ობამამ აღნიშნა, რომ ირანთან "პატიოსნებასა და ორმხრივ პატივისცემაზე" დაფუძნებული შეთანხმების მიღწევას ცდილობს. "ჩემი ადმინისტრაცია ირანთან ახალი დიპლომატიური მიდგომის შემუშავებას ცდილობს, რამაც პრობლემების მრავალფეროვანი დიაპაზონის წინაშე დაგვაყენა," - აღნიშნა ობამამ. მიმართვა თეთრი სახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც განთავსდა.

ირანის საკითხისადმი ობამას

დამოკიდებულება პირველად მისი ინაუგურაციის დღეს გაუღერდა და სრულიად განსხვავდება ბუშის პოლიტიკისაგან, რომელიც ირანს "ბოროტების ბუდე" უწოდებდა.

ირანთან შეთანხმების მისაღწევად გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად ამერიკის ადმინისტრაცია მოლაპარაკებათა დაწყებას მიიჩნევს. პირველი ეტაპი იქნება ნერილი, რომელსაც ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ხამენეი ზაფხულის არჩევნების დაწყებამდე მიიღებს.

ასეთ ვითარებაშიც კი პრეზიდენტმა ობამამ ირანის მიმართ დაწესებული სანქციები გაზარდა, რაც იმით ახსნა, რომ ირანი აშშ-ს დღემდე უქმნის საფრთხეს.

ამერიკის ადმინისტრაციაში მიჩნიათ, რომ ურანის გამდიდრების პროგრამა საფარია, რომელსაც თეირანი ატომური იარაღის შესაქმნელად იყენებს. ოფიციალური ირანი ბრალდებას უარყოფს.

სოჭის მერის არაორდინალური არჩევნები

დაუშვებს თუ არა ხელისუფლება ოპოზიციას "ოლიმპიური ქალაქის" სათავეში

ივა ჰილაკაძე

მერის თანამდებობისთვის ალბათ ანდრეი ლუგავოი იბრძოლებს. "ერთიან რუსეთს" თავისი კანდიდატი ჯერ არ წამოუყენებია, მაგრამ მმართველი პარტია, ლოგიკურად, მერის მოვალეობის ამჟამინდელ შემსრულებელ ანატოლი პახომოვს წარადგენს. სხვა კანდიდატებიდან საინტერესოა სკანდალურად ცნობილ ბალერინა ანასტასია ვოლოჩკოვას კანდიდატურა. უფრო სერიოზულად კი ბიზნესმენ-პოლიტიკოს ალექსანდრ ლებედევს და მოძრაობა "სოლიდარობის" თანათავმჯდომარე ბორის ნემცოვს უნდა მივუდგეთ.

ალექსანდრ ლებედევი დამოუკიდებელი კანდიდატია (ოფიციალური განაცხადი გუშინ არც მას ჰქონდა შეტანილი), მას მხარს უჭერს სსრკ-ს ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი, ისინი ერთად ფლობენ "ნოვიაა გაზე-

ტას". ადრე ლებედევი "ერთიანი რუსეთის" წევრი იყო, თუმცა ახლა ყოფილი თანაპარტიელების მხარდაჭერის იმედი, ცხადია, აღარ აქვს.

ყველაზე საინტერესო ფიგურა ალბათ მაინც ბორის ნემცოვია. იგი რუსეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი, შემდეგ კი "მემარჯვენე ძალთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. ნემცოვი რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების და განსაკუთრებით პრემიერ ვლადიმირ პუტინის რადიკალურ ოპოზიციას წარმოადგენს. "სოლიდარობა" აქამდე არც მონაწილეობდა არჩევნებში, რადგან ეს კრემლის დადგმულ მორიგ ფარსად მიაჩნდა. ამ აზრზე განსაკუთრებით აქტიურად იდგა აქამდე ამ მოძრაობის მეორე თანათავმჯდომარე გარი კასპაროვი. ნემცოვის წამოწვლა "მემარჯვენე ძალთა კავში-

რიდან" იმით იყო განპირობებული, რომ ეს პარტია მთავრობასთან თანამშრომლობას და "კონსტრუქციული ოპოზიციის" როლს დათანხმდა. არ არის ცნობილი, "სოლიდარობამ" თავისი იდეოლოგიური პოზიცია გადასინჯა თუ, უბრალოდ, პუტინის ხელისუფლების "ტესტირებას" ახდენს. ყოველ შემთხვევაში, ეს კამპანია გამოსადეგია პარტიისა და მისი პოზიციების პროპაგანდისთვის. ნემცოვმა უკვე დაიწყო თავისი წინასაარჩევნო კამპანია. მისი თქმით, მას თვით სოჭის მოსახლეობის ნაწილმა სთხოვა კენჭისყრა. იგი აპირებს, ხალხს არაფორმალურ ვითარებაში შეხვდეს - კაფეებში, სუპერმარკეტებში, პლაჟებსა და ბაზრებზე. ნემცოვის აზრით, ეს უფრო ეფექტურია, ვიდრე ოფიციალური ღონისძიებები.

საგულისხმოა ისიც, რომ თვით

რუსი ექსპერტების დიდ უმრავლესობას არ სჯერა თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობის. მათი აზრით, ნემცოვს, სავარაუდოდ, არც გაატარებენ რეგისტრაციას (ეს შეიძლება ლებედევსაც ეხებოდეს) და არჩევნებს "ადმინისტრაციულ" ელფერს მისცემენ. ამისთვის საბაბად ნებისმიერი წვრილმანის გამოყენება შეიძლება - მაგალითად, ქონებრივ დეკლარაციაში გამორჩენილი გარაჟი ან "არასრული" ბიოგრაფიული მონაცემები... რუსი პოლიტიკური მიმომხილველების აზრით, პუტინი ალბათ არ არის მზად, დაივიწყოს ნემცოვისა და მისი მოძრაობის უმწვავესი კრიტიკა და საერთოდ, ასეთ თანამდებობაზე ნამდვილი ოპოზიცია "მიუშვას". ნემცოვმა რეგისტრაციის ოფიციალური დადასტურება ერთ კვირაში უნდა მიიღოს.

სტაბილურობისთვის...
 სიმშვიდისთვის...
 გარანტირებული
 სარგებლისთვის...

მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც
მსოფლიოში მილიონობით მანაბრე
 ენდობა!



ბანკი რესპუბლიკა
 BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსნიკოვა ჟანაჩილი

"გამოტანარი" ანატარი

გახსნარი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55
www.republic.ge



ქეთი მატაბელის „უთვალავფერაზიანი“ სამყარო

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინტერპრეტაცია

23 მარტი

თეატრი

„ვერიკო“

„ეს რა წიგნი ყოფილა“
დასაწყისი: 18.00

კინო

„რუსთაველი“

„გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა“

დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00

„მადაგასკარი 2“

დასაწყისი: 12.14; 14.00; 15.45; 17.30; 19.15; 21.00

„ცვლილება“

დასაწყისი: 13.00; 16.15; 19.00; 21.30

„მილიონერი გარეუბნიდან“
დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45;

„ვარდისფერი პანტერა 2“

დასაწყისი: 20.00; 21.45

„ვიკი, კრისტინა, ბარსელონა“

დასაწყისი : 19.30

„რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“
დასაწყისი: 22.00

„ამირანი“

„გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა“

დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15

„ვარდისფერი პანტერა 2“

დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00

„მილიონერი გარეუბნიდან“

დასაწყისი: 20.00; 22.00

გამოფენა

„არსი“

გია ბულაძის პერსონალური გამოფენა
„ავგისტოს შეკითხვები“

„ქარვასლა“

ანა შალიკაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა

თამარ კიკნაველიძე

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის მიზნით ამოქმედებულ პროექტს, რომლის ფარგლებში უკვე სამი წიგნი გამოიცა, ქეთი მატაბელის მიერ ინტერპრეტებული „ვეფხისტყაოსანი“ შეემატა.

ამ გამოცემის ავტორი აღნიშნავს, რომ მან, როგორც მხატვარმა, „ვეფხისტყაოსანი“ მას შემდეგ გაიაზრა, რაც ვიქტორ ნოზაძისა („ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“) და ზვიად გამსახურდიას („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“) შრომებს გაეცნო. „ამით გარდა, მე გვერდით მყავდა მამუკა თავაქარაშვილი, - ამბობს ქეთი მატაბელი, - რომლის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი შთავგონების წყარო გახდა“.

რა მნიშვნელობა აქვს ავტორთა ამ ჩამონათვალს მხატვრის შემოქმედებაში? შეიძლება ითქვას, რომ განმსაზღვრელი, რადგანაც ქეთი მატაბელის დაფილიანტებული „ვეფხისტყაოსანი“ მათი კვლევებით არის ნასაზრდოები და ამასთან, წარმოაჩენს მხატვრის სუბიექტურ დამოკიდებულებას, მის მიერ, უპირველესად, ფერში აღქმულ და დანახულ რუსთაველის სამყაროს. ეს ამ პოემის გამოსახვის კიდევ ერთი, საკმაოდ უჩვეულო, მცდელობაა.

წიგნი, რომელიც „ჯეოექს ფაბლიმინგისა“ და სტამბა „სეზანის“ ერთობლივი პროექტის ნაწილია, ქეთი მატაბელის 101 ნამუშევრს მოიცავს. გამოცემას, რომლის დიზაინი გიორგი ბოხუას ეკუთვნის, თან ლევან გიგინეიშვილის წინასიტყვაობა ახლავს, სადაც მხატვარზე ნათქვამია:

„ქეთი მატაბელის ილუსტრაციები მხატვრის რუსთაველის პოემის სამყაროში ინტელექტუალური და ემოციური ჩაძირვის შედეგია. მისი შთავგონების წყაროა როგორც თავად პოემა, ისე სერიოზული მუშაობა სამეცნიერო ლიტერატურაზე. ძნელია მარტივ ფორმულაში, ერთმნიშვნელოვნად დაახასიათო რუსთაველის მსოფლმხედველობა; საპირისპიროდ, სხვადასხვა კულტურების, რელიგიების, ფილოსოფიური და ასტროლოგიური იდეების მოტივები ერთმანეთში ისეა გადაქარვული, რომ წარმოაჩინოს „უთვალავ ფერებიანი“ ქვეყანა. ეს ძალიან კარგად არის ასახული ქეთი მატაბელის კოლაჟებში: მხატვრის ფანტაზია მუშაობს სპარსულ, ჩინურ, ინდურ მოტივებზე; ცენტრალურ თემად კი წარმოდგება „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი დათარიღებული ხელნაწერის (1646) მამუკა თავაქარაშვილისეული ილუსტრაციები. ეს ილუსტრაციები ასრულებენ ერთგვარი ღერძის როლს, რომლის გარშემოც „ტრიალებენ“ სხვა თემები



და მოტივები. თავაქარაშვილის ილუსტრაციები აღმოსავლურ-სპარსული სტილისაა და ქეთი მატაბელი თავის ათასფრად გაფერადებული კოლაჟებით ცოცხალ დიალოგში შედის, თავის ფანტაზიებითა და ასოციაციებით ავსებს XVII საუკუნის მხატვრის შემოქმედებას: ძვ. ქართული, ბერძნული, სპარსული, ჩინური, სანსკრიტის და ლათინური ხელნაწერების წარწერები; სხვადასხვა სტილში გამოხატული ფლორა და ფაუნა; ნადირობისა და როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ბრძოლების სცენები; ანგელოზებისა და ასევე სხვადასხვა, ძირითადად აღმოსავლური, მითოლოგიური არსებების გამოხატულებები - ყველაფერი ეს მინიშნებს უსასრულობაზე რუსთაველის პოემისა, რომელშიც ზეცა დაკავშირებულია მიწაზე მოვლენებთან და მცენარეები და ცხოველები მონაწილეობენ ყოფიერების უნივერსალურ ჰარმონიაში“.

წინაპრების ნივთებთან, განსაკუთრებით კი ძველ წიგნებთან შეხებით გამოწვეულმა ემოციამ მხატვარს შემოქმედებითი გზა აპოვნინა. პირველი ფოლიანტის შექმნის იდეა მას პაპის წიგნმა, სახელწოდებით „ლოცვანი“, უკარნახა, რომლის ფურცლებზე შემორჩენილია ჩამოღვენილი სანთლის წვეთები.

„ჩემი ნამუშევრები კოლაჟის პრინციპზეა აგებული. თუმცა, ანალოგი არ მოეძებნება, რადგან მათში არის რაღაც, რაც მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით გამოვიგონე“, - აღნიშნავს ავტორი, რომელიც ხელოვნურად დაძველებულ მასალაზე მუშაობისას იყენებს ნებოს, თაბაშირს, რკინას, ფურცელს, ნაჭერს, ქვას... „მოქანდაკე ფორმით აზროვნებს, მწერალი - სიტყვით, მე კიდევ, როგორც ფერმწერი, ფერით.“

რუსთაველის პოემაში კი იმდენი ფორმა და ფერია, რომ მისი ამოცნობა დაუსრულებელი პროცესია. მის თითოეულ სცენაში სიმბოლიზმია ჩადებული, მაგალითად, ავთანდილი თეთრ ცხენზე ზის, ტარიელი კი - შავზე... მოგვიანებით, ავთანდილის თეთრი ცხენი დათრთვილი, წინწკლებიანი ხდება, რადგან მას სევდა შეეპარება...“ - გვიყვება ქეთი მატაბელი.

მისი წიგნი ნარინჯისფერია, რაზეც გვითხრა: „როდესაც მუშაობაში შედიხარ, მედიტაციურ მდგომარეობაში ექცევი და საოცრად გამტარი ხდები. ჩემთვის ეს ჩვეული მდგომარეობაა. აქ არაფერი ხდება შემთხვევით და თუნდაც ის, რომ დავასურათე გამოცემა, რომელიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ეძღვნება, სიმბოლიზმია. მე ამ თემაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1981 წლიდან დაიწყო. გავცვანი სამეცნიერო ლიტერატურას, რათა ნაწარმოები სიღრმისეულად გამეაზრებინა. ამ თემას პერიოდულად ვუბრუნდებოდი ხოლმე და ვინ იცის ძიების პროცესი როდემდე გაგრძელდებოდა, რომ არ გამოჩენილიყო ამ პროექტის იდეის ავტორი მანანა კარტოზია. მან ჩემი შემოქმედებითი პროცესი დააჩქარა და შედეგიც სახეზეა. მე ზუსტად ვგრძნობ რომელი ფერი მჭირდება. ამ ბოლო დროს ნარინჯისფერი მომეძალა და როდესაც დიზაინერმა გიორგი ბოხუამ მითხრა, ეს წიგნი სტაფილოსფერი უნდა გავაკეთოო, გამეხარდა“.

როდესაც ვიქტორ ნოზაძის ფერთამეტყველებას ეცნობოდა, „მზიანი ღამის“ სურათი აეკვიტა. ყველაფერი დღისა და ღამის მზეების ხატვით დაინყო. „იმდენად გავგიჟდი, რომ მზეს „თვალეში“ ვუყურებდი და საოცარ ფერებს ვხედავდი. სულ ვფიქრობდი, ნეტავ რა



არის ეს მზიანი ღამე-მეთქი... თანდათან გავაცნობიერე, რომ ის უხილავი ღმერთის სიმბოლოა... ამ წიგნს მე აუცილებლად მივუბრუნდები“, - ამბობს მხატვარი.

ილუსტრაციები პოემის ამონარიდებით არის დასათაურებული. ტექსტი ქართულ-ინგლისურია. აქვე, ვიქტორ ნოზაძისა და ზვიად გამსახურდიას შეფასებებსაც აღმოაჩენთ, მაგალითად: „არაბეთი მეცნიერებისა და ფილოსოფიის სიმბოლოთა საუფლოა. კაცობრიობის ძველმა სიბრძნემ (როსტევენამ) იგრძნო სიბერე და გაამეფა თავისი ასული - გონება (თინათინი). კაცობრიობის დანვითარების ისტორიაში დადგა ეტაპი, როდესაც ადამიანში ვითარდება მისი ინდივიდუალური გონება“, ან „რუსთაველოლოგიაში სმირია „ვეფხისტყაოსნის“ შედარება აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლებთან, მაგრამ გაცილებით მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს პოემა ბერძნულ-ბიზანტიურ და დასავლეთ-ევროპულ რაინდული ლიტერატურის ნიმუშებთან. რაინდული რომანები სასვეა ბიბლიური ალუზიებით. სულის მატერიაში ჩამოსვლის დრამა, კვლავ ღვთისკენ ზეაღსვლა ინიციაციის გზით... სულ ბოლოს, ხელოვნებათმცოდნე მაია ციციშვილი წერს: „ეს წიგნი წარმოაჩენს ქეთი მატაბელის, ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ, შემოქმედებას, მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს - კოლაჟით აზროვნებასა თუ მეტყველებას, ესთეტიკურად უაღრესად დახვეწილ, ფაქიზ ფერთა და ფორმათა თანაარსებობას. წიგნის უბრალო დათვალეირებითაც კი მიხვდება მკითხველი, თუ რაოდენ ხანგრძლივი ფიქრისა და გააზრების შედეგს წარმოადგენს ილუსტრაციათა ეს ვერსია“.

თავად ავტორი მას ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებით ასრულებს. „ბოროტსა სძლავთ თილმან, // არსება მისი კრამელია!“, - ეს არის მთელი ნაწარმოები, მხოლოდ, ბოროტის ძლევა აქ იმას კი არ ნიშნავს, რომ სხვას უნდა დავერიოთ ან ვაჯობოთ, არამედ ბოროტი, უპირველესად, საკუთარ თავში, ჩვენში უნდა დავამარცხოთ... აი, ეს კარგად გავაცნობიერე ამ თემაზე მუშაობისას...“, - გვითხრა მხატვარმა.

Giuseppe Verdi

La Traviata

ჯუზეპე ვერდი ტრავიატა

საკონცერტო ვერსიონი CONCERT VERSION

დამდგველი დირიჟორი CONDUCTOR
ზაზა აზმაიპარაშვილი ZAZA AZMAIPARASHVILI

29 მარტი 01.03 2009 19.00

სტიმული მოხაზვალ არქიტექტორებს

ინოვაციური მემორიალი

ისინი რაღაცით მაინც განსხვავდებიან სხვა სტუდენტებისგან. განსაკუთრებით ჩაცმულობით და ფერებით. თუმცა, ისინი არ არიან მხატვრები ყელზე შემოხვეული გრძელი ყელსახვევებით და ფერაფერ ფუნჯებით ჩანთაში. როგორც ვინა ბულაძე მეუბნება, ისინი მხატვრებად არ დაბადებულან, ისინი მომავალი არქიტექტორები არიან. ეს კი საგამოფენო დარბაზი და აქ მათი (ზოგიერთისთვის პირველი) ნამუშევრების გამოფენაა, თანაც სერიოზული. ეს მათი განვითარების და ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესის ერთი პატარა მონაკვეთია და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ბოლოს და ბოლოს ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალი არქიტექტორები არიან.



სახეები სერიოზულია, ენთუზიაზმითა და კმაყოფილებით სახსენებენ, მაგრამ სერიოზული! სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი ნოდარ ამაშუკელი მთელი ყურადღებით ჩართულია ნახატების განხილვაში და მეც ვცდილობ არ დავარდვიო საქმიანი დებულებები, მაგრამ მიწევს.

დღეს აქ წარმოდგენილია არქიტექტურის ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტთა საკურსო ნამუშევრები. პედაგოგებმა ჯგუფებში აარჩიეს საუკეთესო ნამუშევრები და გამოფინეს, რომ ბავშვებს წარმოდგენა ჰქონდეთ რა ხდება ამა თუ იმ ჯგუფში. ეს იმ მხრივაც კარგია, რომ სხვა პედაგოგებსაც მიეცემათ საშუალება გაანალიზონ რამდენად სწორად შეაფასეს და რა ნიშანი დაუწერეს ამ ნამუშევრებს. ერთგვარი ურთიერთკონტროლია. - გვეუბნება ნოდარ ამაშუკელი.

სხვადასხვა კურსზე წარმოდგენილია სხვადასხვა თემები. მესამე კურსმა საბავშვო ბა-

გა-ბალებისა და სამთო სამაშველო ბაზების პროექტები წარმოადგინა, პირველმა კინოთეატრების, ძველთა რესტავრაციის მოდელები და ა.შ. რაც მათი შესრულების ტექნიკის უნარჩვევებს ავითარებს.

ზვიად, ჩვენთან რეკავენ მსურველი ინვესტორები - ამბობს ნოდარ ამაშუკელი - თხოვნით, გავუშვათ რამოდენიმე კარგი სტუდენტი, რომლებიც დაეხმარებიან სხვადასხვა ახალი პროექტის მომზადებაში. ახლა, ამ და სხვა მსურველი კომპანიების წარმომადგენლებს შეუძლიათ მოხმადონ და თავად ნახონ წარმოდგენილი პროექტები და სურვილის შემთხვევაში დაურეკონ იდეის ავტორს. ასეთი შემთხვევები ჩვენს რეალობაში არაერთხელ მომხდარა.

ის, რომ თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი უკვე დიდი სტიმულია მომავალი არქიტექტორებისათვის ფაქტია. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც სტუდენტთა დასაქმება და ანაზღაურება იშვიათი მოვლენაა.

ის, რაც ბატონ ნოდარს ამ

იდეაში ასევე განსაკუთრებით მოსწონს კონსერვაციის ხალიცია. რა თქმა უნდა, ალბათ ყველა სტუდენტს ექნება სურვილი იღვროდეს იმისათვის, რომ შემდგომი სემესტრის ბოლოს საკუთარი ნამუშევარი იხილოს გამოფენაზე. ეს არამარტო უბრალო სურვილი, არამედ საკუთარი თავის წარმოჩენის საკითხია...

ნამოწვევით მოხიბვლილი რექტორი ვინა ბულაძეც:

"რაც მთავარია ნამოწვევაა ძალიან სერიოზული, რადგან რეალურად ყოველი სემესტრის ბოლოს მოხდება ნამუშევრების გამოფენა-განხილვა. ახალგაზრდებმა უნდა შესძლონ გაანალიზონ ეს პროცესები. რა მიმართულებით მუშაობენ, როგორ მუშაობენ, რა პრინციპებით... ეს არ არის პირდაპირი გაგებით მხატვრობა. ეს არის სამეცნიერო დარგი, სადაც ანალიზი აუცილებელია. კარგია, როდესაც ნახსენებენ, ადარებენ, ახასიათებენ. გარკვეული შეხება აქვთ ერთმანეთთან, კრიტიკულადაც უდგებიან ერთმანეთს. მე მივესალმები ფაკულტეტის დეკანს,

ბატონ ნოდარ ამაშუკელის იდეას.

კმაყოფილი ვარ ნამუშევრებითაც. იმიტომ რომ სწორი მუშაობა მიდის. არ არსებობს დაბადებით არქიტექტორი. შეიძლება დაბადებით იყოს პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი. არქიტექტორები კი ყალიბდებიან, ჩამოყალიბება კი რთული პროცესია. უწყვეტი პროცესია, უწყვეტი განათლება, კვლევა, საკუთარ თავზე გამუდმებით მუშაობა. თუ ამ ყველაფრის განცდა არ გაქვს, არ გააჩნია ანალიტიკური აზროვნება არქიტექტორი ვერ გახდება. ასეთი გამოფენები კი აყალიბებენ ანალიტიკურ აზროვნებას."

სტუდენტთა ნამუშევრები დარბაზში ერთი კვირის განმავლობაში იქნება გამოფენილი. ასე, რომ თუ მსხვილი კომპანიის მფლობელი ბრძანდებით და ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანები გჭირდებათ, ან უბრალოდ რაიმე პროექტის ნამოწვევას გეგმავთ, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზს აუცილებლად უნდა ესტუმროთ.

ბოიკოტი ფრანკოსა და სალაზარს

მართალია, 2009 წლის "ევროვიზია" ჩვენთვის დროზე ადრე დასრულდა და უკვე გასასხენებლადაც აღარ ღირს, ვინაიდან მაინც ვერჩებით ერთიანი ევროპული ოჯახის წევრად, ამ კონკურსის შესახებ ინტერესი მაინც უნდა დავიკმაყოფილოთ. ამჯერად იმ სკანდალურ ამბებს გადავხედოთ, რომლებსაც კონკურსის არსებობის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება წლებიდან სკანდალებს, ამ მხრივ მოსკოვის "ევროვიზია" ალბათ უკვე რეკორდსმენია, მთავარი კი ჯერ კიდევ წინააფინალურ კონცერტებამდე ჯერ კიდევ ორი თვეა დარჩენილი.

შარშან ესპანეთის ტელევიზიამ აჩვენა დოკუმენტური ფილმი, რომელში მოყვანილი ფაქტების თანახმად 1968 წელს ესპანელი მომღერლის, მასიელის გამარჯვება დიქტატორ ფრანკოს მიერ იყო ორგანიზებული, რაც ქვეყნის პრესტიჟისთვის გაკეთდა. ფილმში მოთხრობილია, რომ კონკურსის დაწყებამდე ქვეყნის მალაჩონოსნებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურეს და ჟიურის წევრთა ხმები იყიდეს (მაშინ "ევროვიზიის" გამარჯვებულს ათი კონკურსი გამარჯვებას შემდეგომში პოპულარული კლიფრიჩარდის იმსახურებდა.

2007 წლის "ევროვიზიის"

ფინელმა ორგანიზატორებმა ებრაული ჯგუფის, Teapacks-ის სიმღერა Push the button-ის კონკურსიდან მოხსნა მოითხოვეს, რადგან მასში პოლიტიკური კონტექსტი შეინიშნებოდა და ირანის ატომური პროგრამის შესახებაც იყო ქვეტექსტი. იმავე წელს რუსების უკმაყოფილება გამოიწვია ვერკა სერდოუჩკას სიმღერამ, რომლის ტექსტის ფრაზა Lasha Tumbai ჟღერდა როგორც Russia Goodbye. პოლიტიკური შინაარსის ტექსტის შეცვლა მოსთხოვეს უკრაინულ ჯგუფ "გრიჯოლისაც", რომელსაც შიდა შესარჩევ კონკურსზე "ნარინჯისფერი რევოლუციისადმი" მიძღვნილი სიმღერა გაჰქონდა.

2005 წელს სკანდალის მთავარი გმირი ლიბანი გახდა. ქვეყნის მთავრობამ "ევროვიზიის" ორგანიზატორებს მოსთხოვა, რომ ლიბანში კონკურსის პირდაპირი ტრანსლირებისას ებრაელი კონკურსანტის სიმღერის დროს სარეკლამო ბლოკი გაეშვათ. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, შედეგად ლიბანმა კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. 1978 წელს კი, როდესაც ებრაელმა ნიხარ კონენმა გამარჯვდა, იორდანის ტელევიზიის თანამშრომლები იმდენად დაიბნენ, რომ ჯერ ეკრანზე ყვავილების თაიგულის

კადრი გამოიტანეს, გამარჯვებულის დაჯილდოებისას კი პირდაპირი ტრანსლაცია საერთოდ შეწყვიტეს. მეორე დღეს კი იორდანის პრესასა და ტელევიზიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბელგიელმა კონკურსანტმა გაიმარჯვა, რომელმაც სინამდვილეში მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. სამი წლით ადრე კი მუსლიმანური ქვეყნების ზენოლის შიშის გამო თურქეთმა იერუსალიმში დაგეგმილ კონკურსზე გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

1974 წელს იტალიურმა "რაი 1-მა" იტალიელი კონკურსანტის სიმღერა "დიას" ეთერში არ გაუშვა, რადგან ცენზურამ განაცხადი, რომ ეს იქნებოდა პირდაპირი მინიშნება რამდენიმე დღეში დაგეგმილი რეფერენდუმის მიმართ, რომელზეც გაყრის შესახებ კანონის შენარჩუნების ბედი წყდებოდა. ავსტრიაში 1969 წელს ფრანკოს დიქტატორის წინააღმდეგ გაილაშქრა და საკუთარი წარმომადგენელი მადრიდში არ გაუშვა. ხოლო 5 წლით ადრე კოპენჰაგენის "ევროვიზიაზე" სცენაზე მამაკაცი გამოვარდა შემდეგი შინაარსის პლაკატით: "ბოიკოტი ფრანკოსა და სალაზარს!"

იტალიას უკვე 12 წელია "ევროვიზიაში" მონაწილეობა არ მიუღია, მიზეზი კი იტალიელთა აზრით კონკურსის დაბალი მუ-

სიკალური ავტორიტეტია. "რა გვესაქმება" ევროვიზიაზე", როდესაც სან რემოს ფესტივალი გაქვს", - ასეთია მათი აზრი. 1985 წელს იუგოსლავიის მმართველ ტიტოს გარდაცვალებიდან 5 წელი შესრულდა, რის გამოც ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ევროსცენაზე გამოსვლა არ ისურვეს. სამი წლით ადრე კი საფრანგეთმა აღარ მოისურვა კონკურსში მონაწილეობა და "ევროვიზიას" სისულელე უწოდა. თუმცა მეორე წელს ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, როდესაც კონკურსისთვის მზადება სხვა არხს დაევალა. 1976 წელს შვედეთმა საკმაოდ უცნაური მიზეზით თქვა კონკურსში მონაწილეობაზე უარი: მთავრობას შეეშინდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში კვლავ მოუწევდა შემდგომი წლის კონკურსის მასპინძლობა, როგორც ეს 1975 წელს, "აბბას" წარმატების შემთხვევაში მოხდა. ამისთვის კი ქვეყნის ბიუჯეტი მზად არ იყო. 1972 წელს კი მონაკო იძულებული გახდა "ევროვიზიის" მასპინძლობაზე უარი განეცხადებინა, რადგან ციციქნა სამთავროს ტერიტორიაზე შესაფერისი მასშტაბის სივრცე ვერ გამოიხატეს. კურთხეული იყო ლიხტენშტეინისთვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმა - 1969 წელს ამ ქვეყანას საკუთარი ტელეარხი არ გააჩნდა.



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



ჩინური მონეტა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში დაცულია უნიკალური ჩინური მონეტა, რომელიც სოფელ მცხეთიჯვარში გახლავთ აღმოჩენილი.

მცხეთიჯვარი შიდა ქართლში მდ. ჭრათხევის ხეობაში მდებარეობს. ის აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი პუნქტია იმ გზაზე, რომელიც უმოკლესი მანძილით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთს აკავშირებს.

როგორც ჩანს, სოფელი მცხეთიჯვარი განვითარებულ შუა საუკუნეებში, ისტორიული ქალაქ ალის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. აქ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ვახუშტისეულ ალის ციხესთან არის გაიგივებული: "აღს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი უწლეთი, მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ლენისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესსა. ამავე ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლეთიდან ალის წყალს ჭურათხევის-ხევი..."

მდ.ჭრათხევის ხეობაში მცხეთიჯვარის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი: ა.დავითაშვილი) მიკვლევულ არქეოლოგიურ ძეგლებიდან, ყურადღებას ადგილ "გასაყიდლიანთ ვენახში" დადასტურებული მრავალფენიანი ნამოსახლარი იმსახურებს. აღნიშნული ძეგლები განვითარებული შუა საუკუნეების, ადრენატიკური და წინარენატიკური ეპოქებით თარიღდება. სწორედ აქვე იქნა გამოვლენილი ჩინური მონეტა, რომელიც სუნების დინასტიის მმართველობის მეექვსე წელს ანუ 1133 წელს არის მოჭრილი.

"გასაყიდლიანთ ვენახში" აღმოჩენილ ჩინურ მონეტას XII-XIII საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ნიშანდობლივია, რომ ის შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ქალაქის - ალის მიდამოებში აღმოჩნდა... იქ, სადაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან სავაჭრო-სატრანსპორტო გზა გადიოდა. როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრები იყვნენ, არამედ - სავაჭრო პუნქტებიც. ისინი როგორც სამინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ და ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან. თამარის ეპოქაში ჩინური სამყარო, ალბათ, საქართველოსათვის უცხო არ იყო. ამ ქვეყნის ძვირფასი საქონელი, აბრეშუმი, დასავლეთის ქვეყნებში მიედინებოდა და მათ შორის საქართველოშიც.

ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ალი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ დანინაურებულ ქალაქს წარმოადგენდა, რომლის აღმავლობის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ იგი სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და უკანასკნელი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო იმ გზაზე, რომლითაც ქართლი და საერთოდ, აღმოსავლეთი ამიერკავკასია უმოკლესი გზით დასავლეთ საქართველოს და ზღვას უკავშირდებოდა.

ქალაქ ალში ძლიერი სავაჭრო ცენტრის არსებობის კიდევ ერთი არგუმენტი უნდა იყოს ისიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, აქ მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე დასტურდება (ქართველების გარდა ალში სომხები და ურიები ცხოვრობდნენ).

ამირან დავითაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

Disney-სა Pixar-ის მულტფილმი კანის ფესტივალს გახსნის

2009 წელს საერთაშორისო კანის 62-ე კინოფესტივალი ისტორიაში პირველად თავის სამუშაოს სტერეოსკოპური ანიმაციური ფილმით დაიწყო. საუბარია სტუდიების - Disney-სა Pixar-ის მიერ შექმნილ ფილმზე, სახელწოდებით - "მალა" (Up). მულტფილმი ასაკოვანი ჯენტლმენის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მრავალწლიანი სურვილის შემდეგ გადაწყვეტს თავისი ოცნება რეალობად აქციოს და სამხრეთ ამერიკაში შორეულ მოგზაურობაში გაემგზავრება. სატრანსპორტო საშუალებად მულტფილმის გმირი საკუთარ საცხოვრებელ სახლს გამოიყენებს, რომელსაც ათასობით საპაელო ბუმბუსი შეაბამს. ფესტივალის ორგანიზატორებს ჯერ არ გადაწყვეტილია, წარმოდგენილი იქნება თუ არა ფილმი კინოფორუმის საკონკურსო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალი სტარტს 13 მაისს აიღებს და თავის სამუშაოს 24 მაისამდე გააგრძელებს. ჟიურის სათავეში ცნობილი ფრანგი მსახიობი - იზაბელ იუპერი იქნება. თავისი გვარის დასახელების შემდეგ იუპერმა აღნიშნა, რომ ამაცობს კანის ფესტივალის მიერ მინიჭებული უფლებით. მისივე თქმით, საპატიო დანიშნვა მასში მხოლოდ კინოფესტივალის მიმართ სიყვარულს გააღრმავებს. შეგახსენებთ, რომ იუპერი უმაღლესი ჯილდოს მფლობელი ორჯერ გახდა.

სააგენტო France Presse-ის ინფორმაციით, იზაბელ იუპერი მეოთხე ქალბატონია, რომელსაც კანის კინოფესტივალის ორგანიზატორები ენდნენ და ჟიურის ხელმძღვანელად დაასახლეს. სხვადასხვა წლებში ჟიურის სათავეში იყვნენ ასევე ლივ ულმანი, ჟანა მორო და ფრანსუა საგანი.

ბრიუს უილისი ქორწილისთვის ემზადება

ცნობილი მსახიობი ბრიუს უილისი, რომელსაც 19 მარტს 54 წელი შეუსრულდა, კვლავ ქორწილისთვის ემზადება. როგორც საიტო People.com საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, უილისის რჩეული მისი მეგობარი გოგონა ემა ჰემინგი იქნება, ხოლო ქორწილი უახლოეს დღეებში გაიმართება. საქორწინო ცერემონია ერთ-ერთ ბაჰამის კუნძულზე გაიმართება, სადაც ბრიუს უილისს საკუთარი სახლი აქვს. ქორწილისთვის მზადება შესაძლოა რამდენიმე არაპირდაპირი ნიშნებით განვსაჯოთ. უილისის ყოფილი მეუღლე - მსახიობი დემი მური და მისი ახლანდელი ქმარი ეშტონ კატჩერი, რომლებთანაც ბრიუს უილისს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, უკვე იყვნენ ჩასულები კუნძულზე და მსახიობის ვილასთან ახლოს მდებარე ყველა სახლი სტუმრებისთვის დაიქირავეს. ბრიუს უილისის ოფიციალური წარმომადგენლები ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

პარიზში ადამიანის მუზეუმი იკეტება

1937 წელს დაარსებული პარიზის ადამიანის მუზეუმი (Le Musée de l'Homme) მარტის ბოლოს ოთხი წლით დაიხურება. ამ მრავალრიცხოვანი კოლექციის ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს რემონტი ესაჭიროება. დახურვამდე რამდენიმე დღე მუზეუმი მნახველებისთვის უფასოდ იმუშავებს. რემონტის შემდეგ მუზეუმი "ადამიანის ბუნებრივ ისტორიას" მოუყრის თავს. ექსპონატების ფუნდამენტალური რეორგანიზაციის საჭიროება მას შემდეგ შეიქმნა, როცა 2006 წელს კოლექციის ნაწილი აფრიკისა და აზიის ხელოვნების ახალ მუზეუმებს გადაეცა. პარიზის ადამიანის მუზეუმის კოლექციაში 530 ათასი ექსპონატი შედის, მათ შორის არის ცნობილი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის რენე დეკარტის თავის ქალა.

სახელმწიფო კლასიკური ლიტერატურის გამოცემას დააფინანსებს

კულტურის სამინისტროს ინიციატივით, კლასიკური ლიტერატურის გამოცემას სახელმწიფო დააფინანსებს. კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ნიკოლოზ რურუას განცხადებით, მზადდება სპეციალური პროექტი, რომელიც სახელმწიფოს კლასიკური ლიტერატურის პერიოდულად გამოცემას დაავალდებულებს.

რურუას თქმით, აღნიშნული პროექტი იმიტომ შეიქმნა, რომ საბაზრო პირობებში ძნელია მოიძებნოს გამოცემული, რომელიც კლასიკური ლიტერატურული შედევრების გამოცემას იკისრებს.

"იმისთვის, რომ კერძო გამოცემლობაზე არ იყოს დამოკიდებული კლასიკოსთა ბედი და წაწარმოებები, რომლებიც ყველა თაობის სამაგიდო წიგნებად უნდა იქცნენ, სახელმწიფო კლასიკური ლიტერატურის პატრონაჟს საკუთარ თავზე აიღებს", - განაცხადა რურუამ.

მედიანიუსი

ისტორია

დიდვაჭარ თამაზაშვილის ნამუშაოს სახლი

სიყვარული, რომელიც განშორებას ვერ ურიგდება

ბილა ჩაქარიშვილი

ლიზა თამაზაშვილი საქორწინო საკურთხევითან უსიყვარულოდ იდგა. მართალია, საქმრო პეტერბურგელი კნიაზი იყო, იმპერატორის კარზე დიდად მიღებული ალექსანდრა როსეტისა და პეტერბურგის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ სმირნოვის ერთადერთი ვაჟი, მაგრამ ლიზას გული სხვას ჰქონდა დაპყრობილი.

ამბობენ, რომ სმირნოვ-თამაზაშვილის ქორწინება სარფიან გარიგებას ეფუძნებოდა: მიხეილ სმირნოვი საკურთხევითან ელიზავეტა თამაზაშვილს მზითვის საერთო ღირებულებამ - ასი ათასმა მანეთმა მიიყვანა, ხოლო მშვენიერი ელიზავეტა კი მდიდარი, მაგრამ უგვარო მამის ვაჭრობა-მერკანტილურმა ანგარიშმა. იმასაც ამბობდნენ, ელიზავეტა ამ ქორწინებას არ დასთანხმდებოდა და მამის რჩევებსაც ყურს იქით გაუშვებდა, რომ არა ერთი დელიკატური ფაქტი: პეტერბურგში განათლებამდებული ელიზავეტა თამაზაშვილი ფეხმძიმედ იყო და მისი მომავალი შვილის მამა არც მეტი და არც ნაკლები, დიდი თავადი ნიკალაი ნიკალაევიჩი რომანოვი გახლდათ.

სავარაუდოდ, თბილისელი დიდვაჭრის ქალიშვილი სამეფო ოჯახის წარმომადგენელი პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა პანსიონის სამოზარო მეჯლისზე გაიყვანა და თავისი გული და გრძობები სამუდამოდ მას დაუკავშირა.

ახლა კი, საქართველოში დაბრუნებულ ლიზას სასწრაფო ნუსხით ათხოვებდა ტრადიციების მიმდევარი ოჯახი და სულ სხვა ცხოვრებას უნდა შეჰპყრობოდა. მისმა საქმრომ, მიხეილ სმირნოვმა, თავის დროზე სახელმწიფო-დიპლომატიურ კარიერას სამეცნიერო მოღვაწეობა ამჯობინა და ბოტანიკოსი გახდა, ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი კვლევის ადგილად კავკასია აირჩია. აღბათ არც მიხეილ სმირნოვი ოცნებობდა უსიყვარულო ქორწინებაზე, თუმცა კი, თბილისში მოხვედრილ რუს კნიაზს დიდად არჩევანი არც ჰქონდა, დედა-მისმა, ალექსანდრა როსეტმა მილონები ქარს გაატანა და ამ ქორწინებით მიხეილი კვლავ უზრუნველყოფილი ცხოვრების გარანტიას იღებდა.

პაპამ, იაგოვ თამაზაშვილმა, ლიზას განოვის, ახლანდელი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის 20 ნომერში მდებარე სახლიც მისცა მზითვში, რომელიც დიდვაჭარმა 50-იან წლებში ახალგაზრდა შვედ არქიტექტორის ოტო სიმონსონს ააშენებინა. ეს სახლი თბილისის ისტორიაში მსმირნოვების სახლის" სახელით შევიდა და საინტერესო ლიტერატურულ ტრადიციებს დაუდო სათავე. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან კი მას ყველა "კავკასიური სახლის" სახელით მოიხსენიებს.

თავის დროზე ოტო სიმონსონმა შესანიშნავად გაართვა თავი დიდვაჭრის დავალებას და შეძლო აემუნებინა ისეთი შენობა, რომელიც შეხამებული იყო ევროპული და ადგილობრივი არქიტექტურული ტრადიციები. იმდროინდელი სოლოლაკის განაშენიანებაში ოტო სიმონსონმა განსაკუთ-



რებული წვლილი შეიტანა. მის მიერ აშენებულ შენობებს "სიმონსონის სახლებს" ეძახდნენ და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. ამ ნაგებობას საძირკველი არ ჰქონდა, მის როლს მიწის სიღრმეებიდან რომისებურად ამოყვანილი აგურის კედლები ასრულებდა. კედლები თანდათან ვიწროვდებოდა და სარდაფებში დანთებულ ლუმენთა სიმშურვალე აგურებს შორის დატოვებული სივრციდან მალევე სართულებს სწვდებოდა.

სახლს ჰქონდა ეზო, რომელსაც არქიტექტორმა ხის ღია აივნები გაუკეთა და ამით თბილისური იერი მისცა. სადარბაზო შესასვლელს კი რკინის აივანი გადაჰყურებდა. შესასვლელის მიღმა გეომეტრიული ფიგურებით მოხატული ჰოლი ინყებოდა. ფიგურების ციფერ-მწვანე ხეყულები მთელ ინტერიერს ფარავდა. ნიშებში მარმარილოს ქანდაკებები იდგა.

სახურავის ერთი მონაკვეთი შემინული ჭერს წარმოადგენდა, საიდანაც ზევიდან დაშვებული უსაყრდენო, ხეული კიბე ნათებოდა. კიბე ანფილადეს პრინციპით განლაგებული (ერთმანეთში გამავალი) მალაქჭირიანი, ვრცელი დარბაზებისკენ მიემართებოდა.

ამ სახლში გადმოინაცვლა სმირნოვების ქონების იმ ნაწილი, რაც ალექსანდრა როსეტის მფლანგველობას გადაურჩა.

მაგრამ არსებობს სიყვარული, რომელიც განშორებას ვერ ურიგდება, მას ვერც ქორწინების ჩარჩოები აკავენს და ვერც მანძილის სიშორე.

ამბობენ, რომ დიდი თავადი ნიკალაი რომანოვი ხშირად სტუმრობდა თბილისს, ის ინგლისურ კლუბში ჩამოდიდა ხოლმე და მშვენიერი ელიზავეტაც, როგორც ძველ ნაცნობს, ისე იღებდა. ხოლო, როდესაც შუა აზიაში სამეცნიერო საქმეებზე წასული მიხეილ სმირნოვი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა, ლიზა თამაზაშვილს ბევრი არ უფიქრია და პეტერბურგში გადასახლდა. საქარველოში მას აღარაფერი აჩერებდა, არც შვილი და არც პაპისეული სახლი.

ამბობენ, ერთხელ, პეტერბურგში დედის სანახავად ჩასულ გიორგი სმირნოვს მის აპარტამენტებში დიდი თავადი დახვდა, რომელმაც ცმანვილს ორაზროვნად ჰკითხა: "ზომ იცი, ვისი შვილი ხარ?"

ახალგაზრდამ რომანოვის შეკითხვას ვიქტორ უპასუხა: "მე მამაჩემის შვილი ვარ!" და დედის საცხოვრებელი დატოვა.

რეკოლუციის შემდეგ დიდა

თავადმა ოჯახთან ერთად ევროპას შეაფარა თავი, მარტოდ დარჩენილი დიდვაჭრის თავნება ქალიშვილი კი 1919 წელს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გარდაიცვალა.

არსებობს სიყვარული, რომელიც განშორებას ვერ ურიგდება...

სახლი კი, სადაც სმირნოვების სამი თაობა ცხოვრობდა, 1921 წლის შემდეგ კომუნალურ საცხოვრებლად იქცა, ხოლო მალე თავად სახლის პატრონებსაც მოუწიათ იქიდან წასვლა. XX ს-ის 50-იან წლებამდე სმირნოვები მომიჯნავე სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდნენ. იმ წლებში, როცა სახლის ფართო დარბაზები გადატვირთეს და იქ მუშათა ოჯახები ჩაასახლეს, ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო მის პირვანდელი სახით დაბრუნებაზე.

1975 წელიდან ამ შენობაში საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ლიტერატურული ურთიერთობების სახლი და პუშკინის მემორიალი შეიქმნა, სადაც მუზეუმის ექსპონატების ძირითადი ნაწილი პუშკინის ეპოქას განეკუთვნება. ეს არის ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის ლიტერატურული სალონის ავეჯი და სხვა ნივთები. ამ სალონის დიასახლისმა წარუშლელი კვალი დატოვა XIX საუკუნის კულტურაში, მისი მემუარები XX საუკუნეში ოთხჯერ დაიბეჭდა. ბოლო 1989 წლის გამოცემა შევიდა მეცნიერებათა აკადემიის სერიაში "ლიტერატურული ძეგლები". ეს არის 600 გვერდიანი თხზულება, სადაც მკითხველი ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის თანამედროვეთა არაერთ ცნობილ სახეს შეხვდება.

მიხეილ სმირნოვის ოცნება, თავისი საცხოვრებელი ბინა სავარაუდო მუზეუმად გადაქცევა, ასრულდა. იგი 1985 წელს გარდაიცვალა, რომლის ანდერძითაც მთელი თავისი ქონება - სახლი და სავარაუდო მუზეუმის ექსპონატები გადაეცა ქართველ ხალხს, კონკრეტულად კი, "მხატვრული ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას", რომლის უფლებამონაცვლეც დღევანდელი "კავკასიური სახლია".

სპორტი

ესაც მეთერთმეტე



რეპორტაჟის სპონსორია სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმფი L INTERNATIONAL"

1996 წლის შემდეგ რუსეთზე მე-11 გამარჯვება მოვიპოვეთ. სულ "დათვებთან" გამართულ 13 შეხვედრაში 11 მოვიგეთ, ერთი ფრედ დასრულდა და მხოლოდ ერთხელ წაგავთ, ისიც 16 წლის წინათ. რუსთა მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუმი თამაშის წინ კი აცხადებდა, ქართველებთან ქართველთა მობილური დაცვისა და სწრაფი შეტევების ფონზე. ეს გამარჯვება პირველი იყო აგვისტოს ომის შემდეგ და მით უფრო განსაკუთრებული. თანაც სატურნირო თვალსაზრისითაც ფრიად მომგებიანი აღმოჩნდა საქართვე-

ლოს ნაკრებისთვის. ამ გამარჯვებით წლევანდელი სეზონი პირველ ადგილზე დავასრულეთ და, თუ გავითვალისწინებთ, რომ პორტუგალიამ რუმინეთი მისსავე მოედანზე დაამარცხა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ღირს ვაუჭირდება მსოფლიო თასის საგზურის მოპოვება. ეს საგზური ოფიციალურად გაფორმდება მომავალ სეზონში, რომელშიც გერმანიას და ესპანეთს თბილისში მივიღებთ, ხოლო რუმინეთსა და პორტუგალიას ვესტუმრებით. რუსეთთან კი ისევ ნეიტრალურ მიწაზე მოგვინებს ურთიერთობის გარკვევა, სავარაუდოდ, ლვოვში ან საფრანგეთში. მოკლედ, "ბორჯღალოსნებმა" წლევანდელი ტურნირი მაჟორულ ნოტზე დაასრულეს და, პორტუგალიასთან პირველ მატჩს თუ არ ჩავთვლით, სათამაშო კლასით ყველა მეტოქეს მთელი თავით აჯობებს. რუსებთან მატჩშიც საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს მკაცრი დაცვა და სწრაფი იერიშები დაუპირისპირა. ქართველები, ტრადიციულად, მოკლე დარტყ-

ვებით არღვევდნენ მეტოქის დაცვას, შერკინებით ეძალებოდნენ, ვიდრე საღლეოდ ხელსაყრელ პლაცდარმს არ მიიღებდნენ და შემდეგ სწრაფი გათამაშებით უტყევენდნენ ჩათვლის მოედანთან ახლოს. ერთ-ერთი ასეთი კომბინაციის შედეგი იყო ლაშა მალალურაძის ლელო, რომელიც მატჩის დებიუტში გავიდა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები დაანინაურა - 5:3. ამის შემდეგ რუსთა დაცვის არეულობით ისარგებლეს გიორგი ჩხაიძემ და გია ლაბაძემ, რომლებმაც ორსეკუნითი კომბინაცია გაითამაშეს და ლაბაძემ მეორედ დალაშქრა "დათვების" ჩათვლის მოედანი - 12:3. თამაშით საქართველოს ნაკრები აშკარად სჯობნიდა მეტოქეს როგორც შერკინებაში, ისე დაცვაში და ნათელი გახდა, რომ ქართველები ამ თამაშს თავის სასარგებლოდ დაასრულებდნენ. მესამე ლელო ტაიშის მიწურულს გაიტანა მალხაზ ურჯუკაშვილმა, რომელსაც ეფექტურად გაუნია ასისტენტობა მერაბ კვიციანი. შერკინებიდან აბუსერიძემ ბურთი კვიციანს გადასცა, მერაბმა ცრუ მოძრაო-

ბით დააბნია რუსეთის ნაკრები ხაზის მოთამაშეები, გაარღვია მათი დაცვის ხაზი და ურჯუკაშვილს გადასცა პასი. ეს ლელო კლასიკური დასასრული იყო იმ კომბინაციისა, რომელსაც ტიმ ლეინის გუნდი თბილისში ხვეწდა. სასიამოვნოა, რომ ავსტრალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით "ბორჯღალოსნები" კომბინაციურ შეტევებს დაეჩვივნენ და მთელ პერიმეტრზე ცდილობენ თამაშის გაშლას, რაც ჩვენი გუნდის შეტევებს მრავალფეროვნებას სძენს და მათ თანამედროვე რაგბის კომპონენტებთან აახლოებს. რუსებთან გატანილი 5 ლელოდან 3 ხაზის მოთამაშეების ანგარიშზეა (მალალურაძე, ურჯუკაშვილი და მანჩანელი). რუმინეთთან მატჩში კი სამივე ლელო ხაზის მოთამაშეებმა გაიტანეს. ეს ნიშნავს, რომ ტიმ ლეინის გუნდი კარგად არის დაბალანსებული შერკინებასა და ხაზში, რაც დიდი ფუფუნება თანამედროვე რაგბში. მხოლოდ ელიტური გუნდები ფლობენ ამ ფუფუნებას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიო თასზე, რომელიც 2011 წელს ახალ

ზელანდიაში გაიმართება, საქართველოს ნაკრები მსოფლიო რაგბის ელიტაში დაიკვიდრებს ადგილს. მეორე ტაიში მეტოქეებმა ორ-ორი ლელო გაცვალეს. რუსები მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც ფრანგმა მსაჯმა დიდი მანქანა მალალურაძე გაასინბინა. ფრანგი მსაჯისთვის ეს მატჩი ბოლო იყო თავისი კარიერის განმავლობაში და სასიამოვნოა, რომ ქართველთათვის ფეხბედიერი გამოდგა. ორივე ლელო რუსების მხრიდან გეოზდოვსკის ანგარიშზეა. ქართველთაგან კი ხინჩაგივილმა და თამაშის ბოლო ნუთზე მანჩანელმა გამოიჩინეს თავი. **რუსეთი 21:29 საქართველო**
რუსეთი: 1. ალექსანდრ ხროკინი, 2. ვლადიმირ კორშუნი (კაპ.), 3. ივან პრიშჩეპენკო, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. კირილ კულეშინი, 6. ვიქტორ გრესიოვი, 7. ანდრეი ოსტრიკოვი, 8. ანდრეი გარბუზოვი / 9. ალექსანდრ შაკიროვი, 10. იური კუშნარიოვი, 11. ალექსანდრ გეოზდოვსკი, 12. სერგეი ტრიშინი, 13. მიხაილ ბაბაევი, 14. ანდრეი კუზნი, 15. იგორ კლუჩნიკოვი.

მწვრთნელი: ნიკოლაი ნერუმი
2 ლელო: გეოზდოვსკი
გარდასახვა: კუშნარიოვი
3 ჯარიმა: კუშნარიოვი
საქართველო: 1. დავით ხინჩაგივილი, 2. ირაკლი ნატრაიშვილი, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. მამუკა გორგოძე / 9. ირაკლი აბუსერიძე, 10. ლაშა მალალურაძე, 11. მალხაზ ურჯუკაშვილი, 12. ირაკლი გიორგაძე, 13. დავით კაჭარავა, 14. ირაკლი მანჩანელი, 15. მერაბ კვიციანი
მწვრთნელი: ტიმ ლეინი
5 ლელო: მალალურაძე, ლაბაძე, ურჯუკაშვილი, ხინჩაგივილი, მანჩანელი.
2 გარდასახვა: კვიციანი
სინბინი: მალალურაძე
მსაჯი: დიდი მანქანა (საფრანგეთი)
საქართველო 5 4 1 0 **170:80** 9
პორტუგალია 5 3 1 1 124:84 7
რუსეთი 4 3 0 1 109:77 6
რუმინეთი 5 2 0 3 104:88 6
ქაშანი 5 1 0 4 77:151 2
გერმანია 4 0 0 4 22:126 0



ფოტო: ბაბუნა ლომიძე

კუპერის სია

საქართველოს ეროვნული ნაკრები 28 მარტს და 1 აპრილს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს: ექტორ რაულ კუპერის გუნდი ჯერ კვიპროსს გაეჯიბრება სტუმრად, შემდეგ კი მონტენეგროს უმასპინძლებს.

არგენტინელმა სპეციალისტმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ხსენებული ორი ოფიციალური მატჩისთვის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოეზადებინან:

მეკარეები: გიორგი ლომია (თბილისის "ლოკომოტივი"), გრიგოლ ბედიასვილი (თბილისის "ვიტ ჯორჯია"), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი")

მცველები: უჩა ლობჯანიძე ("ზესტაფონი"), გურამ კაშია (თბილისის "დინამო"), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლეჩერნ როვერსი", ინგლისი), ლაშა სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), ალექსანდრე კვახაძე (თბილისის "ვიტ ჯორჯია"), გიორგი შაშიასვილი ("შტურმი", ავსტრია), დავით კვიციანი ("რუბინი", რუსეთი)

ნახევარმცველები: დავით ოდიკაძე ("დიორ ეტო", უნგრეთი), ლუკა რაზმაძე (თბილისის "ვიტ ჯორჯია"), ზურაბ მენთეშაშვილი ("ვენესპილი", ლატვია), ლევან ხმალაძე (თბილისის "დინამო"), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), ლევან ყენია ("შალკე 04", გერმანია)

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე ("დინამო", უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე", გერმანია), გიორგი მერეაშვილი (თბილისის "დინამო"), ლევან მჭედლიძე ("ემპოლი", იტალია), დავით სირაძე (უკლუბო), ნიკოლოზ გელაშვილი ("ზესტაფონი")

ლომინიშვილი მეოთხე ადგილს დასჯერდა

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში დასრულებულ ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატზე ქართველმა მაია ლომინიშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა და საპრიზო სამეულში შესაღწევად ერთი ნაბიჯი დააკლდა.

ლომინიშვილმა ტურნირი მონაწილეთა შორის დაამთავრა და წინ მხოლოდ სომეხი ლილიტ მკრტიჩიანი და რუსი ტატიანა კოსინცევა გაუშვა, რის შემდეგაც ტაიბრეიკში ასპარეზობის უფლება მიიღო. პირველ რაუნდში მაია პოლონელ რაილიჩს დაძაბულ ბრძოლაში სძლია - 1:0, 0:1, 1:0, 0:1, 1:0, შემდეგ კი რუსი ოვოდი დაამარცხა - 0:1, 1:0, 0.5:0.5, 1:0.

ბრინჯაოსთვის გადაწყვეტ მატჩში ლომინიშვილმა კიდევ ერთ რუს პოგონინსთან 0:1, 1:0, 0:1, 0:1 ნააგო. ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულს გახდა კოსინცევა, რომელმაც მკრტიჩიანს 1:0, 0.5:0.5 მოუგო. ლომინიშვილის გარდა, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საგზური სოფო ხუხაშვილსაც ერგო.

ლენონმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ლონდონის "ტოტენჰემის" ნახევარმცველმა, 21 წლის აარონ ლენონმა კლუბთან ახალი, უფრო გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ძალაში იქნება უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, ფინანსური დეტალების გამხელა კი მხარეებმა არ ისურვეს. მიმდინარე სეზონის დასაწყისს ლენონი არცთუ კარგ ფორმაში შეხვდა, თუმცა შემდეგ ფეხბურთელმა კონდიციები აღიდგინა და ბოლო თამაშებში იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ ფეხბურთის ექსპერტები მის ეროვნულ გუნდში გამოძახებას ვარაუდობდნენ. ლენონისთვის სამწუხაროდ, ფაბიო კაპელომ ის სლოვაკიისა და უკრაინის ეროვნული გუნდების წინააღმდეგ სათამაშოდ შერჩეულ ფეხბურთელთა სიაში არ შეიყვანა. სამაგიეროდ, მას ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა სტიუარტ პირსმა დაუძახა.

ადრიანოს ხელფასს უმცირებენ

"ინტერის" ხელმძღვანელობა ადრიანოს ახალ, უფრო გრძელვადიან კონტრაქტს სთავაზობს, ოღონდ ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაფორმდება, თუ ბრაზილიელი ფორვარდი ახლანდელი ხელფასის 20 პროცენტით შემცირებას დათანხმდება. აქვე გეტყვით, რომ სამხრეთამერიკელი თავდამსხმელის ყოველწლიური გასამარჯვლო 5 მილიონი ევროა, მისი 20 პროცენტი კი - ზუსტად მილიონი.

ფეხბურთელს ეს წინადადება აშკარად არ ეხატება გულზე და თავის მხრივ "ინტერის" შეფებს ემუქრება, თუ სასურველ თანხას არ გადაიხდით, კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ და მომავალ ზაფხულს კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დავტოვებო. იგივე მოთხოვნა აქვს ადრიანოს აგენტსაც, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი კლიენტისთვის "სასურველი თანხის" გადახდელი კლუბის გამოძახება არ გაუჭირდება.

"ფეხბურთელი, რომელიც ბრაზილიის ნაკრების წევრია და რომლის გადასაბირებლადაც სატრანსფერო ღირებულების გადახდა საჭირო არ არის, აუცილებლად გამონახავს მისთვის მისაღებ გუნდს. ასე რომ, "ინტერის" ხელმძღვანელებს უჯობთ, შემოთავაზებული თანხა გაზარდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადრიანოს ისე დაკარგავენ, რომ მის სანაცვლოდ ერთ ევროსაც ვერ აიღებენ", - განაცხადა 27 წლის ფორვარდის აგენტმა ჟილმარ რინალდომ.

"დინამომ" სოხელი გაუშვა

მიხეილ ახიჯილი

"კლუბის ხელმძღვანელობის და მთავარი მწვრთნელის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გერმანელ მწვრთნელთან განწყვეტილია. კლუბი მადლობას უხდის გერმანელ სპეციალისტს განუყოფელი სამუშაოებისთვის და წარმატებებს უსურვებს საფეხბურთო კარიერაში. მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს მეორე მწვრთნელი შეასრულებს", - ასეთი განცხადება განთავსდა საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩემპიონმა ზედიზედ მეორე თამაშში დაკარგა ქულები. რაინერ ცობელმა ვერ შეასრულა დანაპირები, რაც "დინამოს" მიერ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას და საქართველოს თასის მოგებას გულისხმობდა. პრინციპში, მას არც დასცალდა - გუნდი საქართველოს თასის ნახევარფინალშია და ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერს მხოლოდ ქულით ჩამორჩება. თუმცა, ამ ქულამ ერთგვარად მოჯადოებულის ელფერიც კი შეიძინა მას შემდეგ, რაც დანაპირებულმა "ვიტ ჯორჯიამ" ზედიზედ ორჯერ აუტსაიდერებთან დაპირისპირებებში გამარჯვებას ვერ მიაღწია, მაგრამ ამაში მას "დინამომაც" აუბა მხარი. ასე რომ, "დინამოს" შეფობამ გადაწყვეტი ნაბიჯი გადადგა და ცობელს კონტრაქტი გაუწყვიტა. "ბოლო კალენდარული მატჩის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელთან ერთად მცირე თათბირი გადამართეთ და მივედით გადაწყვეტილებამდე, რომ კონტრაქტის შეწყვეტა ორივე მხარისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ კატეგორიულად უკმაყოფილო ვართ რაინერ ცობელის მუშაობით. პირიქით, განუღო საქმიანობისთვის მას მაღლობა გადაყენებულა. რაც შეეხება მომავალს, გუნდს სეზონის ბოლომდე მე-



ზესტაფონელმა გელაშვილმა დუბლი შეასრულა

ორე მწვრთნელი კახა კაჭარავა უხელმძღვანელებს", - განუცხადა "24 საათს" "დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ.

"დინამოს" ხელმძღვანელობის ეს არც ისე მოულოდნელი გადაწყვეტილება მოჰყვა "ლოკომოტივისა" და "დინამოს" მატჩს, რომელშიც ჩემპიონი კლუბის ხელმძღვანელობას უკმაყოფილების არაერთი საბაბი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ გუნდმა გოლი ვერ გაიტანა, თამაშის ხარისხიც შორს იყო იდეალურისგან. "ლოკომოტივი" ამ სეზონში, განსაკუთრებით კი მეორე ნრეში, არათუ ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, საპრიზო ადგილებისთვისაც ვერ ახერხებს ბრძოლას. უკეთეს შემთხვევაში, მე-5 პოზიციაზე თუ დაასრულებს ჩემპიონატს. ასეთ მეტოქესთან დაპირისპირებაში, ქულეების დაკარგვის დაუშვებლობაზე რომ აღარაფერი ვთქვა, სათამაშო უპირატესობას რომ ვერ მოიპოვებ, ეს მხოლოდ სერიოზულ კრიზისად შეიძლება შეფასდეს, რაც "ქიურგიული ჩარევის" აუცილებლობაზე მიუთითებს. ეს ჩარევა განხორციელდა - მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან გადაყენებულია. ის, თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს ნაბიჯი, უახ-

ლოეს მომავალში გამოჩნდება. მით უმეტეს, რომ მომავალ ტურში "დინამოს" ურთულესი მატჩი ელის - გასვლითი თამაში გამარჯვების მადაზე მოსულ და ლიდერებს წამოწეულ "ზესტაფონთან".

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, თბილისის "დინამოს" მიერ მოპოვებული მცირე ტერიტორიული უპირატესობა არათუ არ გადაზრდილა მატერიალურში, კინალამ პირიქით მოხდა. საგოლე მომენტები როგორც ერთ, ისე მეორე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. ყველა კრიტიკულ სიტუაციაში მეკარეებმა დაკისრებულ მოვალეობას ბრწყინვალედ გაართვეს თავი. მატჩის გმირებად სწორედ ოვონო და ლომია შეიძლება მივიჩნიოთ. საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკურად - უგოლოდ დასრულდა და "დინამომ" ბოლო ორ მატჩში ოთხი ქულა დაკარგა.

ანალოგიურად წარიმართა "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება აუტსაიდერ "სპარტაკთან". ამ შეხვედრაშიც არ გასულა გოლი და ცხინვალურმა კლუბმა ზედიზედ მეორე შეხვედრაში საპატიო ქულას გამოჰკრა ხელი. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში "სპარტაკმა" "დინამოსაც" არ დაანება გამარჯვება.

ლიდერთა ამ ნაფორხილებით ისარგებლა "ზესტაფონმა", რომელმაც ახალციხის "მესხეთს" უმასპინძლა და დიდი ანგარიშითაც დაამარცხა. ორი გოლი ნიკოლოზ გელაშვილმა მიითვალა, ერთი გოლიც ყოფილი დინამოელი შოთა გრიგალაშვილის ანგარიშზეა. როგორც ჩანს, "ბორჯომი" უძლიერესთა კომპანიაში ადგილს ვეღარ შეინარჩუნებს. ბორჯომელები ამჯერადაც დამარცხდნენ, თანაც, საკუთარ მოედანზე - ბოლნისის "სიონთან" 1:2 დათმეს მატჩი და მყარად დამკვიდრდნენ ცხრილის ბოლო საფეხურზე.

25-ე ტური

ლოკომოტივი - დინამო	0:0
გაგრა - მგლები	2:2
ზესტაფონი - მესხეთი	3:0
სპარტაკი - ვიტ ჯორჯია	0:0
ბორჯომი - სიონი	1:2

სატურნირო მდგომარეობა

ვიტ ჯორჯია	23	14	8	1	38:12	50
დინამო	23	15	4	4	48:17	49
ზესტაფონი	22	12	4	6	27:14	40
ოლიმპი	21	10	9	2	24:11	39
სიონი	22	8	9	5	24:19	33
ლოკომოტივი	21	8	5	8	23:19	29
მგლები	23	7	5	11	26:29	26
მესხეთი	23	5	8	10	15:29	23
გაგრა	23	4	6	13	16:37	18
სპარტაკი	22	3	6	13	20:37	15
ბორჯომი	23	2	6	15	17:54	12

ორმაბი მარცხი

ოსაკაში გრძელდება სეზონის რიგით მეორე სუპერტურნირი სუ-მოში - მარტის ბაშო. გუშინ სპორტსმენებმა მერვე ბრძოლები გამართეს. აქამდე კარგად ირჯებოდა კოკაი, რომელსაც 7 დღის შემდეგ ხუთი გამარჯვება ჰქონდა. მერვე დღე ქართველთათვის უილბლო აღმოჩნდა - ორივე ჩვენებური დამარცხდა.

დასავლეთის მერვე მაიგაშირას რანგში მოასპარეზე კოკაიმ აღმოსავლეთის მეოთხე მაიგაშირა ტაკეკაზესთან ოშიდაშის ილეთით წააგო. ახლა გამოცდილ ქართველ მეტრძოლს ხუთი გამარჯვება და სამი მარცხი აქვს. ლევან ცაგურიას დადებითი ბალანსისთვის და რეიტინგში წინსვლისთვის დარჩენილ 7 დღეში 3 გამარჯვება სჭირდება.

უფრო რთულად აქვს საქმე ახალგაზრდა ქართველ სუმოისტს ტორინოშინს, რომელიც გუშინ აღმოსავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ჩიოჰაკუჰოსთან დამარცხდა. ახლა მას ხუთი მარცხი და სამი გამარჯვება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ტორინოშინმა დარჩენილ შვიდ დღეში ხუთი ბრძოლა ვერ



მოიგო, რეიტინგში დაქვეითდება. დღეს კოკაი დასავლეთის მე-

ოთხე მაიგაშირა ოშიკაზეს ხედება, ტორინოშინის მეტოქე კი იქნება

აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაიგაშირა ტოიზაკურა.

“ქორაზი” კლივლენდში შეაჩერეს


გუშინ, გამთენიისას, NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი შეხვედრა გამართა ზაზა ფაჩულის “ატლანტა ჰოვსში”. გუშინდელმა დღემ ჯორჯიელებს ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდათ მოგებული. “ქორაზმა” შვიდივე საკუთარ “ფილიპს არენაზე” მოიგეს, გუშინ კი კლივლენდს ესტუმრნენ და დაუპირისპირდნენ ადგილობრივ “კავალიერსს”, რომელსაც ამ სეზონში საკუთარ მოედანზე მხოლოდ ერთი მარცხი აქვს გაცდილი. ლებრონ ჯეიმსი და კომპანია ბრწყინვალე თამაშს აჩვენებენ. ასე რომ, ატლანტელების გამარჯვებათა სერია იმთავითვე შეწყვეტისთვის იყო განწირული.

მასპინძლებმა მატჩის პირველივე მეოთხედში უჩვენეს ყველას, რომ საკუთარ მოედანზე მორე მატჩის წაგებას არ აპირებენ და პირველი 12 წუთი 14-ქულიანი უპირატესობითაც მოიგეს. ამას მეორე მეოთხედში კიდევ ოთხი ქულა დაემატა და შესვენებაზე გუნდები ისე გავიდნენ, რომ “კავალიერსი” 18 ქულას იგებდა. მეორე ტაიმში ჯორჯიელებმა თითქოს გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ 18-ქულიანი ჰანდკაპის აღმოფხვრა შეუძლებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ “კლივლენდმა” მატჩი ანგარიშით 102:96 მოიგო.

ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 18 წუთი დაჰყო და თავის გუნდს 6 ქულა და 4 მოხსნა შეანია.

ნარმატებული გამოდგა გასული უქმეები ევროპაში მოასპარეზე ქართველებისთვის.

საქართველოს ნაკრების ფორვარდის ვლადიმერ ბოისას “ზადარმა” ადრიატიკის ლიგის შეხვედრაში, საკუთარ მოედანზე, “ვიოვოდინა” 80:71 დაამარცხა. ერთადერთი, რაც სტუმრებს მეტოქეზე უკეთესი ჰქონდათ, ორქულიანი ტყორცნების პროცენტული მაჩვენებელია. დანარჩენ კომპონენტებში ხორვატებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ და სრულიად ლოგიკურად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე.



ფაჩულია ფარქვემ ბურთისთვის იბრძვის

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა - მეტოქეები მეოთხედებს ერთმანეთის მონაცვლეობით იგებდნენ, გადამწყვეტი კი გამოდგა ბოლო პერიოდი, რომელიც მასპინძლებმა 24:10 მოიგეს და საბოლოო

გამარჯვებაც დააფიქსირეს. ბოისამ სასტარტო ხუთუფლებში დაიწყო თამაში და მოედანზე გატარებულ 30 წუთში საკუთარ აქტივში 6,2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი გაიფორმა. ამ გამარჯვების შემდეგ “ზადარმა” ადრიატიკის ლიგაზე მო-

პოვებულ მოგებათა რიცხვი 17-მდე გაზარდა და ამ შედეგით გათამაშების ცხრილში მეხუთე ადგილზეა. მანუჩარ მარკოშვილმა კი “ბკ კიევი” მორიგი შეხვედრა მოაგებინა. ქართველის შემწეობით დედაქალაქელებმა უკრაინის ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩში, საკუთარ მოედანზე, “პოლტავა” დაამარცხეს - 75:64.

ქართველი მსროლელი უკრაინულ კლუბში დაახლოებით ორი წლის წინ გადავიდა და მაშინვე ერთ-ერთ ნამყვან კალათბურთელად იქცა, ხოლო მას შემდეგ, რაც ფინანსური კრიზისის გამო გუნდმა რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი გაუშვა, მარკოშვილი კიეველთა აშკარა ლიდერად ჩამოყალიბდა. ამ აზრის სისწორეს მანუჩარევი თამაშში ამტკიცებს.

ქართველი “პოლტავასთან” მატჩშიც დედაქალაქელთა ლიდერი იყო და გუნდი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. დაძაბულ ბრძოლაში ჩაველი სამი მეოთხედის შემდეგ მასპინძლები ბოლო პერიოდს მხოლოდ 2-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ, თუმცა გადამწყვეტი ათწუთიანი კიეველებმა 25:16 მოიგეს და საბოლოოდ 75:64 გაიმარჯვეს.

მარკოშვილმა თითქმის შეუცვლელად ითამაშა და 21 ქულით მატჩის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მანუჩარევი 10 ორქულიანიდან ზუსტად ნახევარი მიზანში მოარტყა, პერიმეტრიდან შესრულებული 5 ტყორცნიდან 3 შედეგანი გამოუვიდა, ამასთან, ორივე საჯარიმო ზუსტად გამოიყენა. ქართველ ლეგიონერს არც სხვა კომპონენტებში შეურცხვენი თავი - ქულებთან ერთად მან 8 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი მიითვალა.

24 ტურის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში კვლავ ორხელისუფლებიანობაა - 21-21 მოგებით კიეველები “აზოვმაშთან” ერთად ლიდერობენ.

ლაპორტა გულდანყვეტილია

“ბარსელონას” პრეზიდენტი ჟოან ლაპორტას ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალური ეტაპის კენჭისყრის შედეგად კატალონიური კლუბისა და მიუნხენის “ბაიერის” დაწყვილებამ გული დასწყვიტა.

“ცოტა არ იყოს, გული მწყდება იმის გამო, რომ “ბაიერთან” მოგვიწევს თამაში, რადგან ჩვენს კლუბებს შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. ძნელი იქნება, რადგან საპასუხო მატჩის სტუმრად ჩავატარებთ. ამით ჩვენი ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ასე გამარჯვება კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება. ყოველ შემთხვევაში, შთამბეჭდავი პაექრობები გველის და ჩვენი გონებაც მხოლოდ ამ დუელისკენ არის მიმართული”, - დასძინა ლაპორტამ.

ჰიდინკი კმაყოფილია

ლონდონის “ჩელსის” მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალის კენჭისყრის შედეგით კმაყოფილია.

ფეხბურთის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა უფასო ოფიციალურ ვებგვერდთან გააკეთა კომენტარი: “თუ ტურნირში ფინალამდე გინდა დარჩენა, ყველა მეტოქესთან ბრძოლა მოგინდევს და მნიშვნელობა არა აქვს, “ლივერპული” იქნება ეს, “მანჩესტერი” თუ “ბარსელონა”. ამიტომ კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ. ამ მატჩების მიმართ ინგლისშიც და მთელ მსოფლიოშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ. საერთო ჯამში, ეს ფეხბურთისთვის ძალიან კარგია. საფეხბურთო მძიმეწონისგან შორის მოსაწყენი პაექრობები არ არსებობს”, - დასძინა ჰიდინკმა.

როგორც ცნობილია, “ჩელსი”, რომელსაც ჰოლანდიელი სპეციალისტი 2009 წლიდან უდგას სათავეში, ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში “ლივერპულს” დაუპირისპირდება.

უოლკოტი ისევ მკურნალობს

ლონდონის “არსენალის” 20 წლის ნახევარმცველი თეო უოლკოტი ისევ დაშავდა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელმა დღევანდელი ვარჯიშის დროს მუხლი დაიზიანა და იძულებული გახდა გასახდელში დაბრუნებულიყო.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ნახევარმცველის ახალი ტრავმა, თუმცა “მეთოფეთა” თავაკაცმა არსენ ვენგერმა უკვე განაცხადა, უოლკოტი ვერც შაბათს, “ნიუკასლთან” მატჩში ითამაშებს და ვერც ეროვნულ გუნდს დაეხმარება შესარჩევი ტურნირის შეხვედრებში.

შეგახსენებთ, რომ ტრავმით გამოწვეული ოთხთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ უოლკოტმა სულ ახლახან აღიდგინა ფორმა და ინგლისის ასოციაციის თასზე “ჰალის” წინააღმდეგაც ითამაშა. პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში კი მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც ერთი გოლი გაიტანა.

უოლკოტი 2006 წლიდან იცავს “არსენალის” ღირსებას და 55 მატჩში გუნდს 5 გოლით შეენია. ინგლისის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 6 შეხვედრაში კი 3 სანაკრებო გოლი ჩაინერა.

დელ ბოსკემ ესპანელთა შემადგენლობა დაასახელა

ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-5 შესარჩევი ჯგუფის მატჩებში თურქებს 28 მარტს სახლში დაუპირისპირდება, ხოლო 1 აპრილს სტუმრად შეხვდება.

დელ ბოსკემ არჩევანი შემდეგ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

მეკარეები: იკერ კასილასი (“რეალი”), პეპერენა (“ლივერპული”, ინგლისი), დიეგო ლოპესი (“ვილიარეალი”);

მცველები: რაულ ალბიოლი, კარლოს მარჩენა (ორივე “ვალენსია”), ალვარო არბელაო (“ლივერპული”, ინგლისი), ხუან კაბდევილა (“ვილიარეალი”), ხუანიტო (“ბეტისი”), სერხიო რამოსი (“რეალი”), ხერარდ პიკე (“ბარსელონა”);

ნახევარმცველები: ხაბი ალონსო, ალბერტ რიერა (ორივე “ლივერპული”, ინგლისი), სანტი კასორლა, მარკოს სენა (ორივე “ვილიარეალი”), სერხიო ბუსკეტსი, ხავი, ანდრეს ინიესტა (ყველა “ბარსელონა”), დავიდ სილვა (“ვალენსია”);

თავდასხმელები: დავიდ ვილია (“ვალენსია”), დანიელ გუსია (“ფენერბახჩე, თურქეთი”), ფერნანდო ტორესი (“ლივერპული”, ინგლისი), ფერნანდო ლიორენტი (“ატლეტიკი”, ესპანეთი).

თავისუფლების კუნძული ნადავლის ბარაზე დარჩა

კლიჩკომ გომესს WBC არ დაანება

დაეტყოთ. მეშვიდე რაუნდში გომესმა ნოკდაუნი იგება. კუბელის დროებითი გამოთიშვით კლიჩკო საკუთარი უპირატესობის გაზრდას შეეცადა, მაგრამ პრეტენდენტმა რაუნდის ბოლომდე შეძლო უკრაინელის შეტევებთან გამკლავება. მე-8 რაუნდში ჩემპიონის უპირატესობით წარმართა, მეცხრეში კი გომესი ისევ ნოკდაუნში აღმოჩნდა. საჩემპიონო ქამრის მოცილის მრავალგზის მცდელობა, გაეგრძელებინა ჩხუბი, იმით დასრულდა, რომ მატჩის რეფერიმ დანიელ ვან დე ვილემ ორთაბრძოლა შეაჩერა და ვიტალი კლიჩკოს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ჩაუთვალა.

“ვაკეთებდი იმას, რაც შემიძლო. ვიტალი ჩემს დანოკაუტებას პირველ რაუნდშივე ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა, - მატჩის შემდეგ ამბობდა ხუან კარლოს გომესი - ის დიდი ჩემპიონია და ბრწყინვალე ორთაბრძოლა ჩაატარა. ვფიქრობდი, 12-ვე რაუნდს გავუძლებდი, რაც, ჩემდა სამწუხაროდ, არ მოხდა. მიუხედავად ამისა, უდიდესი გამოცდილება

მივიღე. თუ ვიტალი ჩემთან შეხვედრას მოინდომებს, უარს არ ვიტყვი”.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კუბელმა კლიჩკოს ბოდიში მოუხადა - თუ ჩვენს შეხვედრამდე შენზე აგდებულად ვლავარაკობდი, მხოლოდ იმითმ, რომ ეს ყველაფერი მატჩამდელი წარმოდგენის ნაწილი იყო. კლიჩკომ დიდსულოვნად მიიღო გომესის ბოდიში.

დამორცხველ კუბელს ბოდიშის მოხდამ მოუწია საკუთარ ქალიშვილთანაც, რომელსაც თანაკლასელები, განსაკუთრებით ბიჭები, მამამისს კლიჩკოთი ემუქრებოდნენ - ვიტალი გალახავსო. ბუნებრივია, გომესი 11 წლის ქალიშვილს შეჰპირებია, მსგავსი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ...

“შევიპირდი, რომ კლიჩკო ვერაფერს დამაკლებდა, მაგრამ სიტყვა ვერ შევასრულე. ჩემი გოგო პატარა აღარ არის. იმედი მაქვს, გამიგებს. განა მამამისი ნამდვილმა გოლიათმა არ დაამარცხა?!”

ერთი სიტყვით, ოთხი უმთავრესი საჩემპიონო ქამრი-

გიბა ბარასაშვილი

21 მარტის ჩხუბს, გერმანელებთან ერთად, დანარჩენი ევროპა, ჩრდილო ამერიკა და, რა თქმა უნდა, უკრაინელები და კუბელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს. “ჰანს-მარტინ-შლეიერ არენაზე” უკრაინელ ვიგანტს, ვიტალი კლიჩკოს, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო ქამარს თავისუფლებისკუნძული ხუან კარლოს გომესი ეცილებოდა. კუბელის ყველა მცდელობა მცდელობად დარჩა - უკრაინელმა ჩემპიონობა შეინარჩუნა.

მოკრივეები ფრთხილად შეუდგნენ საქმეს. გომესი უკრაინელთან მანძილის შემცირებას, კლიჩკო კი შეტევისთვის ხელსაყრელი მანძილის პოვნას ცდილობდა. უკრაინელის მუშტი უფრო ხშირად აღწევდა მიზანს.

ორთაბრძოლის მეორე ნახევარში მოკრივეებს დაღლა

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

"ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება "ნიუ-იორკ თაიმსის" რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება "24 საათისთვის", ისევე, როგორც ფრანგული "ლე მონდისთვის", ესპანური "ელ პაისისთვის", გერმანული "ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის", ბრიტანული "ობსერვერისთვის" და ა.შ.

"24 საათი" 2009 წლის იანვრიდან არის "ნიუ-იორკ თაიმსის" კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

პლოკით

SLT-ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი

გთავაზობთ მაგისტრის წოდების მიმნიჭებელ შემდეგ პროგრამებს

- ✦ სამრეწველო ინჟინრობა და სისტემების მართვა
- ✦ კომპიუტერისა და ინფორმაციის ცოდნა
- ✦ ბიზნეს მართვა (MBA)
- ✦ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა
- ✦ იურისპრუდენცია (LL.M.)
- ✦ პოლიტოლოგია და საერთაშორისო ურთიერთობები
- ✦ ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება (აგრეთვე მოწოდების მიმნიჭებელი პროგრამა)

☛ შეიტყვეთ მთელი წლის განმავლობაში ჩვენი მიღების შესახებ (Rolling Admission)

☛ შეიტყვეთ სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში იმ სტუდენტთა ახალი სტატუსის მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებმაც არ მიიღეს აკადემიური ხარისხი (Non-Degree Student Status)

- ✦ აშშ-ში სწავლის წლიური გადასახადის მხოლოდ 1/10 ნაწილის გადახდით სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში შეგიძლიათ მიიღოთ დასავლეთის სტილის განათლება
- ✦ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი იწვევს ლექტორებს აშშ-დან და ევროპიდან, ამიტომ უფრო შორს წასვლის საჭიროება არ არსებობს.
- ✦ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის ყოველ განყოფილებას გააჩნია თავისი საკვლევი ცენტრი, სადაც სტუდენტები იყენებენ აუდიტორიაში შექმნილ ცოდნას და იძენენ მომავალი სამუშაოსათვის ძვირფას გამოცდილებას.

✦ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 95%-ს დღეს სამუშაო აქვს.

✦ სწავლების ენა ინგლისურია

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის პარტნიორია და აღჭურვილია აშშ-ის სკოლებისა და კოლეჯთა დასავლეთის ასოციაციის რწმუნებით. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა და სასწავლო საკითხების კანცელარიაში

ტელ. (374-10) 512-791, (374-10) 512-792, (374-10) 512-793,
 ელ-ფოსტა: admission@aua.am, მისამართი: მ.პალრამიანის 40
 საინტერნეტო საიტი: www.aua.am

თვითმცლელი: მიწოდების ვადა

BMC PRO 935 FTE 8X4 1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
 მწარმოებელი: BMC
 მოდელი: BMC PRO 935 FTE
 მოცულობა: 10 მ.3
 ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
 სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
 ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
 გარანტია: 1 წელი
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მკ-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD 24-47-44, 24-47-44 (1219)

2009 წლის 26 მარტს 14 საათზე, თელავის რაიონულ სასამართლოში, მღებარე ქ.თელავი აღმაშენებლის N41, გაიმართება სს "კახეთის ენერჯიმის-ტრიბუნის" კრედიტორთა კრება. დღის წესრიგი: ბაკობრავის მმართველის ანგარიში.

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია" აცხადებს ტენდერს

ოზურგეთის რაიონში მდებარე ბუფუჭესის სადანქონო აუზის კომპლექსური გამაგრების სამუშაოებზე.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, დაგვიკავშირდნენ ქვემოთ მოცემულ მისამართზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“
 დელისის მე-3 შესახვევი N 22, V სართული;
 0177, თბილისი, საქართველო
 ტელ: +995 32 53 79 10
 +995 97 12 60 00
 +995 93 94 91 83
 ელ. ფოსტა: n-kvaratskhelia@gig.ge
 l-mosavlidze@gig.ge

წინო კვარაცხელია
 ლევან მოსავლიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 27 მარტი.

რითახევი ჰესის რეაბილიტაციის პროექტი

(საპროექტო სამუშაოები, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ზედამხედველობა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე)

მომსახურება გულისხმობს: (I) ჰიდროსადგურის საიმედო და საპროექტო პარამეტრებში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებას, (II) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას სამშენებლო ორგანიზაციის გამოსავლენად და (III) სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

სს "რითახევი-ბორჯომი" ინვესტორს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა განაცხადონ საკუთარი დაინტერესება აღნიშნული მომსახურების განევის თაობაზე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა სატენდერო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად უნდა წარმოადგინონ:

- დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია ამ მომსახურების შესრულებისათვის (ინფორმაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი ბროშურების, ანალოგიური სამუშაოების აღწერის და მისი პერსონალის რიგებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირების არსებობის ფაქტების სახით);
- სატენდერო მოსაკრებლის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით გადახდის დამადასტურებელი საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი; კოდი 220101502, ა/ა 199469000

კონსულტანტებს არა აქვთ უფლება გაერთიანდნენ კვალიფიკაციის ამალღების მიზნით.
 კონსულტანტის შერჩევა მოხდება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესებით, ყველაზე ოპტიმალური წინადადების შერჩევით.

დაინტერესებული კონსულტანტების განაცხადების მიღება და თანხლები დოკუმენტაციის გაცემა მოხდება ქვემოთ მითითებულ მისამართზე ორშაბათიდან (2009 წლის 23 მარტი) პარასკევის (2009 წლის 27 მარტი) ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე.

სს "რითახევი-ბორჯომი"
 ჯიქიას ქ. N6, II სართული, თბილისი, საქართველო
 ტელ: (995 32 18 78 21)
 ფაქსი: (995 32 18 82 10)

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ცვლილება ინტერესის გამოსატვის მოთხოვნაში (საკონსულტაციო მომსახურება)

2009 წლის 20 მარტის "24 საათი"-ს N61 ნომერში გამოქვეყნებული განცხადება საკონსულტაციო მომსახურებაზე, რომელიც ითვალისწინებს თბილისის მუნიციპალიტეტის დახმარებას ახალი საბუღალტრო აღრიცხვის, საბიუჯეტო და ფინანსური მართვის დაპროექტებასა და დანერგვაში ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

შეიცვალა შემდეგნაირად:

„განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მონაწილეულ უნდა იქნას ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 2 აპრილის 18 საათისა“. დანარჩენი რჩება უცვლელი.

osce Organization for Security and Co-operation in Europe
 Mission to Georgia

ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს:

აუქციონს სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების (პაჯერო, პიკაპი, ტერანო) გასაყიდად, საერთო რაოდენობით 31 ერთეული:

დეტალური ინფორმაციისათვის, იხილეთ მისიის მიერ გამოქვეყნებული განცხადება ვებ-გვერდზე www.jobs.ge

დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა: **2009 წლის 5 აპრილი.**



ქეა საქართველოს კავკასიაში პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს

საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შესარჩევ კონკურსს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქეა საქართველოს კავკასიაში" პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს კონკურსს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შერჩევას.

საკონსოლიდაციო ცენტრების ბიზნეს პარტნიორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში რეგისტრირებულ კომპანიებს და ორგანიზაციებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ასოციაცია, ინდივიდუალური მეწარმე და სხვა), რომლებიც მუშაობენ კვების პროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, იმპორტის, ექსპორტის, დისტრიბუციის სფეროში, აქვთ მუშაობის მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება და წარმოადგენენ 100% კერძო საკუთრებას.
2. საპროექტო წინადადების წარმოდგენა იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე, არ გააჩნიათ საბიუჯეტო დავალიანება და მათი საბანკო ანგარიშები, ასევე ქონება არ არის დაფადადებული.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული საკონსოლიდაციო ცენტრები დარეგისტრირდება, როგორც კომერციული იურიდიული პირები, სადაც პარტნიორების სახით წარმოდგენილი იქნებიან კონკურსის საფუძველზე შერჩეული ბიზნეს პარტნიორი და "ქეა საქართველოს კავკასიაში". პროექტი "ფერმერები და ბაზარი" დააფინანსებს კონკურსში გამარჯვებული განაცხადის ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების 50%-ს, მაქსიმუმ 50,000 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის "ფერმერები და ბაზარი" დასრულების შემდეგ "ქეა საქართველოს კავკასიაში"-ს წილი კაპიტალი გადაეცემა პროექტის პარტნიორ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

საპროექტო განაცხადის სტანდარტული ფორმა, ასევე განმცხადებლის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებ გვერდებზე: www.care-caucasus.org.ge; www.bpgeorgia.ge

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კვალიფიციურმა საწარმოებმა** (იხილეთ განმცხადებლის სახელმძღვანელო) უნდა შეავსონ და "ქეა საქართველოს კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში წარმოადგინონ საპროექტო განაცხადის შევსებული ფორმა. საპროექტო განაცხადის შევსება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

საპროექტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 15 მაისი, 18:00 საათი.

საპროექტო განაცხადების (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე/CD) წარდგენა შეგიძლიათ "ქეა საქართველოს კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა/მოსაშვილის ქ.11, მე-5 სართული, ტელ: (+995 32) 291941, 291378, 291531; ფაქსი: (+995 32) 294307.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს და ორგანიზაციებს განაცხადის შევსების თაობაზე კონსულტაციების მისაღებად შეუძლიათ დაესწრონ "ღია კარის დღეს", რომელიც გაიმართება "ქეა საქართველოს კავკასიაში" ცენტრალურ ოფისში ა.წ. 14 აპრილს და 5 მაისს, 12:00სთ-ზე.

პროექტი "ფერმერები და ბაზარი" BP-სა და ნავთობისა და გაზის სფეროში მისი ბიზნეს-პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ნაწილია. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მიზანია მილსადენის გასწვრივ განლაგებული თემების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ერთგვაროვანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთგვაროვანი ტენდერს სააგენტოს საჭიროებისათვის რიგის მართვის ელექტრონული სისტემის აპარატურის შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

- რიგის მართვის ელექტრონული სისტემის აპარატი - 12 ცალი.
- 3. საქონლის მიწოდების სავარაუდო ვადები - 2009 წლის მაისიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე.
- 4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სოციალური მომსახურების სააგენტო.
- 5. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.
- 6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 13 აპრილის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდით უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე და ელექტროტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

8. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 14 აპრილის 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

9.1. იურიდიული პირისათვის:

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამწარმოო რეგისტრის ამონაწერი), რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუადრეს 2 კვირისა;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

9.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

9.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) უკანასკნელი წლებში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება;

დ) მომსახურე ბანკის მიერ გაცემული უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის ანგარიშზე ბრუნვა (არ იგულისხმება დეტალური საბანკო ამონაწერი).

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 მარტისა).

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-9 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

14. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

16. ტენდერში არ გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მარინე კერესელიძე მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. www.ssa.gov.ge

მონევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.54
დაბა მესტიის ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 22 აპრილი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") ინვესტს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში დაბა მესტიის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

- ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 2284 კვ.მ;
- ფრაქციული ღორღი 14523 კვ.მ;
- თხევადი ბიტუმი 11.5 ტ;
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 12625 კვ.მ;
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 22673 კვ.მ;
- ბეტონის ბორდიური 896 გრძ.მ;
- სანიაღვრე ჭებისა და კოლექტორის მოწყობა 790 გრძ.მ;
- 1 ც. ლითონის მილის მოწყობა.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 10 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,1 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 2,5 მილიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,4 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეულებთან ერთად პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)
ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)
SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 28,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 22 აპრილის 16:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 აპრილს 16:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

მონევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.53
ქ. დედოფლისწყაროს ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 22 აპრილი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") ინვესტს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქ. დედოფლისწყაროს ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

- ქვიშა ხრეშოვანი ნარევი 418 კვ.მ.
- ფრაქციული ღორღი 2674 კვ.მ.
- ბორდიურების მოწყობა 2572 გრძ.მ.
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 4518 კვ.მ.
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 51 110 კვ.მ.
- ბიტუმი 12.3 ტ.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 7 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,3 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 4,3 მილიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,6 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეულებთან ერთად პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)
ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)
SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 33,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 22 აპრილის 17:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 აპრილს 17:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

1890
OCHOBAHO-ESTABLISHED

BORJOMI®

Georgian Glass & Mineral Water Co.N.V.

ყოველთვის
თანამედროვე
1890 წლიდან





საქმე № 2/3510-08
ბ ა დ ა ო მ ა რ ა ტ ა
საქართველოს სახელით

12 იანვარი 2009 წელი

ბ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის მოსამართლე ვ. ჯიკლაური
სხდომის მდივანი თ. მიქაბა

მოსარჩელე – საქართველოს გენერალური პროკურატურა, პროკურორი - ლევან ზაქრადე

წარმომადგენელი – ვლადიმერ ხუჭუა

მოპასუხე – ირაკლი ოქრუაშვილი, ამირან გიგუაშვილი, ლევან ტერაშვილი, დავით კეკელიშვილი, გელა ნასყიდაშვილი, მარლენ ნადირაძე, მიხეილ ქარელი, იოსებ გიგუაშვილი, ნიკა რამიშვილი, თეიმურაზ გოგიტიძე და ვასილ მახარაშვილი.

წარმომადგენელი - თანამოპასუხეების ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის და მარლენ ნადირაძის წარმომადგენელი - ლევანი ჩხეიძე

დავის საგანი – თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა.

ზეპირი მოსმენით განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის სარჩელის გამო საოქალაქო საქმე №2/3510 თანამოპასუხეების - ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის მიმართ დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა კოლეგიაში თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებულ პირებისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის მოთხოვნით თანამოპასუხეების ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის მიმართ, სარჩელი აღძრა საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორმა ლევან ზაქრადემ.

მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მარტის განაჩენით ირაკლი კობახიძე ოქრუაშვილი დაბადებული 1973 წლის 6 ნოემბერს, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. ირაკლი ოქრუაშვილი მუშაობდა რა სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე – თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე, ცნობილ იქნა დამნაშავედ სამოხელეო დანაშაულში.

საქმის მასალებით, მათ შორის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, აგრეთვე სანოტარო წესით დამოწმებული ნაყიდობის ხელშეკრულებით უდავოდაა დადგენილი, რომ ერთ-ერთი თანამესაკუთრე 371 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობისა მდებარე ქ. თბილისი, ათონელის ქ. №27 (ნაკ 5/6) არის ირაკლი ოქრუაშვილი.

მოსარჩელის განმარტებით, მართალია გარიგებაში აღნიშნულია შესყიდვის ფასი 250 000 აშშ დოლარი, თუმცა საქმის მასალებით – მოწმეთა თეიმურაზ გოგიტიძის, იოსებ გიგუაშვილის, კობა ამირაჯიბის, მალხაზ საღინაშვილის ჩვენებებით უტყუარადაა დადგენილი, რომ ნასყიდობის საგნის ნამდვილი შესყიდვის ფასი შეადგენდა 1 800 000 აშშ დოლარს.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ უძრავი ქონება შექმნილი იქნა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ, რომელმაც გადაიხადა დასახელებული ქონების სყიდვის ფასი. ი. ოქრუაშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დეკლარაციის მიხედვით მიღებული თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მის მიერ თეიმურაზ გოგიტიძისთვის გადაცემული თანხების ოდენობას, რაც უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ეს თანხები მოპოვებულ იქნა დაუსაბუთებლად, ვინაიდან არ არსებობს მათი მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი.

მოსარჩელე განმარტავს, რომ ამირან გიგუაშვილი, ლევან ტერაშვილი, დავით კეკელიშვილი, გელა ნასყიდაშვილი, მარლენ ნადირაძე, მიხეილ ქარელი, იოსებ გიგუაშვილი, ნიკა რამიშვილი, თეიმურაზ გოგიტიძე და ვასილ მახარაშვილი წარმოდგენენ ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებულ პირებს, ვინაიდან

იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე დასახელებულ პირებს საკუთრებაში აქვთ ქობილისში ათონელის ქუჩა №27-ში მდებარე უძრავი ნივთი და ამასთან მოსარჩელე მიუთითებს საფუძვლიან ეჭვზე, რომ დასახელებული ქონება მოპოვებულია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ. ამასთან მოსარჩელე მიუთითებს მოპასუხეთა ქონებრივ დეკლარაციებზე, რომელთა მონაცემების გათვალისწინებითაც მოსარჩელე აკეთებს დასკვნას, რომ თანამოპასუხეებს - ამირან გიგუაშვილს, ლევან ტერაშვილს, დავით კეკელიშვილს, გელა ნასყიდაშვილს, მარლენ ნადირაძეს, მიხეილ ქარელს, იოსებ გიგუაშვილს, ნიკა რამიშვილს, თეიმურაზ გოგიტიძეს და ვასილ მახარაშვილს მათი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით არ შესწევდათ უნარი განეხორციელებინათ სადავო ქონების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მოითხოვს, თანამოპასუხეებისაგან დასახელებული ქონების ჩამორთმევას, როგორც დაუსაბუთებელი ქონებისა და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემას.

წარდგენილ სარჩელეზე შესაგებელი წარმოდგენის მხოლოდ რამოდენიმე თანამოპასუხემ, კერძოდ - ლევან ტერაშვილმა, დავით კეკელიშვილმა და მარლენ ნადირაძემ, სასამართლო აქვე აღნიშნა, რომ რამოდენიმე თანამოპასუხის მიმართ, კერძოდ თანამოპასუხეების - ი. ოქრუაშვილის, მ. ქარელის, ნ. რამიშვილის, ლ. ტერაშვილის, მ. ნადირაძის, და დ. კეკელიშვილის მიმართ სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებისათვის საჭირო შეიქმნა სსსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინების წესის გამოყენება, გამომდინარე იქედან, რომ როგორც საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე დადგინდა მოსარჩელის მიერ მიითითებული ადრესატების (ი. ოქრუაშვილის, მ. ქარელის, ნ. რამიშვილის, ლ. ტერაშვილის, მ. ნადირაძის და დ. კეკელიშვილის) მისამართები იყო სწორი, ამასთან აღნიშნულ მისამართებზე კანონით გათვალისწინებული წესით გაგზავნის მიუხედავად ადრესატებს გზავნილი ვერ ჩაბარდა, ასეთი შემთხვევისათვის კი საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული დანაწესი ითვალისწინებს 78-ე მუხლის დებულებების შესაბამისად საჯარო შეტყობინების მეშვეობით ჩაბარების წესის გამოყენებას. განსახილველ შემთხვევაში თანამოპასუხეებისათვის – ი. ოქრუაშვილისათვის, მ. ქარელისათვის, ნ. რამიშვილისათვის, ლ. ტერაშვილისათვის, მ. ნადირაძისათვის და დ. კეკელიშვილისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებისათვის გამოყენებული იქნა საჯარო შეტყობინების საშუალება.

თანამოპასუხეებმა ლევან ტერაშვილის, მარლენ ნადირაძის და დავით კეკელიშვილის წარმომადგენელმა ლევან ჩხეიძემ (სასამართლო შენიშვნა, რომ წარმოდგენილ შესაგებელის შესაბამის გრაფაში „მოპასუხის გრაფა“ ლევან ტერაშვილთან, მარლენ ნადირაძესთან და დავით კეკელიშვილთან ერთად, ასევე მიითითებულია ნიკა რამიშვილი, თუმცა მის მიერ ლ. ჩხეიძის მიმართ გაცემული რწმუნება საქმეში არ არის წარმოდგენილი, ამდენად შესაგებელი ნ. რამიშვილის მხრიდან წარმოდგენილად ვერ ჩაითვლება) წარმოდგენილი სარჩელის მიმართ სასამართლოში წარმოდგინა შესაგებელი, რომლის შესაბამისადაც თანამოპასუხეები არ ცნობენ სარჩელს შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მარტის განაჩენი, რომელზეც ძირითადად ამყარებს მოსარჩელე თავისი სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებას, აღნიშნული გამამტყუვნებელი განაჩენი დადგა, მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ, დანარჩენი მოპასუხე პირები წარმოდგენილ საქმეში მონაწილე მხარეები არ ყოფილან და მათ მიმართ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალა ვერანაირად ვერ გავრცელდება.

თანამოპასუხეები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ მართალია მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სადავო ქონება მილიანად შექმნილია სახელმწიფო მოხელის, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ, თუმცა საფუძველს ამისა მოსარჩელე ვერ უთითებს სარჩელში. თანამოსაპუხეები ასევე მიუთითებენ, რომ დასახელებული განაჩენი გამოტანილი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სასამართლოს მიერ არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საქმის ზეპირი განხილვის დროს მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ვლ. ხუტუაძემ მხარი დაუჭირა სარჩელს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, ამასთან განმარტა, რომ მოპასუხე მხარის მიერ არანაირი მტკიცებულება სადავო ქონების დასაბუთებულობის შესახებ არ ყოფილა წარმოდგენილი და არც რაიმე საფუძველი მოპასუხის მიერ არ ყოფილა მითითებული, რომელიც დაგვარწმუნებდა დასახელებული ქონების დასაბუთებულობაში. ამასთან მხარემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თანამოპასუხეების - ლტერაშვილის და მნადირაძის მიერ რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისათვის, რომ მათ მართლაც გადაიხადეს მათ მიერ მითითებული თანხები (25 000 და 5000 აშშ დოლარი), რომელიც იმ დროისათვის გააჩნდათ, საქმეში არ მოიპოვება.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ლ.ჩხეიძემ საქმის ზეპირი განხილვის დროს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი შეფასების აქტები არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული და მის საფუძველზე შეფასდეს სადავო ქონების საბაზრო ღირებულება. ამასთან აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირების დაკითხვის ოქმები არ შეიძლება განხილული იქნეს მოწმის ჩვენებებზე მოცემულ სამოქალაქო დავაში და შენიშნა, რომ მხარეს შეეძლო მოწმის სახით მოეწვია დასახელებული პირები და მათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული წესით მიეცათ ჩვენებები ზეპირად ღია სასამართლო სხდომაზე (საგულისხმოა, რომ თანამოპასუხეების წარმომადგენელი ლ.ჩხეიძე თავად აპირებდა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენებას, თუმცა აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოსათვის აღარ მოუპარათავს /ტ II. ს.ფ. 337 პირველი აბზაცი/, რაც მისი მხრიდან არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე ლ.ჩხეიძე აკეთებს დასკვნას, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ შეიძლება იყოს განხილული არც წერილობით მტკიცებულებად და არც მოწმის ჩვენებად.

თანამოპასუხეების წარმომადგენელი - ლევან ჩხეიძე, ასევე განმარტავს, რომ მნადირაძეს სხვადასხვა ანგარიშებზე გააჩნდა სხვადასხვა ოდენობის თანხები, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა მნადირაძეს ქონება და შემოსავლები, რომლებიც დავის საგანს არ წარმოადგენს ნამდვილად გააჩნდა. რაც შეეხება მეორე მარწმუნებელს ლტერაშვილს იგი მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში მათ შორის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში. ხელფასის სახით იგი სტაბილურად იღებდა 800 - 900 ლარს, რასაც ასევე ემატებოდა გრანტები. გარდა ამისა (კონფლიქტის ზონაში) ჰქონდა მიწის ნაკვეთი, სადაც ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც ასევე იღებდა გარკვეულ შემოსავალს. ლ.ჩხეიძე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითვე დასტურდება აღნიშნული პირების შემოსავლების ლეგალურობა. ასე რომ ლტერაშვილს და მნადირაძეს გააჩნდათ სათანადო შემოსავლები უნარი და შესაძლებლობა დაედოთ აღნიშნული სახის გარიგება და ამ პირებთან მიმართებაში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თანამოპასუხე მნადირაძემ საქმის ზეპირი განხილვის დროს განმარტა, რომ იგი დღესდღეობით წარმოადგენს სადავო ქონების ერთ-ერთ თანამესაკუთრეს. აღნიშნავს, რომ მხოლოდ მას არ მიუცია ჩვენება სისხლის სამართლის საქმეზე. როგორც იგი განმარტავს სადავო ქონების შექმნის შესახებ საკითხი მისთვის ცნობილი გახდა 2007 წლის აპრილის თვისათვის. აღნიშნულის შესახებ საქმის ყურში ჩააყენა მისმა მეგობარმა ი.ოქრუაშვილმა. ასევე ინფორმირებული იყო, რომ სადავო ქონება უნდა შეეძინათ რამოდენიმე მეგობარს ერთობლივი ძალებით. დათვალისწინების შემდეგ მანაც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ ქონების შექმნაში. მის მიერ აღნიშნული ქონების შესაძენად გადახდილი იქნა 5 000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა გადასცა იოსებ გიგუაშვილს. მნადირაძე განმარტავს, რომ როგორც მისთვის ცნობილია სადავო ქონებაში სყიდვის ფასი გადახდილი იქნა მხოლოდ 250 000 აშშ დოლარის ოდენობით. რაც შეეხება თანხის - 250 000 აშშ დოლარის გამყიდველისათვის გადაცემას, იგი უშუალოდ ამ ფაქტს არ შესწრება. თანამოპასუხე მიუთითებს, რომ საქმეში მოსარჩელის მიერვე წარმოდგენილი სადავო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს ამ ქონებისადმი მისი საკუთრების უფლების კანონიერებას. რაც შეეხება ე.წ. საფუძვლიან ეჭვს, მნადირაძის მოსაზრებით არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პროკურატურის საფუძვლიან ეჭვს სადავო ქონების დაუსაბუთებლობასთან მიმართებაში მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, რომ თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, არც ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, ამტკიცოს ამ ქონების დასაბუთებულობა.

თანამოპასუხე ლტერაშვილი სარჩელს მიიჩნევს უსაფუძვლოდ და განმარტავს, რომ მოსარჩელის პოზიცია ქონების მთლიანად ჩამორთმევის თაობაზე გაუმართლებელია, რამდენადაც საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება მისი საკუთრების უფლების კანონიერება. საბოლოოდ თანამოპასუხეები მოითხოვენ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას უსაფუძვლობის გამო.

საქმის ზეპირი განხილვის დროს სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა და საქმის მასალებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მარტის განაჩენით და ირაკლი ოქრუაშვილის საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებით (ტ I ს.ფ. 23-33; ს.ფ. 164-319) უდავოდ დადგენილია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი 2004 წლის 7 დეკემბრიდან 2006 წლის 10 ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მარტის განაჩენით დადგენილია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მუშაობდა რა

სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე - თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ცნობილი იქნა დამნაშავედ სამოხელეო დანაშაულში კერძოდ, ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის (უფლების რეგისტრაცია №57514/2007) მონაცემებით დადგენილია, რომ ქობილისში ათოენლის ქუჩა, №27 (ნაკ 5/6)-ში განთავსებული მიწის ნაკვეთზე (ფართობი 371.00 კვ.მ.) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე დარეგისტრირებულია თანამოპასუხეების - ირაკლი ოქრუაშვილის, ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის (საერთო) საკუთრების უფლება.

საქმეზე მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტებით (ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები /ტ.I ს.ფ. 164-319/) დადასტურებულია, რომ 2006 წელს ირაკლი ოქრუაშვილს (2006 წლის დეკლარაციის მე-5 ფურცელი) და მისი ოჯახის წევრებს საბანკო ანგარიშებზე გააჩნდათ თანხა 2959 აშშ დოლარი, 11 934 ლარი, 11 669 ლარი და 584 დოლარი. ამავე წელს, ი.ოქრუაშვილის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 50 789 ლარი, ხოლო მისი მეუღლის შემოსავალმა - 49 000 ლარი. მივლინების ხარჯების სახით ი.ოქრუაშვილის მიერ 2006 წელს მიღებულ იქნა 47 282 ლარი, ხოლო მეუღლის მიერ - 4 553 ლარი. ნაღდი ფულის სახით მოპასუხეს გააჩნდა 2000 აშშ დოლარი, ხოლო მისი ოჯახის წევრებს - 28 000 აშშ დოლარი.

2007 წელს მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების საბანკო ანგარიშებზე არსებულმა თანხამ შეადგინა 32 425 ლარი, 39 387 აშშ დოლარი, 25 470 ლარი და 1058 აშშ დოლარი. ამავე წელს ავტომანქანის გასხვისების შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 7500 აშშ დოლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ შეისწავლა სარჩელის დასაბუთებულობა, საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა და მათი წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს მოცემული კატეგორიის დავებში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესახებ საკითხზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹ -ე მუხლის „ნ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაწესის თანახმად თანამდებობის პირის ქონებას წარმოადგენს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

სასამართლო თვლის, რომ თანამდებობის პირის (და მასთან დაკავშირებული პირებისათვის) დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ დავებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით პრეზუმფციას განამტკიცებს მოსარჩელის სასარგებლოდ, ანუ გარკვეულწილად ივარაუდება, რომ მოპასუხის (თანამდებობის პირის) ქონება არის დაუსაბუთებელი და მოპასუხეს ეკისრება მტკიცების ტვირთი სადავო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით

ამ მოსაზრებას განამტკიცებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ნორმათა ანალიზიც, კერძოდ 356²-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შექმნისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ. ზემოთმოხმობილი მსჯელობის დასასაბუთებლად სასამართლო ყარადღებას გაამახვილებს ასევე სსსკ-ის 356²-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაწესზე, რომელიც ითვალისწინებს უკანონო ქონების ჩამორთმევისას მოსარჩელის მტკიცების ტვირთს. ამ ნორმის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ.

სასამართლო შენიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს დაუსაბუთებელი და არა უკანონო ქონების ჩამორთმევა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹ -ე მუხლის „ტ“ პუნქტით გათვალისწინებული ნორმის შინაარსის თანახმად დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს ან დაკავშირებულ პირს

არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ამდენად სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ თანამდებობის პირისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ დავაში მტკიცების ტვირთი სადავო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით ეკისრება მოპასუხე მხარეს. სასამართლოს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის შინაარსის გათვალისწინებით მოსარჩელეს მართებს დაასაბუთოს მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა მასზე, რომ სადავო ქონება 1 800 000 აშშ დოლარად მოპოვებულია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ, რომელსაც თავის მხრივ, მისი და მისი ოჯახის წევრების მიერ საფინანსო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით მიღებული თანხების გათვალისწინებით არ შეეძლო მართლზომიერი საშუალებით შეეძინა სადავო ქონება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს თანამდებობის პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში.

იმ პირობებში, როდესაც უდავოდ დადგენილია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენდა თანამდებობის პირს და იმის გათვალისწინებით, რომ მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილია 2008 წლის 28 მარტის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც იგი დაპატიმრდა იქნა ცნობილი სამოხელეო დანაშაულში, სასამართლო თვლის, რომ დაცულია ზემოთ მოხმობილი ნორმის წინაპირობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღძვრას თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ირაკლი ოქრუაშვილის, როგორც თანამდებობის პირის და ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის, როგორც თანამდებობის პირთან - ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებული პირების დაუსაბუთებელი და არა უკანონო ქონების ჩამორთმევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ თანამოპასუხეები: ამირან გიგუაშვილი, ლევან ტერაშვილი, დავით კეკელიშვილი, გელა ნასყიდაშვილი, მარლენ ნადირაძე, მიხეილ ქარელი, იოსებ გიგუაშვილი, ნიკა რამიშვილი, თეიმურაზ გოგიტიძე და ვასილ მახარაშვილი წარმოადგენენ ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებულ პირებს, ხოლო თანამოპასუხეებს ეკისრებათ მტკიცების ტვირთი სადავო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹-ე მუხლის „დ“ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოპოვებულია თანამდებობის პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს (ან განკარგავს) თანამდებობის პირი.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს თანამდებობის პირთან დაკავშირებულ პირად აუცილებელია რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობა: პირველ რიგში აუცილებელია პირს იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში ქონდეს ქონება და ამასთანავე უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოპოვებულია თანამდებობის პირის, მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს თანამდებობის პირი.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 2 მაისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების და საჯარო რეგისტრის ამონაწერით (ტ. I ს.ფ. 34-40) დადგენილია, რომ ქობულენის ათონელის ქ. №27-ში მდებარე 371 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე რეგისტრირებულია თანამოპასუხეების: ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის საკუთრების უფლება. ამდენად სახეზეა დასახელებული ნორმით გათვალისწინებული პირველი სავალდებულო პირობა. რაც შეეხება საფუძვლიან ეჭვს მასზე, რომ სადავო ქონება მოპოვებულია თანამდებობის პირის მიერ, მისი არსებობის დასაბუთების ტვირთი აწევს მოსარჩელეს გამომდინარე იქედან, რომ მან უნდა დაადასტუროს თანამოპასუხეების: ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის, როგორც ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებული პირების შესახებ ფაქტობრივი გარემოების არსებობა.

სასამართლო შენიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სამი თანამოპასუხის სახელით, თუმცა სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან სადავო ქონება წარმოადგენს თანამოპასუხეთა საზიარო საგანს ამდენად სახეზეა მოპასუხის მხარეზე სავალდებულო თანამონაწილეობა და ამდენად იმ თანამოპასუხეთა მიმართ, რომელთაც არ განახორციელეს სარჩელზე

წერილობითი შესაბამისი წარმოდგენა, გაუმართლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

სასამართლო ვერ გაიზიარებს თანამოპასუხის, მარლენ ნადირაძის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს საფუძვლიანი ეჭვის არსებობას. ამასთან დამაჯერებლობას მოკლებულია წარმომადგენლის - ლჩხვიძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მასალები, კერძოდ მოწმის სახით დაკითხვის ოქმები არ უნდა იქნეს განხილული მტკიცებულებად და ვინაიდან მოსარჩელემ განსახილველ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი წესით არ განახორციელა მოწმეთა დაკითხვა არ დასტურდება, არც სადავო ქონების 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარად შეძენის და არც მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ამ ქონების შეძენის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დასაბუთებასთან მიმართებაში, მოცემულ შემთხვევაში, საუბარია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ სადავო ქონების 1 800 000 აშშ დოლარად შეძენის შესახებ გარემოების არსებობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის დასაბუთებაზე მოსარჩელის მხრიდან და არა ამ გარემოების უტყუარი მტკიცებულებებით დამტკიცების ტვირთზე. სწორედ აღნიშნული გარემოება ქონდა მხდველობაში, სასამართლოს, როდესაც მსჯელობდა მოცემული კატეგორიის დავებში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადაწვინების თვისებებზე.

სასამართლო საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვის ოქმების (სასამართლო თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვის ოქმები უნდა განვიხილოთ წერილობითი სახის მტკიცებულებებად - საბუთი, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის I ნაწილის დანაწესის), ასევე სადავო უძრავი მიწის ნაკვეთის (თავდაპირველ) მესაკუთრეს კობა ამირაჯიბსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის სადავო უძრავ ნივთზე გაფორმებული 2007 წლის 13 თებერვლის იპოთეკის ხელშეკრულების (ტ. I ს.ფ. 131-136), ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს 2007 წლის 4 მაისის №16/2596 იპოთეკაზე უარის შესახებ წერილი (ტ. I ს.ფ. 155) და ამავე ბანკის მიერ ამავე თარიღით გაცემული დავალიანების არ არსებობის შესახებ №16/2595 ცნობის (ტ. I ს.ფ. 156), ასევე საფინანსო - ქონებრივი დეკლარაციების გათვალისწინებით ფიქრობს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდება მოსარჩელის საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველი გამომდინარეობს შემდეგი მსჯელობიდან: პირველ რიგში სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირების დავით კეკელიშვილის და ვასილ მახარაშვილის ჩვენებებზე, რაც დაფიქსირებულია შესაბამის დაკითხვის ოქმებში (ტ. I ს.ფ. 57-58; ტ. II ს.ფ. 249-263). დაკითხვის ოქმებში თანამოპასუხეებს - დავით კეკელიშვილს და ვასილ მახარაშვილს კატეგორიულად უარყოფილი აქვთ დასახელებული უძრავი ნივთის შესასყიდად მათ მიერ რამე თანხის გადახდის შესახებ ფაქტობრივი გარემოება (იხ. ტ. I ს.ფ. 57 მე-2 გვ; ასევე იხ. ტ. II ს.ფ. 252 ბოლო აბზაცი). მნიშვნელოვანია თეიმურაზ გოგიტიძის, კობა ამირაჯიბის და მალხაზ საღარაშვილის მოწმედ დაკითხვის ოქმებში (იხ. ტ. I ს.ფ. 67-74; ს.ფ. 75-80; ასევე ს.ფ. 64-66) დაფიქსირებული ინფორმაცია, სახელდობრ - თეიმურაზ (თემურ) გოგიტიძის მოწმის სახით დაკითხვის ოქმის (ტ. I ს.ფ. 67-74) შესაბამისად თეიმურაზ გოგიტიძე იყო შუამავალი სადავო ქონების შეძენის დროს ირაკლი ოქრუაშვილსა და სადავო ქონების გამყიდველ კობა ამირაჯიბს შორის. საგულისხმოა, რომ ეს გარემოება გარკვეულწილად დასტურდება იოსებ გიგუაშვილის მოწმედ დაკითხვის ოქმის (იხ. ტ. I ს.ფ. 61) შინაარსიდანაც, რომლის თანახმადაც „ბე“-ს სახით გამყიდველისათვის გადასაცემი თანხა 50 000 აშშ დოლარი ირაკლი ოქრუაშვილის სახელიდან წაიღო თემურ გოგიტიძემ. ამ უკანასკნელს კი, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხვის ოქმშია დაფიქსირებული (ტ. I ს.ფ. 68 მე-2 გვ.) კობა ამირაჯიბზე გადასახდელი თანხა (სადავო ქონების სყიდვის თანხა) გადასცა ირაკლი ოქრუაშვილმა. აღნიშნული თანხა მოთავსებული იყო ორ ხელჩანთაში. ამავე ოქმის შინაარსიდან ირკვევა, რომ თეიმურაზ გოგიტიძემ მთლიანად ირაკლი ოქრუაშვილისაგან მიიღო 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარი, საიდანაც კობა ამირაჯიბს „ბე“-ს სახით გადასცა 50 000 აშშ დოლარი, შემდეგ დაახლოებით 600 000 აშშ დოლარი გადახდილი იქნა ბანკის კრედიტის დასაფარავად და სადავო ქონებაზე არსებული იპოთეკის გასაუქმებლად, დანარჩენი თანხა დაახლოებით 1 150 000 (ერთი მილიონ ასორმოდრეასი ათასი) აშშ დოლარი კობა ამირაჯიბს გადასცა სს „თი ბი სი ბანკი“-ს შენობაში სპეციალურ ოთახში გადათვლისა და შემოწმების შემდგომ. სასამართლო შენიშნავს, რომ დასახელებული ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია დასტურდება კობა ამირაჯიბისა და მალხაზ საღარაშვილის დაკითხვის ოქმებში მოცემული ინფორმაციით. გარდა აღნიშნულისა სადავო ქონებაზე იპოთეკის არსებობის და მისი გაუქმების შესახებ ინფორმაცია დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მასალებით - კობა ამირაჯიბსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის სადავო უძრავ ნივთზე გაფორმებული 2007 წლის 13 თებერვლის იპოთეკის ხელშეკრულებით (ტ. I ს.ფ. 131-136), ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს 2007 წლის 4 მაისის №16/2596 იპოთეკაზე უარის შესახებ წერილი (ტ. I ს.ფ. 155) და ამავე ბანკის მიერ ამავე თარიღით გაცემული დავალიანების არ არსებობის შესახებ №16/2595 ცნობით (ტ. I ს.ფ. 156). ამასთანავე ინფორმაცია სს „თი ბი სი ბანკი“-ს შენობაში კობა ამირაჯიბისათვის დაახლოებით 1 150 000 აშშ დოლარის ოდენობით თანხის გადაცემის შესახებ დასტურდება თავად „თი-ბი-სი ბანკი“-ს თანამშრომლების - ლელა კიკნაძის /მოლარე/ (იხ. ტ. I ს.ფ. 92-94), ფიქრია ჯვალაღონიას /სს

„თიბისი ბანკი“-ს მარჯანიშვილის ფილიალის დირექტორის მოადგილე/ (იხ. ტ I 95-96), ცირა სირაძის /მოლარე/ (იხ. ტ I ს.ფ. 97-98), თეიმურაზ ჯაშის /„თი ბი სი ბანკის“ საბურთალოს ფილიალის დირექტორი/ (იხ. ტ. I ს.ფ. 99-100), ნინო სომხიშვილის /სალაროს გამგე/ (იხ ტ I ს.ფ. 104), აგრეთვე კობა ამირაჯიბისა და მალხაზ საღირაშვილის მოწმედ დაკითხვის ოქმებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ თეიმურაზ გოგიტიძის, კობა ამირაჯიბის, მალხაზ საღირაშვილის მოწმედ დაკითხვის ოქმებში, დაფიქსირებული ინფორმაცია რომელიც დასტურდება სხვა ზემოთ დასახელებული წერილობითი მტკიცებულებებით იძლევა საფუძვლიანი ეჭვის არსებობის საფუძველს, რომ სადავო უძრავი ქონება დაახლოებით 1 800 000 აშშ დოლარად შექმნილია თანამდებობის პირის – ირაკლი ოქრუაშვილის მიერ, რომელსაც თავის მხრივ არ გააჩნია ამ ოდენობის თანხის მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი. სასამართლო კიდევ ერთხელ შენიშნავს, რომ მოსარჩელეს მოცემულ შემთხვევაში ეკისრება მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დადასტურების ტვირთი. საქმეში არსებული მასალების პირობებში სასამართლო თვლის, რომ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა დასაბუთებულია.

ამდენად არსებობს კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობები ამირან გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, დავით კეკელიშვილის, გელა ნასყიდაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის, იოსებ გიგუაშვილის, ნიკა რამიშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის და ვასილ მახარაშვილის ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებულ პირებზე მიჩნევისათვის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც დადასტურებულია საფუძვლიანი ეჭვის არსებობა სადავო ქონების ირაკლი ოქრუაშვილის მიერ 1 800 000 აშშ დოლარად შექმნის შესახებ ივარაუდება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს დაუსაბუთებელ ქონებას და საპირისპირო მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე მხარეს. თანამოპასუხეების ლევან ტერაშვილის და მარლენ ნადირაძის მტკიცება მასზე, რომ მათ გააჩნდათ 25 000 და 5 000 აშშ დოლარის ოდენობით თანხა და მათ მიერ აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა დასახელებული ქონების შესაძენად და რომ სადავო ქონების შესაძენად გადახდილი იქნა 2007 წლის 2 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 250 000 აშშ დოლარი მოკლებულია დამაჯერებლობას. პირველყოფილისა სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ თავად თანამოპასუხეების მიერ სასამართლოს სხდომაზე გაკეთებული ახსნა-განმარტების მიხედვით მათ მიერ თანხის 25 000 და 5 000 აშშ დოლარის გადაცემა განხორციელდა იოსებ გიგუაშვილისათვის და სადავო ქონების გამყიდველისათვის თანხის გადაცემას უშუალოდ არ დასწრებთან. აღსანიშნავია, რომ რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება (ხელწერილი, გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი და სხვა) აღნიშნული თანხის გამყიდველისათვის გადაცემის თაობაზე თანამოპასუხეებს მნადირაძეს და ლტერაშვილს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ. საფუძვლიანი ეჭვის არსებობის პირობებში თანამოპასუხეების მიერ მხოლოდ ახსნა-განმარტება, რომ მათ გადაიხადეს სადავო ქონების სყიდვის ფასიდან 30 000 აშშ დოლარი არ შეიძლება იყოს საკმარისი მტკიცებულება ამ გარემოების დადასტურებულად მიჩნევისათვის გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან. გარდა ამისა ასევე მიუღებელია თანამოპასუხეების პოზიცია, იმასთან დაკავშირებით რომ სადავო ქონება შექმნილი იქნა 250 000 აშშ დოლარად, რამდენადაც თავად სადავო ქონების გამყიდველი კობა ამირაჯიბი და მალხაზ საღირაშვილი სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულ ჩვენებაში ადასტურებენ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარის მიღებას.

სასამართლო შენიშნავს, რომ თანამოპასუხეების ლტერაშვილისა და მნადირაძის მიერ სასამართლოსათვის შემოთავაზებული მტკიცება არ ადასტურებს მათ მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მათი მხრიდან სადავო ქონების შესაძენად თანხის – 30 000 აშშ დოლარის გადახდის, ასევე სადავო ქონების შესაძენად 250 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. სხვა თანამოპასუხეების მხრიდან კი რაიმე მტკიცება ან მტკიცებულება საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი.

თანამოპასუხეების მნადირაძის და ლტერაშვილის მტკიცებით საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 2 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს დასახელებულ ქონებაზე მათი უფლების კანონიერებას შესაბამისად არ არსებობს მათთვის ქონების ჩამორთმევის საფუძველი.

სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ დებულებებზე, რომელთა თანახმადაც 1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. 3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საკუთრების უფლების გარანტირებულობა დამოკიდებულია თავად საკუთრების წარმოშობის კანონიერებაზე, შესაბამისად იმ შემთხვევებში, როდესაც საკუთრება, რომელიც მოპოვებულია არამართლზომიერად, დაუსაბუთებლად, შეიძლება განხორციელდეს მისი ჩამორთმევა და ასეთ

შემთხვევაში საკუთრების უფლების დაცულობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საფუძვლიანი ეჭვის არსებობის პირობებში მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებებით სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებით შექმნის და შესაბამისად სადავო ქონების დასაბუთებულობის დადასტურება, სასამართლო თვლის, რომ საკუთრება ვერ იქნება დაცული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული გარანტიით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე თუ სასამართლომ ამ კოდექსის 356-ე მუხლის შესაბამისად ქონება ცნო თანამდებობის პირის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის ქონება - უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, ასეთი ქონება შესაძენად პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

გამომდინარე იქედან, რომ დავის საგანზე სასამართლოსათვის თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლისა არ მოუპართავს არცერთ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხენით, სასამართლო თვლის, რომ დაუსაბუთებლად ცნობილი ქონება უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაწესიდან, კერძოდ სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლოს მიერ საქმის განხილვისასთან დაკავშირებული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომლის გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. მოსარჩელე საქართველოს გენერალური პროკურატურა გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სახელმწიფო ბაჟი უნდა გადახდეს მოპასუხე მხარეს. რაც შეეხება სახ ბაჟის ოდენობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში საბაზრო ღირებულება დავის საგნისა მოსარჩელის მიერ განსაზღვრულია 1 800 000 აშშ დოლარად. სსკ-ის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს. ვინაიდან მოპასუხის მხარეზე მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საუაღლებლო თანამონაწილეობა სასამართლო მიიჩნევს, რომ თანამოპასუხეებს სახელმწიფო ბაჟი უნდა გადახდეთ სოლიდარულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 243-244-ე, 247-249-ე, 356-356-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. დაუსაბუთებლად იქნეს ცნობილი თანამოპასუხეების სახელზე რიცხული ქონება, მდებარე ქობილისი ათონელის ქ.№27 (371 კვ.მ. მიწის ნაკვეთი \ნა.კ. 5/6 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა).
3. დაუსაბუთებლად ცნობილი ქონება - მდებარე ქობილისი ათონელის ქ.№27 (371 კვ.მ. მიწის ნაკვეთი \ნა.კ. 5/6 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა) ჩამოერთვათ თანამოპასუხეებს და გადაეცეს სახელმწიფოს.
4. თანამოპასუხეებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით - 3 000 ლარის გადახდა.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით ქობილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მდებარე ქობილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის გადაეცემიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

მოსამართლე

/გ.წიკლაური/